www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 17 სექტემბერი, 2004 წელი. №221 (770)

ფასი 50 თეთრი


### პოლიტიკა

## ოპოზიციის აქცია ქუთაისში



იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის დათო მუმლაძის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა რამდენიმე თვის წინ დაიწყო.

A2

### ეკონომიკა

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო "შავ სიას" აქვეყნებს



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქვეყნებს იმ არასაიმედო მიმწოდებელთა "შავ სიას", რომლებმაც დაარღვიეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნები

A4

### უცხოეთი

## თანამეგობრობის კონსოლიდირების მცდელობა



სამიტს დღის წესრიგი შეეცვალა და განსაკუთრებული ყურადღება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და უსაფრთხოების საკითხების გამკაცრებას დაეთმო.

A5

### საზოგადოება

## მეორე სკანდალი მერიაში

თბილისის მერიაში ახალი მერის მოსვლის შემდეგ უკვე მეორე სკანდალური ამბავი მოხდა. უშიშროების სამინისტრომ მერიის საფინანსო განყოფილებას სერიოზული დარღვევები აღმოუჩინა.

A6

### ამინდი

| | 17/9 | 18/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 22 | 23 |
| ქუთაისი | 24 | 25 |
| ბათუმი | 22 | 23 |
| სოხუმი | 24 | 24 |
| ფოთი | 24 | 24 |
| თელავი | 22 | 22 |
| ზუგდიდი | 26 | 25 |
| გორი | 20 | 22 |
| ახმეტა | 22 | 23 |
| ჭიათურა | 22 | 23 |
| გაგრა | 23 | 24 |
| სამტრედია | 24 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8650 |
| ევრო | 2.2665 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3279 |
| რუბლი | 0.0638 |

# ქართულ-რუსული რინგი ასტანაში



*ასტანაში მთავარი რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების "შერკინება" იყო.*

*ეკონომიკური პროფილის საკითხები ყაზახეთში გამართულ დსთ-ს მეთაურთა სამიტზე პოლიტიკურმა გადაფარა. სამიტის ძირითადი თემა საერთო ეკონომიკური სივრცე უნდა ყოფილიყო, თუმცა რუსეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო განხილვის ძირითად საგნად ტერორიზმი იქცა. პრეზიდენტების შეხვედრის მეორე დღეს კი დსთ-ს წევრი ქვეყნების მეთაურები დასკვნით პრესკონფერენციაზე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების "შერკინებას" უფრო პასიური მაყურებლის სტატუსით ადევნებდნენ თვალს.*

ლენა მიქაძე

**"ძალზე ბედნიერი ვარ, რომ თანამეგობრობის სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთთან დაკავშირებით, რომელშიც კიდევ ერთხელ გახმოვანდა 1995 და 1996 წლების სამიტის გადაწყვეტილება აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან კონტაქტების შეჩერებისა და სეპარატისტულ რეჟიმთან სარკინიგზო მიმოსვლის, ეკონომიკური კავშირის აკრძალვის თაობაზე.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# არაფრისმომცემი პოლიტიკური დებატები

*პოლიტიკური დებატები, რომლის გამართვის აუცილებლობაზეც დიდი ხანია, საუბრობდნენ მემარჯვენე ოპოზიციონერები, პარლამენტის სხდომათა დარბაზში გუშინ გაიმართა. იგი ცხინვალის რეგიონში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა. თუმცა მანამ, სანამ დეპუტატები პოლიტიკურ პაექრობაში ჩაერთვებოდნენ, საკმაოდ დიდი დრო პროცედურულ ნიუანსებს დაუთმეს. ვის რამდენი უნდა ელაპარაკა, ვინ ვის შემდეგ უნდა გამოსულიყო, უნდა ეპასუხათ თუ არა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ოპოზიციონერების კითხვებზე - ეს ის დეტალები იყო, რომლის გარკვევასაც პარლამენტარებმა, ლამის, საათნახევარი მოანდომეს. ხოლო მას შემდეგ, რაც პროცედურული საკითხები მოგვარდა, დეპუტატები უშუალოდ პოლიტიკურ დებატებზე გადავიდნენ; თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დებატებს რაიმე განსაკუთრებული შედეგი არ გამოუღია - ოპოზიცია საკუთარ პოზიციაზე დარჩა, ხელისუფლების საყრდენმა დეპუტაციამ და შინაგან საქმეთა მინისტრმა კი მთლიანად და სავსებით გაამართლეს პრეზიდენტისა და მთავრობის ის კურსი, რომელიც სამაჩაბლოსთან მიმართებაში დღემდე ხორციელდება. ამის პარალელურად, გუშინ პოზიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაანახეს საზოგადოებას, თუ რაოდენ დიდია მათ შორის "ურთიერთპატივისცემა" და რამდენად მოქმედებს განსხვავებული აზრის ქონა ადამიანურ ურთიერთობებზე.*

თამარ მჭედლიშვილი

**"ვინ არის პასუხისმგებელი იმ ფიასკოზე, რომელიც საქართველომ სამაჩაბლოში განიცადა? რა იყო დაგეგმილი და რა რეალურ შედეგს მივაღწიეთ?"** - ეს ის ძირითადი კითხვები იყო, რომელზეც პასუხს "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლები სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლებისგან ითხოვდნენ; მეტიც: "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერმა დავით გამყრელიძემ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხიც დასვა და განაცხადა, რომ "მთელი ის კამპანია, რომელიც ცხინვალის რეგიონში ვითარდებოდა, იყო გაუთვლელი და იმპულსური, რის შედეგადაც საქართველომ სრული ფიასკო განიცადა" და რომ "მიხეილ სააკაშვილმა, როგორც მთავარსარდალმა, ამ საკითხზე პასუხი უნდა აგოს". ამასთან, დავით გამყრელიძემ არც ძალოვანი მინისტრები დაინდო და მათი მისამართითაც კონკრეტული ბრალდებები წამოაყენა. კერძოდ, როგორც გამყრელიძემ განაცხადა, იმაზე, რაც სამაჩაბლოში მოხდა, პრეზიდენტთან ერთად, თანაბრად უნდა აგონ პასუხი უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმაც.

დავით გამყრელიძეს არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ როდესაც სამაჩაბლოში ვითარება ჯერ მხოლოდ იძაბებოდა, ოფიციალურ პირთაგან მხოლოდ იგი ჩავიდა რეგიონში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# იტალიელი პროკურორის "სუფთა ხელების" გამოცდილება საქართველოშიც ვრცელდება

თამარ კაციტაძე

*მილანელი პროკურორი ჯერარდო კოლომბო, რომელმაც თავის ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე სახელი გაითქვა კორუმპირებული იტალიელი მაღალჩინოსნების დაპატიმრებით, საქართველოშია. იგი ორგანიზაციის "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" მოწვევით ჩამოვიდა. ამ ორგანიზაციის დანიშნულება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაა. იტალიელი პროკურორიც საქართველოში სწორედ იმ მიზნით მოიწვიეს, რომ მან თავისი და, საერთოდ, იტალიელი სამართალდამცველების გამოცდილება გაუზიაროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველ კოლეგებს.*

გაგრძელება A7 გვერდზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ქართველ კოლეგებთან ორსაათიანი საუბრის შემდეგ კოლომბომ ბრიფინგი ჩაატარა.*

# გადაწყვეტილება

## კონფლიქტის რეგულირების შესახებ აფხაზეთში, საქართველო

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭო,

ვადასტურებთ რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს მიერ ყველა ადრე მიღებულ დოკუმენტს კონფლიქტის რეგულირებასთან დაკავშირებით აფხაზეთში, საქართველო, პირველ რიგში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით 1995 წლის 10 თებერვლის მემორანდუმის, 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების კონფლიქტის რეგულირებასთან დაკავშირებით აფხაზეთში, საქართველო და 2003 წლის 19 სექტემბერს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის კიდევ ერთხელ დადასტურებით, გადავწყვიტეთ:

1. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოებს მოვუწოდოთ, განუხრელად დაიცვან ზემოაღნიშნული დოკუმენტები და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონფლიქტის რეგულირებასთან დაკავშირებით აფხაზეთში, საქართველო.

2. თანამეგობრობის წევრი-სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ თავს შეიკავებენ ნებისმიერი ცალმხრივი აქტებისა და მოქმედებებისაგან, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება.

# მუქარა საიქიოდან

## უუნარო ვლადისლავ არძინბა რუსეთის წინაშე ქედს იხრის

ნინო გომართელი

*აფხაზეთში ამჟამად შიდა პოლიტიკური ვითარება საკმაოდ გამწვავებულია, დე ფაქტო ლიდერები ხელისუფლებას ერთმანეთში ვერ იყოფენ. მაშინ, როდესაც მწვავე წინასაარჩევნო კამპანიაა გაჩაღებული, ვლადისლავ არძინბასა და რაულ ხაჯიმბას ოპოზიცია ხელისუფლების დამხობით მუქარას არ ერიდება. როგორც ჩანს, იქ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ჩარევის გარეშე მოხდება "ვარდების რევოლუცია", რაც, ცხადია, ყველაზე მეტად თბილისის სამომავლო მიზნებსაც გაამყარებს. შექმნილი ვითარების ფონზე სოხუმის მოქმედი დე ფაქტო მთავრობა ხავსს ეჭიდება და თვითგადარჩენისთვის იბრძვის.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# რეკომენდაციები სკოლებში მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2004-2005 სასწავლო წლისთვის რეკომენდებული საათობრივი ბადეების დამტკიცებამ პედაგოგთა ერთი ნაწილი ააღელვა. საქმე ისაა, რომ სკოლების ადმინისტრაციების გარკვეულმა ნაწილმა, ან მცირედ ინფორმირებულობის გამო, ან შეგნებულად შექმნა დაძაბულობა პედაგოგებისთვის საათობრივი განაწილებისა და, შესაბამისად, მათი სახელფასო ანაზღაურების გარშემო.

გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ საგანგებო ბრიფინგზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრაციების მიმართ სამინისტროს სპეციალური მიმართვა წაიკითხა.

გაგრძელება A6 გვერდზე


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 კვირის TV პროგრამები | B8 სხვადასხვა

# მუქარა სოხუმიდან

## უუნარო ვლადისლავ არძინბა რუსეთის წინაშე ქედს იხრის

პირველი გვერდიდან

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა მძიმედ არის ავად და მის ფუნქციებს პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა ასრულებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი საკმაოდ აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ არძინბა გარდაცვლილია, თუმცა თვითგამოცხადებული აფხაზეთი ამ ფაქტს მთელი მონდომებით უარყოფს და შესაძლოა, სიმართლეს მალავდეს კიდეც. სიმართლის გახმაურება, პირველ რიგში, ყველაზე ნაკლებად 3 ოქტომბერს დანიშნული პრეზიდენტობის ნომერ პირველ კანდიდატს რაულ ხაჯიმბას არ აძლევს ხელს, რადგან იგი მისდამი საკმაოდ მტრულად განწყობილი ოპოზიციისა და საქართველოს დასანახად არძინბასა და რუსეთის რჩეულის იმიჯს იქმნის.

წინასაარჩევნო პერიოდში, რომელიც ამჟამად აფხაზეთშია, მედიაში რამდენჯერმე გამოჩნდა არძინბას კომენტარები და მასთან ინტერვიუები, სადაც იგი ხაჯიმბას ხოტბას ასხამს და აფხაზეთის მოსახლეობას მისი მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. გუშინ კი მედიაში დე ფაქტო პრეზიდენტის მოკლე ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც იგი საქართველოს ხელისუფლებას ემუქრება.

**"აფხაზეთი ამჟამად თვითგადარჩენის ხანიდან განვითარების ხანაში გადადის. თუმცა, თუ საქართველო თავის ამბიციებს არ ჩააწყნარებს, აფხაზები მზად არიან, საკუთარი დამოუკიდებლობა ნებისმიერი გზით დაიცვან,"** - აცხადებს ვლადისლავ არძინბა. იქვე კი ჟურნალისტის მინაწერია - "არძინბას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გავრცელებული პროვოკაციული ინფორმაციის მიუხედავად, იგი სავსეა ენთუზიაზმით".

ამასთან, ჟურნალისტის შეკითხვაზე - არის თუ არა მოსალოდნელი შეიარაღებული დაპირისპირება? დე ფაქტო პრეზიდენტი პასუხობს, რომ აფხაზეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს იმას, რომ იარაღამდე საქმე არ მივიდეს, რადგან ამჟამად უმთავრეს მიზანს წარმოადგენს რუსეთთან რაც შეიძლება მჭიდრო კავშირის დამყარება.

**"ეს გულისხმობს ორი ქვეყნის სავალუტო და საბაჟო კავშირს, მოსკოვისა და სოხუმის შიდა და თავდაცვის პოლიტიკის კოორდინაციას. ხოლო ამ ჩანაფიქრის რეალიზება უნდა გახდეს აფხაზეთის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური აღმავლობის გარანტი,"** - ამბობს იგი.

ამ ვითარებაში კი ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა გუშინაც აფხაზური მხარის გარეშე ჩატარდა. მასში მხოლოდ ქართული მხარე და კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სოხუმის ხელისუფლება ხაზგასმით აცხადებს, რომ მოლაპარაკებები მხოლოდ მაშინ აღდგება, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია "აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში საქართველოს მოქმედებას დაგმობს".

**"ჩვენი პოზიცია მოლაპარაკებების განახლებასთან დაკავშირებით კვლავ უცვლელი რჩება - საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა დაგმოს აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში ქართული მხარის პროვოკაციული ქმედებები,"** - აღნიშნავს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თარბა.

სოხუმის ხელისუფლება ქართულ მხარეს "აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში თვითნებური მოქმედებისთვის" და მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულების დარღვევისთვის კიცხავს. თავის მხრივ, ქართული მხარე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს არ უკრძალავს აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში მოქმედებას.

30 სექტემბერს სოხუმი "საქართველოზე აფხაზეთის გამარჯვების მეთერთმეტე წლისთავს" აღნიშნავს და საკმაოდ პომპეზურ ღონისძიებებს გეგმავს, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, რუსი პოლიტიკოსებიც დაესწრებიან.

ქართული საზოგადოება კი ახალი ხელისუფლების პირობებში იმედოვნებს, რომ აღნიშნული "დღესასწაული" უკანასკნელია.

# საქართველოს ახალი ომბუდსმენი ჰყავს

საქართველოს პარლამენტმა მესამე სახალხო დამცველად სოზარ სუბარის კანდიდატურა გუშინ ერთხმად, 132 ხმით 0-ის წინააღმდეგ დაამტკიცა, თუმცა კანდიდატურის განხილვისას სხდომათა დარბაზში მხოლოდ 50-მდე დეპუტატი იმყოფებოდა. როგორც პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა ივლიანე ხაინდრავამ განაცხადა, "საპარლამენტო უმრავლესობა პლენარულ სხდომებზე ამგვარი დასწრებით საკუთარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს როგორც სოზარ სუბარის კანდიდატურის, ისე სახალხო დამცველის ინსტიტუტის მიმართ". **ინტერ-პრესი**

# საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 22 სექტემბერს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 21 სექტემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2004 წლის 22 სექტემბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

*აუქციონის კომიტეტი*

# კონკურსი

ცხადდება კონკურსი საუკეთესო ტელე და რადიო სიუჟეტის და საგაზეთო სტატიის გამოსავლენად, თემაზე - "ქალი და პოლიტიკა". თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული დაჯილდოვდება 200 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში.

განცხადებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ ან გამოაგზავნოთ 2004 წლის 15 ოქტომბრამდე, შემდეგ მისამართებზე:

თაყაიშვილის N3, 0179, თბილისი
ელ-ფოსტა: Lela@wprc.ge
ფაქსი: 99532 + 250836
ტელ: 99532 + 224018

*ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი*

# შესაძლოა, სერიოზულ ამერიკულ გამოცემებში საქართველოს პასკვილები გამოუცხონ

ვერიკო თევზაძე

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გოგა გომიაშვილის ინფორმაციით, ნოემბერში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვლენ ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სოლომონ პასი ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარეა. აქედან გამომდინარე, მის ვიზიტს, დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის ბულგარეთში ბოლო დროინდელი ვიზიტის დროს გადაწყდა, რომ სექტემბრის ბოლომდე ეუთო-ს დამკვირვებელთა რიცხვი 13-მდე გაიზრდება. მონიტორინგი გაგრძელდება საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზეც.

გუშინდელ ბრიფინგზე გომიაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრის ბრიუსელის ვიზიტიც მიმოიხილა. საქართველოს ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს სხდომაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა სალომე ზურაბიშვილმა ევროკავშირს თხოვნით მიმართა, რათა ცხინვალის მოვლენებთან მიმართებაში მეტი აქტიურობა გამოიჩინოს. გომიაშვილის ინფორმაციით, **"ევროკავშირი მიესალმება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს, საქართველოში მიმდინარე რეფორმებს. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ევროკავშირი საქართველოსთვის მტკივნეულ საკითხებზე კონსულტაციებს აწარმოებს რუსეთთან. საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა ის შესაძლებლობა, რასაც მას ევროპულ სივრცეში ჩართვა აძლევს."**



*უახლოეს მომავალში დაგეგმილი გომიაშვილის ვიზიტი რუსეთში.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბრიუსელში შედგა სალომე ზურაბიშვილის და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის კოორდინატორის ხავიერ სოლანას არაოფიციალური შეხვედრა. ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველო ყველა ღონეს მიმართავს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად.

გომიაშვილის ბრიფინგი ბოლო დროინდელი ვიზიტების ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თავის ამერიკულ ვოიაჟზეც გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ მისთვის განსაკუთრებით წარმატებული იყო ამერიკის ცნობილ უნივერსიტეტებში გამართული შეხვედრები, ასევე პირადი კონტაქტები და მრავალი საინტერესო ინფორმაციის მოპოვება.

როგორც გუშინ გომიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამერიკელი სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან საქართველოს საგარეო უწყებაში. რაც მეტად მნიშვნელოვანია, წლის ბოლოს საქართველოში "სიენენ"-ის წარმომადგენლობა გაიხსნება.

ამერიკული ვიზიტის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისთვის ნათელი გახდა, რომ ანტიქართულმა პუბლიკაციებმა, ევროპული პრესის კვალდაკვალ, ამერიკაშიც მოიკიდა ფეხი: **"აქედან გამომდინარე, შესაძლოა, წინასაარჩევნო პერიოდში, ამერიკის სერიოზულ გამოცემებში ვიხილოთ პასკვილები საქართველოს შესახებ, განსაკუთრებით - საქართველოს ხელისუფლების საგარეო კურსის შესახებ."**

უახლოეს მომავალში დაგეგმილია გომიაშვილის ვიზიტი რუსეთში. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გუშინ განაცხადა, რომ **"მიუხედავად ყველაფრისა"**, რუსეთი მაინც ჩვენი მეზობელია და ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ, მასთან საერთო ენა გამოვნახოთ. **"უნდა შევეშვათ საინფორმაციო ომს,"** - დასძინა გომიაშვილმა.

რეგიონი

# რუსთავის საგაფიცვო კომიტეტი მიტინგის ჩატარებას აპირებს

მაია მოსიაშვილი
*რუსთავიდან*

რუსთავის მუშათა გაერთიანებული საგაფიცვო კომიტეტი ხვალ გამაფრთხილებელი მიტინგის ჩატარებას გეგმავს.

"ეს გადაწყვეტილება კომიტეტის წევრებმა ერთობლივად მიიღეს. მოვიდნენ მიტინგზე რუსთავის მერი და ქვემო ქართლის გუბერნატორი და წარმოგვიდგინონ ოფიციალური დოკუმენტები, რომ ჩვენი მოთხოვნების შესრულება დაწყებულია. თუ ეს ასე არ მოხდება, დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას ჩვენ მიერვე არჩეული მერის გადაყენების მოთხოვნით," - განაცხადა საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ თენგიზ ლობჟანიძემ.

მუშების მოთხოვნები ასეთია:

- მეტალურგიული კომბინატის ამჟამინდელ რეაბილიტაციის მმართველს მიეცეს მუშაობის საშუალება და უზენაესმა სასამართლომ უახლოეს დღეებში განიხილოს მეტალურგთა საქმე.
- მოწვეულ იქნეს სასამართლოსა და "აზოტის" კრედიტორთა საბჭოს ერთობლივი სხდომა. ქარხნის ამჟამინდელმა რეაბილიტაციის მმართველმა წარადგინოს ანგარიში ბოლო ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ და მოხდეს ახალი რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნა.
- სს "ქიმბოჭკოში", რომელიც გაკოტრების რეჟიმშია, პრიორიტეტად იქნეს აღიარებული მუშა-მოსამსახურეების სახელფასო დავალიანების გასტუმრება.

"ბოლო ორი დღის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა საგონებელში ჩაგვაგდო. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მეტალურგიული კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ირაკლი კორტავას დანიშვნა უნდათ, ხოლო "აზოტის" რეაბილიტაციის მმართველის პოსტზე შალვა მარგალიტაძის კანდიდატურაა წარდგენილი. კორტავამ გააკოტრა ამწემშენებელი ქარხანა და "აზოტი", ხოლო მარგალიტაძე "აზოტის" გასაღების სამსახურის უფროსი იყო გოგოლაძის დირექტორობის დროს, რომელიც ამჟამად დაკავებულია სახელმწიფოსთვის მილიონობით ზარალის მიყენების გამო," - ამბობს ლობჟანიძე.

"ეს მე პირველად მესმის და არა მგონია, მართალი იყოს. ამ კანდიდატურების განხილვას დასახელებულ თანამდებობებზე მე მხარს არ დავუჭერ," - განაცხადა ქალაქის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა, რომელიც დღეს ეკონომიკის მინისტრთან კახა ბენდუქიძესთან, ხოლო მოგვიანებით პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას გეგმავს. "ჩვენ საბოლოოდ უნდა ჩამოვყალიბდეთ რუსთავთან დაკავშირებით. მე ვალდებული ვარ, რუსთაველების პოზიცია დავიცვა და ასეც მოვიქცევი. რაც შეეხება ჩემი გადადგომის მოთხოვნას, ძალიან კარგი აზრია და მეც ვუერთდები," - იცინის ტყეშელაშვილი.

# ოპოზიციის აქცია ქუთაისში

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

მუმლაძის ოპოზიციამ გუშინ პირობა შეასრულა და ქალაქის ცენტრში საპროტესტო მიტინგი მოაწყო. აქციის მონაწილეები რწმუნებულის უპირობო გადადგომას და ქუთაისის მერის არჩევნების დანიშვნას მოითხოვდნენ. მომიტინგეთა განმარტებით, გუშინდელი მიტინგი გამაფრთხილებელ ხასიათს ატარებდა. მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისინი აქციების განახლებას მომავალი კვირის ოთხშაბათს აპირებენ.




*იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის დათო მუმლაძის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა რამდენიმე თვის წინ დაიწყო.*

იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის დათო მუმლაძის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა რამდენიმე თვის წინ დაიწყო. მაშინ მუმლაძის წინააღმდეგ ორგანიზაცია "სამშობლო უმთავრესია" გამოდიოდა, რომელიც რევოლუციამდელ მთავრობასთან დაახლოებულ ინტელიგენციასა და ახალი მთავრობის მიერ თანამდებობიდან დათხოვნილ პირებს აერთიანებდა. რამდენიმე კვირიანი მიტინგისა და 10 დღიანი შიმშილობის შემდეგ, მაშინ საპროტესტო მოძრაობა შეწყდა. აჟამად კი პროტესტის ახალი ტალღის ინიციატორებად უკვე "ეროვნულ ძალთა გაერთიანება- კონსერვატორები", "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის გარკვეული ნაწილი და სანდრა რულოვსის ქუთაისელი მამობილი ფირუზ კინწურაშვილი გამოვიდა. მუმლაძე მათ პირადი ამბიციების დაუკმაყოფილებლობის გამო გაღიზიანებულ ხალხს უწოდებს. ხოლო მიტინგის ორგანიზატორები კი მას "ქუთაისის დაქცევაში" ადანაშაულებენ.

**"ქალაქში არის უმძიმესი ვითარება, როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური კუთხით. საქმე ეხება პენსიონერებს, საპასპორტო სამსახურში შექმნილ მძიმე ვითარებას... ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის შენობის გამოყოფის საკითხი კვლავაც მოუგვარებელია, მოკლედ, პრობლემების მთელი ბუკეტია... მუმლაძემ ძალიან კარგად მოირგო მანტია, რომელიც შევარდნაძემ შეკერა. მას აწყობს ამ კორუფციულ სისტემაში მუშაობა. მუმლაძემ აღნიშნული სისტემა კი არ შეცვალა, არამედ თანამდებობებზე თავისი მაფიოზები დანიშნა... ჩვენ ასევე ვითხოვთ მერის არჩევნების ჩატარებას, რაც არ არის ჩვენი კაპრიზი, ამას კანონი ითხოვს. რწმუნებულის გადადგომის მოთხოვნით სამ დღეში დაახლოებით ექვსი ათასი ხელმოწერა შევაგროვეთ... მიტინგი მიიღებს პრეზიდენტისადმი მიმართვას, სადაც მუმლაძის გადაყენების მოთხოვნა იქნება ასახული. ჩვენ ერთ კვირას მივცემთ პრეზიდენტს რეაგირებისათვის,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას "კონსერვატორების" პოლიტიკურმა მდივანმა, ბესარიონ ნიჟარაძემ. მიტინგის დაწყებიდან დაახლოებით ნახევარ საათში მათ თერჯოლის "ნაციონალური მოძრაობის" წევრებიც შეუერთდნენ, რომელთა ავტოკოლონამ ქალაქის ცენტრში ეროვნული დროშების ფრიალით ჩაიარა და ბევრს ვარდების რევოლუციის დღეები გაახსენა.

ქუთაისელთა მიტინგს თერჯოლიდან დაახლოებით 200-მდე აქტივისტი შეუერთდა. **"მუმლაძემ უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილის და ამ ხელისუფლების წინააღმდეგ არ ჩამოვსულვართ. ჩვენ ჩამოვედით პიროვნულად მუმლაძის წინააღმდეგ. სამი ათასი კაცი აპირებდა წამოსვლას, მაგრამ ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მძღოლები გააფრთხილეს, რომ არ წამოვეყვანეთ. მთელი თერჯოლა ფეხზე დგას მუმლაძის უგონო პოლიტიკის გამო,"** - განაცხადა თერჯოლელების ლიდერმა ზაალ გურგენიძემ. მათ განსაკუთრებულ პროტესტს თერჯოლში არანაციონალი გამგებლის დანიშვნა იწვევს, რომელსაც დანიშვნის შემდეგ "ნაციონალური მოძრაობის" წევრი, ორი მოადგილე სამსახურიდან გაუთავისუფლებია. **"თერჯოლა ისევ იმ ბურჟუაზიის ხელშია, რაც შევარდნაძის დროს იყო. "ნაციონალები" არსად არ მუშაობენ. ჩვენი მოთხოვნაა, გაათავისუფლონ ამჟამინდელი გამგებელი და მის ნაცვლად სააკაშვილის პარტიის წევრი დაინიშნოს,"** - შესჩივლა "24-საათს" აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ. მიტინგზე "ლეიბორისტებიც" აქტიურობდნენ, მათი ლიდერი ნანა აბრამიძე რწმუნებულს სხვადასხვა ეკონომიკურ მაქინაციებში ადანაშაულებდა. "საქართველოში მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა, ყველა პოლიტიკური ძალა მუმლაძის საწინააღმდეგოდ გაერთიანდა. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გაემწარებინა გუბერნატორს ხალხი, რომ ოპოზიცია და პოზიცია ერთად დამდგარიყო," - აცხადებდა ნანა აბრამიძე. აქციის მიმდინარეობის პერიოდში დათო მუმლაძე სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში არ იმყოფებოდა. მან მიტინგის შესახებ კომენტარი აქციის დაწყებამდე გააკეთა. **"აქციის მონაწილეებს პირადი მერკანტილური მიზნები ამოძრავებთ. მათი ლიდერებიდან ზოგს წიდის ბიზნესი ჰქონდა, ზოგს ჯართის, რაც უკანონო იყო და ჩემი ჩარევით აეკრძალათ. გარკვეულ პირებს კი თანამდებობაზე დანიშვნა ყოველგვარი კონკურსის გარეშე მუშტების ქნევით სურდათ. როცა მათი მოთხოვნები არ დავაკმაყოფილე, დამიპირისპირდნენ. თუკი საზოგადოებას სურს, რომ აღნიშნული კაპრიზების შესრულებით ვიაროთ, სხვა საქმეა, მაგრამ მგონი ეს დრო უკვე გავიარეთ,"** - განაცხადა აქციასთან დაკავშირებით დათო მუმლაძემ. საპროტესტო მიტინგი კი დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა და მშვიდობიანად დასრულდა.

# სადამდე მიიყვანს რუსეთს დემოკრატთა დუმილი?

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

როცა რუსეთის პრეზიდენტმა ხელისუფლების ვერტიკალის განმტკიცება გამოაცხადა, ბევრმა ეს ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის მობრუნების მცდელობად აღიქვა. ოპოზიცია უმალ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა: თვითლიკვიდაციის მიზეზი კრემლის მიერ დაწესებული შეზღუდვები იყო - პირველ რიგში, სიტყვის თავისუფლების სფეროში. მემარჯვენე ძალთა ლიდერებიდან მაშინ ვინ ბიზნესს დაუბრუნდა, ვინ - ოჯახს. ირინა ხაკამადა, მაგალითად, ერთ-ერთ ბრიფინგზე ამბობდა, სანამ ვლადიმირ პუტინი ავტორიტარულ სახელმწიფოს ააშენებს, ჩვენ, დემოკრატებმა თვითლიკვიდაცია უნდა გამოვაცხადოთო. დემოკრატები მართლაც დადუმდნენ. ეს დუმილი ბესლანის ტრაგედიამდე გაგრძელდა. ხოლო როცა ბესლანში მომხდარი ტერაქტის დროს მძევალთა მორიგი გათავისუფლების "უნაკლო" სპეცოპერაციას ასობით უდანაშაულო ადამიანთა, მათ შორის, ბავშვების მსხვერპლი მოჰყვა, რუსმა დემოკრატებმა ისევ გამოიღვიძეს.

მოსკოვში რუსი მემარჯვენეების ინიციატივით მოწვეულ მრგვალ მაგიდაზე რუსეთის მემარჯვენე ძალთა პოლიტიკური საბჭოს წევრები თანამოაზრეებს კონსოლიდაციისაკენ მოუწოდებდნენ. ბორის ნემცოვის აზრით, დღეს რუსეთში საჭიროა მთლიანად რუსული პოლიტიკის ლიბერალური ფლანგის რეორგანიზაცია. ის პოლიტიკოსები, ვინც კარგად იცნობენ პოსტსაბჭოთა, პოსტსოციალისტური ლიბერალიზმის თავისებურებებს, ამბობენ, რომ პუტინის მიერ ქვეყანაში გამოცხადებული რევოლუციური გარდაქმნები რუსეთის სახელმწიფოებრივ სისტემას ისევ სტალინური ეპოქის წიაღში მიაბრუნებს. მით უფრო, რომ რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში რკინის ხელისა და რკინისებური დისციპლინის მოთხოვნილება იზრდება. ეგორ გაიდარის აზრით, პუტინის ახალი რეფორმები რუსეთში უკანონობას გააბატონებს, რადგანაც რევოლუცია, მისი აზრით, უწესრიგობის გრძელი პერიოდია, როცა საგანგებო რეჟიმში მცხოვრები სახელმწიფო თავის ფუნქციებს ვერ ასრულებს.

კარდინალურად განსხვავებული მოსაზრებისაა რუსი სამართალდამცველი ვალერია ნოვოდვორსკაია, რომელიც ამტკიცებს, რომ პუტინის რეფორმები რუსი დემოკრატების გამოსაფხიზლებელი ფარსია, რაც დასავლეთის თვალში ქულების ჩასაწერად სჭირდება: "აი, ხომ ხედავთ, საგანგებო პირობებშიც კი დემოკრატთა მიტინგებსა და გამოსვლებს მოსკოვში არავინ კრძალავსო. სინამდვილეში ხაკამადაცა და ჩუბაისიც, და ჩვენ ყველანი მიულერის "კოლპაკის" ქვეშ ვართ. პირადად მე ციხით ვერავინ გამაკვირვებს," - ამბობს იგი. ნოვოდვორსკაია ამტკიცებს, რომ რუსეთში დემოკრატიამ ყველას ჭირი მოჭამა. "ახლა იწყება ჩვენი დუმილისა და არსებულთან შერიგების რეჟიმი, სადაც წაგებულია ყველა. პირველ რიგში რუსი ხალხი და მერე - ბატონი პრეზიდენტი."

პუტინის ახალი რეფორმის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა ბორის ელცინმაც, ვისი კურსისა და პოლიტიკის გამტარებლადაც ითვლებოდა დღემდე რუსეთის ახალგაზრდა პრეზიდენტი. პოპულარული გაზეთი "მოსკოვსკიე ნოვოსტი" გუშინდელ ნომერში აქვეყნებს ვრცელ ინტერვიუს ელცინთან. "მე მტკიცედ მწამს, რომ ის ზომები, რასაც ქვეყნის ხელმძღვანელობა ბესლანის შემდეგ გაატარებს, იმ დემოკრატიული თავისუფლების კალაპოტში იქნება მოქცეული, რაც უკანასკნელი ათწლეულის რუსეთის ფასეულ მონაპოვარს შეადგენს," - აცხადებს ბორის ელცინი ამ ინტერვიუში. "ჩვენ თავს არ მივცემთ იმის უფლებას, უარი ვთქვათ იმ კონსტიტუციის სულზე, რომელიც ქვეყანამ მიიღო 1993 წლის სრულიად სახალხო რეფერენდუმით, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფლების მოხრჩობა, დემოკრატიული უფლებების შეკვეცა - ეს, ყველაფერთან ერთად, ტერორისტთა გამარჯვებაცაა," -ამბობს ელცინი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონიდან 16 სექტემბერს რეზერვისტების ერთთვიან შეკრებაზე 47 მოხალისე გაემგზავრა. შეკრება ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში გაიმართება. მოხალისეთა გამგზავრებას ორგანიზება გაუწია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ და ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა თემურ ჭეიშვილმა. მოხალისეთა უმრავლესობა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანამშრომელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა კავკასიასა და შუა აზიაში თავის წარმომადგენლად რობერტ სიმონესი დანიშნა. გამორიცხული არ არის, უახლოეს თვეებში სხეფერმა თავისი წარმომადგენელი აღნიშნული რეგიონების ქვეყნების ხელმძღვანელებს თავად წარუდგინოს. სიმონესმა დანიშვნის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე მუშაობის რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება გამოყო: კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებისა და ნატო-ს შეიარაღებული ძალების ეფექტური ურთიერთქმედების მიღწევა, კონსულტაციები პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, დახმარება რეფორმების განხორციელებაში. "ნატო არ აპირებს ამ რეგიონებში ცალკე სამშვიდობო მისიის განხორციელებას. ამის წინაპირობები არ არსებობს. ყურადღება გამახვილდება მათ მონაწილეობაზე ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციებში. მაგალითად, საქართველოს უკვე გაგზავნილი ჰყავს ქვედანაყოფი ავღანეთში," - განაცხადა სიმონესმა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# არაფრისმომცემი პოლიტიკური დებატები

პირველი გვერდიდან

**"როცა დავბრუნდი, ბიუროს დახურულ სხდომაზე ყველას მივმართე და განვაცხადე, რომ იქაურობისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიგვექცია. უმრავლესობის წარმომადგენლებმა კი, ლამის, სასამართლო მომიწყვეს და განაცხადეს, რომ პროვოკატორი ვარ. ამასთან, თურმე, ირაკლი ოქრუაშვილის ნებართვის გარეშე ცხინვალში ჩასვლა არავის შეეძლო. ძალიან გთხოვთ, როდესაც ბრალდებებსა და საზღვარგარეთ დასვენებებზე საუბრობთ, თვალი გადაავლოთ იმ ფაქტს, რომ ყველაზე მწვავე სიტუაციაში საქართველოს პირველი პირი - მიხეილ სააკაშვილი - დიდ ბრიტანეთში ვიზიტისას ღამეებს ლონდონის დისკოთეკაზე ატარებდა. ჩემთვის აღმოჩენაა ისიც, რომ თურმე არ შეიძლებოდა ოპოზიციას დაესვა კითხვები და დაეყენებინა დებატების გამართვის საკითხი,"** - განაცხადა დავით გამყრელიძემ. მისივე განცხადებით, **"ერგნეთის ბაზრობაზე კონტრაბანდა დღესაც გრძელდება და მასში საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები არიან ჩართული, მათ შორის - პრეზიდენტის რწმუნებული. არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ერგნეთის ბაზრობაზე მნიშვნელოვანი წილი აქვს პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლში მიხეილ ქარელს, მის მამას და ასევე მისი ოჯახის სხვა წევრებს."**

რაც შეეხება თავად სამხედრო ოპერაციას: გამყრელიძის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა ცხინვალის რეგიონში წარმატებული სამხედრო ოპერაციის ჩატარების ის შანსი, რომელიც მას საერთაშორისო საზოგადოებამ მისცა. **"საქართველოს ხელისუფლებამ კოკოითი პოლიტიკურ ფიგურად აქცია იმ დროს, როცა ეუთო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად მუშაობდნენ იმაზე, რომ გუშინდელი კრიმინალი კოკოითი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე დაეთანხმებინათ,"** - აღნიშნა მან. გარდა ამისა, გამყრელიძის განცხადებით, ცხინვალის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საინვესტიციო გარემოზე; კერძოდ, თითქმის ყველა ამერიკელმა და ევროპელმა ინვესტორმა უარი თქვა საქართველოში ინვესტიციის განხორციელებაზე მას შემდეგ, რაც კონფლიქტის ზონიდან საერთაშორისო ტელეარხების რეპორტაჟები იხილა.

დავით გამყრელიძემ ხელისუფლებასა და საპარლამენტო უმრავლესობას მოუწოდა, რომ მათ არა ოპოზიციის, არამედ მტრების დამარცხებაზე ეფიქრათ.

მოგვიანებით, დებატების დასრულების შემდგომ, დავით გამყრელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი უკმაყოფილო იყო დებატების შედეგებით, რადგან ოპოზიციამ ვერც ერთ კითხვაზე ნორმალური პასუხი ვერ მიიღო.

ასეთი რეაქცია სავსებით ლოგიკური იყო, რადგან პასუხები, რომელიც უმრავლესობის მხრიდან გაისმა, სრულიად სხვა პათოსით - ოპტიმიზმითა და მომავლის რწმენით იყო გაჟღენთილი.

თავიდან ოპოზიციონერებს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა უპასუხა, რომლის თქმითაც, ცხინვალის პრობლემა მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ერგნეთის ბაზრობა გადაკეტა. **"ცხინვალის რეგიონში სიტუაციის ესკალაცია სწორედ ამ საკითხს უკავშირდება. ჩვენ არ ვაპირებდით კონტრაბანდასთან შეგუებას და საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას შესწევდა იმის უნარი, რომ ეს პრობლემა გადაეწყვიტა. კონტრაბანდიდან შემოსული ფული კოკოითისა და მისი ახლობლების ჯიბეებში მიდიოდა. ეს ყველაფერი კი რუსეთიდან იმართებოდა. ერგნეთის ბაზრობაზე ყოველწლიურად დაახლოებით 100 მილიონი ლარი ბრუნავდა, აქედან გამომდინარე, საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად ზარალდებოდა. ბუნებრივია, შემოსავლების მოკლებას ამ ხალხის გააქტიურება მოჰყვა, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ კი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ გარკვეული კონტრზომების განხორციელება დაიწყო, რაც, პირველ რიგში, ცხინვალის გავლით თავისუფალი მიმოსვლის შეწყვეტაში გამოიხატა. საქართველოს მოსახლეობა ამის გამო სრულ ბლოკადაში მოექცა და ხელისუფლებამ შემოვლითი გზების გახსნის გადაწყვეტილება მიიღო, რათა არ დაეტოვებინა ბლოკადაში ათიათასიანი ქართული მოსახლეობა. ამას მოჰყვა 50 ქართველი ჯარისკაცის ტყვედ აყვანა და კონფლიქტის სერიოზული ესკალაცია. 13 აგვისტოს ხელი მოეწერა დოკუმენტს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, თუმცა, იმავე ღამეს ოსური მხრიდან განხორციელებული გასროლის შედეგად დაიღუპა ქართველი ჯარისკაცი, რასაც ბუნებრივად მოჰყვა კონფლიქტის გაგრძელება. ამის მიუხედავად, ქართველ ჯარისკაცებს პოზიციები არ დაუტოვებიათ. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონიდან ქართული შენაერთების გამოყვანას, ეს მას შემდეგ მოხდა, როცა კოკოითის მთავრობამ დაინახა, რომ საქართველოს ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებდა. ქართულმა მხარემ გაანადგურა ის შენაერთები, საიდანაც ბოლო დღეებში ხდებოდა მასირებული ცეცხლის გახსნა ქართული სოფლებისა და საჯარისო ნაწილების მიმართულებით; უფრო მეტიც, დაიბომბა ცხინვალი. ამის შემდეგ კოკოითის ხელისუფლებამ ცხინვალის გზაზე თავისუფალი მიმოსვლის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. გზის გახსნის შემდეგ კი ქართული ჯარების იქ ყოფნის აუცილებლობა აღარ იყო და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ ნაბიჯით ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში მცხოვრები თავისი მოსახლეობა მიატოვა, სრული აბსურდია. კოკოითი დარწმუნდა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ მოერიდებოდა მის თავხედურ გამოხდომებს და საკადრის პასუხს გასცემდა,"** - განაცხადა ოქრუაშვილმა და იქვე "ახალ მემარჯვენეებსაც" შეუტია. მისი ღრმა რწმენით, ოპოზიციის და, კერძოდ, დავით გამყრელიძის გააქტიურება ტექდათვალიერების გაუქმებას უკავშირდებოდა, რის გამოც მან დიდი შემოსავლები დაკარგა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ოპოზიციაცა და პოზიციაც საკუთარ პოზიციებზე დარჩა და ერთმანეთის მიმართ პატივისცემა უფრო მეტად დაკარგა.

ბუნებრივია, ამ ბრალდებამ დავით გამყრელიძე საკმაოდ გააღიზიანა. მან ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას სრული აბსურდი უწოდა, თუმცა, მინისტრის ასეთი პირდაპირი გამოსვლით გახარებული უმრავლესობის წარმომადგენლები ადგილებიდან ადასტურებდნენ ოქრუაშვილის სიტყვების სიმართლეს.

ერთი სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო, ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებაზე საუბარს ავტომატურად მოჰყვა ურთიერთბრალდებები და ერთმანეთის პოლიტიკურ სიბეცეში, ინტელექტისა და პოლიტიკური ალღოს უქონლობაში დადანაშაულება.

დაახლოებით, იგივე სცენარით წარიმართა "რესპუბლიკელი" ივლიანე ხაინდრავასა და უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის - გიორგი არველაძის შეპაექრებაც, თუმცა არველაძის მხრიდან ბრალდება გაცილებით სერიოზული იყო. მან ხაინდრავას პირდაპირ უწოდა "მეხუთე კოლონა". ეს კი მას მერე მოხდა, რაც რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა ღიად და საჯაროდ გააკრიტიკეს საქართველოს ხელისუფლება. კერძოდ, მან სააკაშვილის მთავრობა კოკოითის ხელისუფლების გაძლიერებასა და მოკავშირეთა გაღიზიანებაში დაადანაშაულა და მის მოქმედებას "ომობანას უპასუხისმგებლო თამაში" უწოდა. ხაინდრავას ბრალდებებს გიორგი არველაძე შემდეგი განცხადებით გამოეხმაურა: **"ჩემთვის სამარცხვინოა, რომ საქართველოს პარლამენტში ამგვარი დეპუტატები გამოდიან. ხაინდრავას დღევანდელი განცხადებები არაფრით ჩამოუვარდებოდა ბაბურინისა და ჟირინოვსკის გამოსვლებს. მოვითხოვ, რომ სტენოგრაფისტებმა გაშიფრონ და ამოიღონ ივლიანე ხაინდრავას დღევანდელი გამოსვლა და თითოეულ დეპუტატს დაურიგონ."**

გუშინ ხელისუფლების მიმართ საკმაოდ აგრესიული იყო დამოუკიდებელი დეპუტატი კობა დავითაშვილიც. მისი თქმით, ის პროცესები, რომელიც ცხინვალის რეგიონში მიმდინარეობდა, არ იყო ლოგიკური და წარმატებული. **"იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას რუსეთის ჯარებისთვის სამშვიდობო სტატუსი გაეუქმებინა, კონფლიქტის ზონიდან ქართული ჯარები გამოიყვანა. ეს, არა მგონია, სწორი გადაწყვეტილება იყო. აგრეთვე შეცდომა იყო საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება სტრატეგიული სიმაღლეების მტრებისთვის გადაცემის თაობაზე. დღევანდელი ხელისუფლების ქმედებები დიდად არ განსხვავდება წინა ხელისუფლების ქმედებებისგან. გრძელდება შევარდნაძის პოლიტიკა, რომელიც რუსეთთან კუდის ქიცინს ჰგავს. სანამ ქვეყანა განვითარების კურსს არ შეცვლის და ადამიანის უფლებათა დაცვის და დემოკრატიის განვითარების მიმართულებით არ წავა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეს. აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნებას საქართველო მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პირობებში შეძლებს, ვინაიდან დასავლეთი ავტორიტარულ ქვეყანას მხარს არასოდეს დაუჭერს. რატომ გვიკვირს ამერიკის გულცივობა და მისი ელჩის საქართველოში რიჩარდ მაილსის არასასურველი კომენტარები? ერაყის გამო აშშ-ის და საფრანგეთის გართულებული ურთიერთობების ფონზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად საფრანგეთის მოქალაქეს ვნიშნავთ, ხოლო ეკონომიკის მინისტრად - რუსეთის მოქალაქეს, რომლისგანაც საქართველოს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების რუსეთისთვის გადაცემას ველით. არც ის არის სწორი, როდესაც რუსეთის წრეებთან დაახლოებული პირი თემურ ალასანია საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს ესწრება, თუნდაც ის პრეზიდენტის ბიძა იყოს,"** - ამგვარია მისი გამოსვლის ძირითადი პათოსი.

საბოლოოდ კი, როგორც უკვე ვთქვით, ოპოზიციაცა და პოზიციაც საკუთარ პოზიციებზე დარჩა და ერთმანეთის მიმართ პატივისცემა უფრო მეტად დაკარგა. სხვათა შორის, მათ ერთმანეთისთვის არც წარსული ქმედებების შეხსენება დავიწყებიათ და სხდომა ქართული პოლიტიკისათვის ჩვეულ კალაპოტში წარიმართა. საბოლოოდ კი, მრავალგზის რეკლამირებული დებატები სრულიად უშედეგოდ დასრულდა, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო.

# ქართულ-რუსული რინგი ასტანაში

პირველი გვერდიდან

**დღევანდელ გადაწყვეტილებაშიც ჩაწერილია, რომ წევრი სახელმწიფოები თავს შეიკავებენ ცალმხრივი აქტებისა და მოქმედებისგან, რომელიც არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას,"** - ასეთი განცხადებით უპასუხა მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს იმის თაობაზე, თუ რა გადაწყვეტილება მიიღეს საბოლოოდ სამიტზე აფხაზეთთან მიმართებაში.

ბოლო დროს დაძაბული რუსულ-ქართული ურთიერთობების გარკვევა ასტანაში აფხაზეთის, უფრო ზუსტად კი - "სოხუმი-მოსკოვის" სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენით დაიწყო. პრეზიდენტის განცხადებით, აფხაზეთის საკითხი დსთ-ს სხვა სამიტებზეც საკმოდ მწვავედ ისმებოდა. და, ამდენად, მიხეილ სააკაშვილი მიღებული გადაწყვეტილების გამო "თანამეგობრობის, მათ შორის - რუსეთის მხარდაჭერის გამო იყო მადლიერი." **"იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს დადგენილებები აუცილებლად შესრულდება. ჩვენი მხრიდან ვაცხადებთ, რომ დავიცავთ შეთანხმებას. ჩვენ ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში კონფლიქტების მშვიდობიანი, თანმიმდევრული გადაწყვეტის მომხრე ვართ. სამიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იმ საკითხებთან მიმართებაში, რაც აფხაზეთის თაობაზე წარმოიშვა."** საქართველოს პრეზიდენტის ამგვარი განცხადების ფონზე ქართველ ჟურნალისტებს ბუნებრივად გაუჩნდათ კითხვა: ხომ არ მიგაჩნიათ, რომ "სოხუმი-მოსკოვის" სარკინიგზო რეისის აღდგენა კიდევ უფრო უარყოფით გავლენას ახდენს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე? ქართველი ჟურნალისტის მიერ დასმულ ამ, პუტინის შეფასებით, "ჯიქურ კითხვას" რუსეთის პრეზიდენტმა ასევე "პირდაპირ" უპასუხა. თუმცა, ვლადიმირ ვლადიმირის ძის "პირდაპირი" და "გულახდილი პასუხის" შემდეგ მხოლოდ იმის გარკვევა შეიძლება, რომ რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად ავბედითი სარკინიგზო მარშრუტის დაბლოკვას არ აპირებს; მარშრუტის აღდგენის გამო რუსეთის ხელისუფლების პირადაპირ პასუხისმგებლობაზე უარს ამბობს, მაგრამ არც კერძო სტრუქტურას ადანაშაულებს.

**"ჩვენი მტკიცე შეხედულებით, კონფლიქტის გადაწყვეტა პოსტსაბჭოთა სივრცეში და, საერთოდაც, შესაძლებელია დიალოგის გზით, ყველა იმ მხარის ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც შეშფოთებულნი არიან დსთ-ს ზოგიერთ რეგიონში შექმნილი მდგომარეობით. მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური, მით უფრო - სამხედრო ზეწოლა პრობლემის გადაწყვეტაში არ დაგვეხმარება. სხვა სიტყვებით, ეს გზა ტაძრამდე არ მიგვიყვანს... რაც შეეხება ჩვენს იურიდიულ თავალთახედვას - მიგვაჩნია, რომ ყველა ადრინდელი და ახლანდელი გადაწყვეტილება, ასევე 1996 წლის გადაწყვეტილება, არ ზღუდავს არასახელმწიფო ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობას. და მესამე, ჩვენ ჯერ კიდევ სოჭში წინა პრეზიდენტთან ვსაუბრობდით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და დევნილების გალის რაიონში დაბრუნების სინქრონიზების თაობაზე. დამოუკიდებელ ექსპერტთა დაანგარიშებით, დაახლოებით 50-60 ათასი დევნილია დაბრუნებული. და მეოთხე, ეს გზა 2002 წლიდან ფუნქციონირებდა. იგი საშინელ მდგომარეობაში იყო და სააქციო საზოგადოება "რუსეთის რკინიგზა" იძულებული იყო, უბრალოდ ჩაეტარებინა იქ რაღაც სარემონტო სამუშაოები. კონკრეტულად რა, არ ვიცი."** რკინიგზასთან დაკავშირებით გაჩენილ დამატებით კითხვებზე პასუხს პუტინი სააკაშვილს პრესკონფერენციის შემდეგ გამართულ პირისპირ საუბრისას დაჰპირდა; თუმცა პრეზიდენტთა დისკუსია აფხაზეთის თემაზე ადგილზევე გაგრძელდა.

**"ვეთანხმები ვლადიმირ პუტინს, რომ ყველა საკითხი დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს. ვთვლი, რომ რუსეთს შეუძლია და უნდა შეასრულოს პოზიტიური როლი ყველა პოსტსაბჭოთა კონფლიქტის გადაწყვეტაში... ამასთან ერთად, მინდა ვთქვა, რომ 300 ათასი ქართული წარმოშობის მოქალაქე განდევნილი იყო აფხაზეთიდან. მათი აფხაზეთის ერთ, ცალკე აღებულ რაიონში ქაოტურ დაბრუნებაზეც რომ ვილაპარაკოთ, უნდა ვთქვათ, რომ აქ მათ არა აქვთ არანაირი უფლებები. ფაქტობრივად, მონების უფლებებით დაბრუნდნენ, საიდანაც ნებისმიერ წუთს შეიძლება განდევნონ. მათ საკუთარ ენაზე სწავლის უფლება წაართვეს. მათთან მიმართებაში მუდმივი ტერორი ხორციელდება - ეს კონფლიქტის გადაწყვეტას ხელს არ უწყობს. ჩვენ მზად ვართ, ყველა ეს საკითხი გადავწყვიტოთ როგორც ორმხრივი მოლაპარაკებების, ისე უშუალოდ სეპარატისტებთან მოლაპარაკებების ფორმატში,"**-დააზუსტა სააკაშვილმა.

**"მინდა ჩემი კოლეგების, ქართველი კოლეგის ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ დევნილების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც დაბრუნებულია. პრობლემა რჩება, მაგრამ ეს მოლაპარაკებების საკითხია,"** - კვლავ თავისი სამრეკლოდან შემოკრა ზარი რუსეთის მეთაურმა. რა გაარკვიეს პირისპირ საუბრისას პრეზიდენტებმა დამატებით ამ საკითხებზე, ჯერ უცნობია. თბილისში გუშინვე დაბრუნებულმა სააკაშვილმა აეროპორტი უკომენტაროდ დატოვა. თუმცა ცნობილი გახდა, რომ ცოტა ხანში, დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა არაოფიციალურ სამიტზე პრეზიდენტების შეხვედრა კვლავ გაიმართება.

თვალსაზრისი

# ერეკლეს მოედნის საიდუმლოებანი

ნოდარ ლადარია

თავის წიგნში "საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება" გიგი თევზაძე წერს: "საქართველოს მასმედიაში დიდი ხანია ... არსებობს ტაბუირებული თემები. როდესაც გარღვევა ხდება, ეს, ადრე თუ გვიან, ამ ტაბუდადებულის მკვეთრ ცვლილებას იწვევს ... ტაბუები კვლავაც არსებობს ... დღევანდელ საქართველოში ესენია - ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა, ეკლესია, კაზინოების (უკაცრავად, სამორინეების) ბიზნესი. ალბათ, მათი გან-ტაბუებაც მალე დაიწყება. შუა საუკუნეებიდან გამოსვლა ალბათ ამ შემთხვევაში ტაბუების მოხსნას ნიშნავს. გან-ტაბუება არ ნიშნავს კრიტიკას. გან-ტაბუება ზრდასრულ ასაკში შესვლის დასაწყისია, რაც თავისთავად ცვლის გარემოს ... სანამ ჩვენს მასმედიაში ტაბუ იარსებებს, შუა საუკუნეებიდან გამოსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია". დღეს ნანატრმა "გან-ტაბუებამ" უკვე საკმაოდ შემოაღო კარი ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ არც საძაგელი ტაბუირება თმობს პოზიციებს. შეიძლება ითქვას, იგი ფორმას იცვლის...



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა კათოლიკოს-პატრიარქისა და საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა. ეს მოვლენა შემდეგი ორი ეპითეტით დახასიათდა: "დახურულ კარს მიღმა" და "გასაიდუმლოებული".

2004 წლის 13 სექტემბერს საქართველოს მედიამ გვაუწყა, რომ საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა კათოლიკოს-პატრიარქისა და საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა. ეს მოვლენა შემდეგი ორი ეპითეტით დახასიათდა: "დახურულ კარს მიღმა" და "გასაიდუმლოებული". ახლა არ დავიწყებთ გაუცნობიერებელ განწყობათა და უსიტყვო შეთანხმებათა იმ კვანძის გახსნას, რომელიც ამ ორი ეპითეტის უკან იმალება, გაცილებით უფრო პროდუქტიული იქნება, საერთოდ რომ არ მივაქციოთ ყურადღება ამ კვანძის არსებობას და ერთი დაკვრით მოვიშოროთ ის თავიდან. ამგვარად, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება იმ მდგომარეობისაკენ, როცა მედია აღარ იქნება დამოკიდებული დახურულ კარს მიღმიდან გამოსული პოლიტიკოსების მწირ ქარაგმებზე და ხელისუფლებაც უფრო პირნათლად შეიფერებს ხალხის მიერ არჩეულის წოდებას. სხვა თუ არაფერი, იმთავითვე ცხადი იყო, რომ ქვეყნის პრეზიდენტსა და მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს შორის საუბარი ვერავითარ სახელმწიფო საიდუმლოებას ვერ შეეხებოდა, მისდამი საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილება კი ნამდვილად საშური საქმეა...

მაშ ასე, შეხვედრას ესწრებოდნენ: სახელმწიფოს მხრიდან — პრეზიდენტი სააკაშვილი, პრემიერ-მინისტრი ჟვანია; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მხრიდან — კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), ახალციხის, ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე), ხონისა და სამტრედიის მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია), ვანისა და ბაღდათის მთავარეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია).

თავიდანვე პრეზიდენტს მოახსენეს: სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა იძაბება! საუბრის განმავლობაში კი განიხილეს სამი თემა.

**პირველი თემა**: 11 სექტემბერს საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე გასული ტოკ-შოუ, რომელიც ტერორიზმის თემისადმი იყო მიძღვნილი. საპატრიარქოს მხარემ ეს გადაცემა რატომღაც მართლმადიდებლობის წინააღმდეგ დადებული ნაღმის აფეთქებად აღიქვა. უნდა ითქვას, რომ უსაშველოდ გაგრძელებული ტოკ-შოუ ჩვეულებრივზე უფრო დუნედ და გრილად ჩატარდა. მისი ყველაზე მკაფიო შედეგი იმის გამჟღავნება იყო, რომ სახელმწიფო მინისტრს, გ. ხაინდრავას საკმარისი წარმოდგენა არ ჰქონია კერძო პირსა და სახელმწიფო მოხელეს პასუხისმგებლობათა შორის განსხვავების შესახებ. ერთადერთი შეურაცხმყოფელი განცხადება გადაცემის მსვლელობისას სწორედ მისი მხრიდან გაკეთდა პროტესტანტ ქრისტიანთა მიმართ, რომელთაც მინისტრმა ლომის ბოკვერების მონათვლა დააბრალა ბასილ მკალავიშვილის ერთ-ერთი ინტერვიუს საფუძველზე! ამის მიუხედავად, საპატრიარქოს მხრიდან გ. ხაინდრავა დახასიათებული იქნა როგორც "მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული შვილი". ტოკ-შოუზე ეს, ალბათ, გ. ხაინდრავას მიერ წამოყენებული ერთი უცნაური "თეოლოგუმენით" დამტკიცდა: სახელმწიფო მინისტრის მტკიცებით, ქართული მართლმადიდებლობა (რუსულისგან განსხვავებით) სახარებაზეა დაფუძნებული. ნეტა რუსული მართლმადიდებლობის საფუძველი რა უნდა იყოს? მაგრამ ამის ცოდნა სულ არ მოეთხოვება ეკლესიის ერთგულ შვილს: საკმარისია ხელზე სკვნილი ჰქონდეს შემოხვეული.

ერთი სიტყვით, საპატრიარქოს მხარემ აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ პირველმა არხმა (მათი გაგებით, ეს ხომ სახელმწიფო არხია!) ის "გაბედა", რაც "რუსთავი 2"-საც კი არ გაუბედია! ძნელია ამ პრეტენზიის შინაარსში გარკვევა, მაგრამ ეს სიძნელე ერთადერთ ამოხსნას გვკარნახობს: ფსიქოლოგიური შეტევა ხელისუფლებაზე.

პრეზიდენტმა ეს შეტევა იმით მოიგერია, რომ საეკლესიო პერიოდიკასა და საპატრიარქოს რადიოში ხელისუფლების წევრებს მასონებს ეძახიან და მათ წინააღმდეგ მოუწოდებენ. პასუხიც შესაბამისი მიიღო: ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით!

დასკვნა: საქართველოს საპატრიარქო ხელისუფლებისაგან მედიაზე კონტროლის შემოღებას ითხოვს. გარდა ამისა, აშკარაა დასავლეთ ევროპის მიტორპოლიტის, აბრაამის ავტორიტეტზე თავდასხმა — ეკლესიის მხრიდან მეუფე აბრაამი გადაცემის მთავარი მონაწილე იყო.

**მეორე თემა**: 5 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა დმანისში, სადაც დმანელი ეპისკოპოსის, ზენონის მიერ დაჯილდოვდა მეფე ვახტანგ მესამის სახელობის ორდენით. ავტოკეფალურ ეკლესიებში (საბერძნეთი, რუმინეთი, რუსეთი) არსებული ტრადიციების თანახმად, ცალკეულ ეპარქიებს აქვთ საპატიო ორდენის დაარსების უფლება. ეს ორდენები არანაირ შეღავათებს ან განსაკუთრებულ უფლებებს არ გულისხმობს და მხოლოდ პატივისცემის ნიშანია. სწორედ მსგავსი ორდენი შემოიღო ეპისკოპოსმა ზენონმა და პირველი ჯილდო საქართველოს პრეზიდენტს მიანიჭა. საპატრიარქოს მხრიდან პრეზიდენტმა ამისთვის საყვედური მიიღო: თურმე მეუფე ზენონს ორდენის დაარსების უფლება არ ჰქონდა, თვით ორდენი კი "ყალბია". ამგვარ არგუმენტს არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველი ეპისკოპოსი თავის თავში ატარებს საეკლესიო ძალაუფლების სისრულეს. მაშინ რატომ გამოიწვია დმანისის მოვლენამ აღშფოთება?

პასუხი თვით პრეზიდენტის საპატრიარქოში მოწვევის მექანიზმში უნდა ვეძიოთ: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი უკავშირდება პრემიერ-მინისტრს ჟვანიას, პრემიერ-მინისტრი კი უზრუნველყოფს პრეზიდენტის ვიზიტს. სხვათა შორის, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ზურაბ ჟვანიამ მიღებაზე უარი უთხრა ორ მღვდელმთავარს: დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტს, აბრაამს და დმანელ ეპისკოპოსს, ზენონს — პრემიერ-მინისტრსა და საპატრიარქოს ერთნაირი სიმპათია-ანტიპათიები აღმოაჩნდათ, სამწუხაროდ, ძალიან ცუდად შენიღბული.

საპატრიარქოს თვალსაზრისით მოტივაცია აშკარაა: ეპისკოპოსმა რომ ექსტრემიზმსა და ძალადობას მხარი დაუჭიროს, ყველანაირად ხელს დააფარებენ, მაგრამ საკმარისია იმის ნიშნები გამოამჟღავნოს, რომ ხელისუფლებასთან კონტაქტი სურს, ქრისტესმიერი ძმები მაშინვე "დაძირავენ" — ეს პრივილეგია ერთადერთია, რომელსაც საპატრიარქოს აპარატი მნიშვნელობას ანიჭებს. სუბორდინაციის მექანიზმი მხოლოდ იმ შემთხვევებში ირთვება, როცა ვინმე, თუნდაც შემთხვევით და თუნდაც სუსტად, სახელმწიფო ძალაუფლებასთან ახლო კონტაქტის სურვილს ამჟღავნებს.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრს, აქ ეპისკოპოსთა შორის გარჩევის შინაგანი მოტივაცია არ ჩანს. როგორც ეტყობა, ის გარედანაა შთაგონებული.

**მესამე თემა**: რამდენიმე წლის წინათ შევარდნაძის მთავრობამ საპატრიარქოს გადასცა საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში მდებარე ჩოლოყაშვილების ისტორიული სასახლე, მის გვერდით არსებული წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი და ღვინის ქარხანა. საპატრიარქომ გაერთიანებული ქართული ბანკის საშუალებით გერმანული კომპანია "KFA"-საგან აიღო დიდი კრედიტი, რომლის გარანტიად ჩადო სამივე ხსენებული შენობა (მათ შორის ტაძარი!). ახლა საპატრიარქოს ვალი ნახევარ მილიონ ევროს (!) აღწევს. გარდა ამისა, დაუგროვდა საქართველოს სახელმწიფოს წინაშე გადაუხდელი გადასახადები. პრეზიდენტს სთხოვეს ამ სახელმწიფო ვალების ჩამოწერა, ამის საფუძვლად კი დასახელდა საკონსტიტუციო ხელშეკრულებაში არსებული მუხლი საბჭოთა მთავრობის მიერ მიყენებული ზარალის კომპენსაციის შესახებ.

ჯერ ერთი, გაუგებარია, რა იურიდიულ თუ უბრალოდ ზნეობრივ საფუძველზე შეიძლება დააგირავოს საპატრიარქომ ისტორიული ძეგლი და ეკლესიის შენობა; მეორეც, გაუგებარია, რატომ უნდა მიიღოს კრედიტის გამცემმა ასეთი ტიპის გარანტია; და ბოლოს, რატომ უნდა დააწვეს ამ საეჭვო გარიგების ხარჯი ქართველ გადასახადის გადამხდელებს?

როგორც ვხედავთ, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას საქართველოს საპატრიარქო ეცადა სამ რამეს: 1) თავი დაეცვა იმ საზოგადოებისაგან, რომლის თავისუფლებისა და ღირსებისათვის თავგანწირული ბრძოლა მართებს; 2) თავი დაეცვა იმ სანქციებისაგან, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა სამართლიანად აკისრებს ყველა იურიდიულ პირს; 3) მოეხდინა ხელისუფლებასთან ნებისმიერი კავშირის მკაცრი რეგლამენტაცია. არც ერთი ამ მცდელობათაგანი არ ასახავს ეკლესიის უზენაეს დანიშნულებას — საპატრიარქო მხოლოდ შუასაუკუნეობრივ ან ადრეული აბსოლუტიზმისთვის დამახასიათებელ პრივილეგიებს ითხოვს. მათგან ყველაზე დიდ ყურადღებას სახელმწიფოსთან კავშირი იქცევს.

ცალკე საკითხია, რატომ უნდა წარმოადგენდეს საპატრიარქოს ხელისუფლებასთან დამაკავშირებელ რგოლს მიტროპოლიტი დანიელი და არა სხვა ვინმე. ამ კითხვაზე პასუხს დიდი მნიშვნელობა არა აქვს: როგორც ეტყობა, მოცემულ ვითარებაში მისმა მეთოდმა გაამართლა, ან მხოლოდ მას ჰქონდა შეგნებულად შემუშავებული ის, რასაც შეიძლება მეთოდი დავარქვათ.

გაცილებით უფრო საინტერესოა, ვუპასუხოთ მეორე კითხვას: რატომ მაინცდამაინც პრემიერ-მინისტრი ჟვანია და არა სხვა ვინმე? ამ კითხვაზე პასუხიც არც თუ ისე ძნელია: სამწუხაროდ, ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური რეიტინგი საქართველოში ყოველთვის იმაზე დაბალი იყო, ვიდრე ეს პიროვნება რეალურად იმსახურებს. უკვე გვაქვს იმის გამოცდილება, რომ ამ ვითარების გასანეიტრალებლად მას ერთგვარი გარეგანი საშუალება სჭირდება. ფუნქცია, რომელიც 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურმა დაჯგუფებამ შეასრულა, ამჯერად საქართველოს საპატრიარქოს დაეკისრა. ეს მდგომარეობა კი, ბუნებრივია, გარკვეულ იმედებს ულვიძებს მიტროპოლიტ დანიელსაც. თუმცა ეს შესანიშნავად მოფიქრებული პროექტი, შესაძლოა, მარცხის პირასაა: როცა ქვეყანა ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაშია, მსგავსი წვრილმანებით მისი უპირველესი ხელისუფალის შეწუხება, სხვა თუ არაფერი, გემოვნების ნაკლებობაა.

მიხეილ სააკაშვილის რეაქცია სრულიად ადეკვატური იყო: ის გამზადებულ საგანგებო ვახშამზე არ დარჩა.

# სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო "შავ სიას" აქვეყნებს

დიანა ჩაჩუა

*სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქვეყნებს იმ არასაიმედო მიმწოდებელთა "შავ სიას", რომლებმაც დაარღვიეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნები, ან ვერ უზრუნველყვეს ხელშეკრულებით (მათ შორის, განზრახვათა შესახებ ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რითიც პრობლემები შეუქმნეს სახელმწიფო სტრუქტურათა გამართულ ფუნქციონირებას.*

სააგენტოს ინფორმაციით, "არასაიმედო მიმწოდებლები" არიან: **შპს "საფარი", შპს "ლიბო", ინდივიდუალური მეწარმე "გენადი ოდიკაძე", ინდივიდუალური მეწარმე "მანუჩარ ხუჯაძე"**. ინფორმაცია არასაიმედო მიმწოდებელთა შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე http://www.spa.iatp.ge და იგი გათვალისწინებული იქნება შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას.

სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი მელაძის განცხადებით, სააგენტოს განზრახული აქვს, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გაამკაცროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების ადმინისტრირება და დამრღვევთა მიმართ გაატაროს შესაბამისი ზომები.

**შპს "საფარი"**

საქტელემაუწყებლობის მიერ 2004 წელს რბილი სახურავის მოწყობისთვის ჩატარებულ ფასთა კოტირების პროცედურაში შპს "საფარმა" გაიმარჯვა, თუმცა, შემდგომ უარი განაცხადა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე.

**შპს "ლიბო"**

საქტელერადიომაუწყებლობის მიერ 2004 წელს სამაუწყებლო ტექაღჭურვილობის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე ღია ტენდერი გამოცხადდა, რომელშიც შპს "ლიბომ" გაიმარჯვა, მაგრამ შემდგომ უარი განაცხადა საქტელერადიომაუწყებლობასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე.

**ინდივიდუალური მეწარმე "გენადი ოდიკაძე"**

იუსტიციის სამინისტრომ 2004 წელს კვების პროდუქტების შესყიდვაზე ღია ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში გაიმარჯვა ინდ. მეწარმე "გენადი ოდიკაძემ", რომელმაც შემდგომ უარი განაცხადა იუსტიციის სამინისტროსთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე.

**ინდივიდუალური მეწარმე "მანუჩარ ხუჯაძე"**

იუსტიციის სამინისტრომ 2004 წელს კვების პროდუქტების შესყიდვაზე ღია ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც ინდ. მეწარმე "მანუჩარ ხუჯაძემ" გაიმარჯვა, მაგრამ მოგვიანებით უარი განაცხადა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე.

თავისთავად ცხადია, რომ ამ კომპანიებს, სავარაუდოდ, ჰქონდათ საკუთარი არგუმენტაცია ხელშეკრულებების დადებაზე უარის განსაცხადებლად. შესაძლოა, ამ არგუმენტაციად ქცეულიყო თავად სახელმწიფოს "არასაიმედო პარტნიორობა". სხვათა შორის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფოსთან ერთად მისი პარტნიორების ინტერესების დაცვაც ევალება. სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მელაძე "24 საათის" კითხვას იმის თაობაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერი პარტნიორი იყო თავად ამ კომპანიებისთვის სახელმწიფო, დარწმუნებით პასუხობს, რომ სახელმწიფო ნამდვილად პირნათელია ამ ფირმების მიმართ - სახელმწიფოს მიერ წამოყენებული პირობები ფირმებმა წინასწარ იცოდნენ და ეს პირობები ტენდერის ჩატარების შემდეგ და მოლაპარაკებების პროცესში არ შეცვლილა. **"სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კომპეტენციაში მხოლოდ ფაქტის ანალიზი და მონიტორინგი შედის და არანაირად ადმინისტრაციული ზომების გატარება ამ ფირმების მიმართ. საქმე ის არის, რომ ჩვენს სააგენტოს არ გააჩნია იურიდიული ბაზა იმისა, რომ ადმინისტრაციული დასჯის ზომები გამოიყენოს. სწორედ ამიტომ სააგენტოს განზრახული აქვს, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გაამკაცროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების ადმინისტრირება და დამრღვევთა მიმართ გაატაროს შესაბამისი ზომები,"** - განაცხადა სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მელაძემ. მისივე თქმით, კანონპროექტზე მუშაობა მიმდინარეობს და იგი, სავარაუდოდ, ოქტომბერში წარდგება პარლამენტის წინაშე.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*გიორგი მელაძის განცხადებით, სააგენტოს განზრახული აქვს, გაამკაცროს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების ადმინისტრირება და დამრღვევთა მიმართ გაატაროს შესაბამისი ზომები.*

საქართველოს სალიზინგო კომპანია
GEORGIAN LEASING COMPANY

სიახლე
მეწარმეების დაფინანსებაში!

ფინანსური ლიზინგი -
მეწარმეებისათვის საჭირო დანადგარებისა და აღჭურვილობის დაფინანსება

უზრუნველყოფისა თუ გირაოს გარეშე!*

დაფინანსების მოცულობა: 20,000 აშშ დოლარიდან - 200,000 აშშ დოლარამდე.

* ლიზინგის დროს უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს თავად ლიზინგის საგანი.

საქართველოს სალიზინგო კომპანია
მეწარმეობის განვითარებისათვის ხელშეწყობა ახალი ფინანსური მექანიზმებით!

კოსტავას ქ. N70, თბილისი 0171
თბილუნივერსალბანკის შენობა, მე-2 სართული
ტელ.: (995 32) 33 27 21, ფაქსი: (995 32) 33 27 24,
ელ. ფოსტა: info@glc.com.ge

# კონტრაბანდა კვლავ არ თმობს პოზიციებს?!

*კონტრაბანდა საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე კვლავ არ თმობს პოზიციებს. მიმდინარე წლის პირველი რვა თვის მონაცემებით, ბენზინზე კონტრაბანდა - 219 ათას ტონას, ხოლო დიზელზე 136 ათას ტონას შეადგენს. შესაბამისად, წლევანდელ ბიუჯეტს 75 მილიონ 150 ათასი დოლარი დააკლდა. კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის შესახებ გუშინ საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში საუბრობდნენ. კონტრაბანდის გარდა, შეხვედრაზე საუბარი ახალ საგადასახადო კოდექსს და საწვავის ხარისხსაც შეეხო.*

დიანა ჩაჩუა

**"სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების გათვლით, ყოველთვიურად ბენზინის მოხმარება - მინიმუმ, 50 ათასი ტონის ფარგლებში, ხოლო დიზელის - მინიმუმ, 30 ათასი ტონა უნდა იყოს. ამ გათვლებით, 2003 წელს ბიუჯეტს - 124 მილიონი დოლარი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ რვა თვეში 75 მილიონ 150 ათასი დოლარი დააკლდა,"** - განუცხადა ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა შეხვედრაზე მისულ ჟურნალისტებს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კავშირის თავმჯდომარემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ირანიდან და აზერბაიჯანიდან შემომავალ ტრანსპორტზე. მისი თქმით, დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზის გამო ირანიდან და აზერბაიჯანიდან შემოსულ ტრანსპორტს დამატებითი ავზები აქვს დამონტაჟებული, მათი განბაჟება კი ვერ ხერხდება. **"ირანიდან შემოსულ ტრაილერებს შვიდტონიანი დამატებითი ავზები გააჩნიათ. მათი განბაჟება კი სუსტი საკანონმდებლო ბაზის გამო ვერ ხერხდება. ირანული ნავთობპროდუქტები საკმაოდ ხარისხიანი და იაფია, ამიტომ მომხმარებელს მათი შეძენა ურჩევნია,"** - განაცხადა მთვრალაშვილმა. ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული შეფასება არ ჰქონია შეხვედრაზე მოწვეულ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელს. დეპარტამენტის აქციზური საქონლის სამმართველოს უფროსი ზურაბ სოხაძე ამ კონტრაბანდის პრობლემის გადაჭრის გზას საკანონმდებლო ბაზის დახვეწაში ხედავს.

ამ მოსაზრებას ეთანხმება საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიც. მთვრალაშვილის თქმით, ამასთან დაკავშირებით ისინი სპეციალურ კანონპროექტს ამზადებენ. **"ვამზადებთ კანონპროექტს, რომელსაც განსახილველად პარლამენტს წარვუდგენთ. მართალია, აგვისტოს თვის მაჩვენებლების მიხედვით, ლეგალურად განბაჟებულმა ბენზინმა 36 ათასი ტონა შეადგინა, მაგრამ, ჩვენი მონაცემებით, ბენზინის ყოველთვიური მოხმარება რეალურად 50 ათასი ტონაა,"** - აღნიშნა მან. კავშირის ამ მოსაზრებას არ იზიარებს საბაჟო დეპარტამენტი. ზურაბ სოხაძის განცხადებით, ქვეყანაში ბენზინის ყოველთვიური მოხმარება 40 ათას ტონას არ აღემატება.

შეხვედრის მსვლელობისას საუბარი ახალ საგადასახადო კოდექსსაც შეეხო. მთლიანობაში კავშირის წევრები კოდექსში შესულ ცვლილებებს დადებითად აფასებენ. ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, **"ახალ საგადასახადო კოდექსში შემავალი ცვლილებების წყალობით, ბენზინის თვითღირებულება დღევანდელთან შედარებით შემცირდება, რაც მოსაწონი და მისასალმებელია."** თუმცა, ამის მიუხედავად, კავშირის წევრებს ახალ კოდექსთან დაკავშირებით გარკვეული შესწორებებიც გააჩნიათ. მაგალითად, ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ ზეთებზე, 60-პროცენტიანი აქციზის ნაცვლად, ფიქსირებული გადასახადი დაწესდეს. კავშირის დამფუძნებლების განცხადებით, ეს ხელს შეუწყობს "თეთრი ბიზნესის" განვითარებას.

ახალი საპროცენტო განაკვეთი
ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში
მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან
გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში
უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე

პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18
20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58



# თანამეგობრობის კონსოლიდირების მცდელობა

ხათუნა გაბიევი

ასტანას ორდღიანი სამიტი გუშინ დასრულდა. ფორუმს, რომლის ჩატარებაც თავდაპირველად ერთიან ეკონომიკურ სივრცეზე ყურადღების კონცენტრირებით იგეგმებოდა, დღის წესრიგი შეეცვალა და განსაკუთრებული ყურადღება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და უსაფრთხოების საკითხების გამკაცრებას დაეთმო. დღის წესრიგის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, რუსეთში ბოლო დროს გახშირებულმა ტერაქტებმა განაპირობა. სამიტის პირველივე დღეს შედგა ე.წ. ოთხეულის შეხვედრა (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი და ყაზახეთი), სადაც ძირითადი აქცენტები, თავისთავად ცხადია, ეკონომიკურ საკითხებზე გაკეთდა. ბელორუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს განცხადებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის ერთიანი ეკონომიკური სივრცის სახელმწიფოებს შეთანხმებულად მუშაობა მართებთ. "თუ ერთ-ერთი სახლემწიფოთაგანი "ოთხეულის" ქვეყნებიდან ადრე გაწევრიანდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ფიქრიც კი იმ ერთიან ეკონომიკურ სივრცეზე, რომელზედაც ახლა ვმუშაობთ, ზედმეტი იქნება," - განაცხადა ბელორუსის პირველმა პირმა. "ოთხეულის" მიერ განხილული 20 დოკუმენტის შესახებ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: "დამტკიცებულ იქნეს ერთიანი ეკონომიკური სივრცის სახელმწიფოების მიერ განხილული დოკუმენტების სია თავისუფალი ვაჭრობის ზონისთვის სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად და მომზადებულ იქნეს ხელმოსაწერად 2005 წლის 1 ივლისისთვის". რაც შეეხება დანარჩენ 9 დოკუმენტს, ისინი მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, "ოთხეულის" მორიგ სამიტზე განიხილება.

ერთიანი ეკონომიკური სივრცის გაფართოებულ სხდომაზე პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა, აიტანოს ის დანაკარგები, რასაც მას დანიშნულების ქვეყნების პრინციპის მიხედვით ირიბი გადასახადების ამოღება მოუტანს. რუსეთის ბიუჯეტისთვის კი ამ დანაკარგის რაოდენობა 800 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრება. "მოგეხსენებათ, უკრაინისთვის და ბელორუსისთვის რუსეთი ერთ-ერთი უმსხვილესი ენერგორესურსების მიმწოდებელია, თუმცა დასაწყის ეტაპზე ჩვენ მზად ვართ, ასეთი მსხვერპლი გავიღოთ, რადგან ასეთი სტრატეგიული ინიციატივის რეალიზაცია გრძელვადიან პერსპექტივაში ოთხივე ქვეყნის ეკონომიკისთვის მომგებიანი აღმოჩნდება," - აღნიშნა პუტინმა. სწორედ ამიტომ, რუსეთის პრეზიდენტის მითითებით აუცილებელია მუშაობის იმ გრაფიკის დაცვა, რაც იალტაში იქნა შემუშავებული.

გარდა წმინდა ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებისა, ერთიანი ეკონომიკური სივრცის ქვეყნების ლიდერების განკარგულებით, ამა წლის 15 დეკემბრისთვის სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალთა გაერთიანებისა და კოორდინაციის მიზნით, ერთიანი სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის შექმნის შესახებ წინადადები მომზადდება. კორპორაციის შექმნის იდეით სამიტზე ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი გამოვიდა, რომელსაც მხარი უკრაინელმა კოლეგამაც აუბა.

"ოთხეულის" ლიდერების გადაწყვეტილებით, 2004 წლის ბოლოსთვის მომზადდება ერთიანი ეკონომიკური სივრცის სახელმწიფოებს შორის ფიზიკური პირების მიერ საზღვრების გამარტივებული ფორმით გადაკვეთის შესახებ დოკუმენტთა პაკეტიც.

სამიტის პირველივე დღეს დსთ-ს საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა მიიღეს მიმართვა, რომელიც "ახალი გამოწვევების გათვალისწინებით ეუთო-ს თანამედროვე რეალიებთან ადაპტაციის წინადადებას" გულისხმობს.

არანაკლები ინტრიგა შეიტანა სამიტის მსვლელობაში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრამ. გარდა ამისა, პირველი დღე იმითაც იყო გამორჩეული, რომ სამმხრივი ფორმატით აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ლიდერების შეხვედრა შედგა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კრემლის შეფასებები ოპტიმისტურად ჟღერდა. კრემლის შეფასებით, ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, სამმხრივი შეხვედრა "სასარგებლო" და "კონსტრუქციული" იყო. ილჰამ ალიევმა და რობერტ კოჩარიანმა სამმხრივი ფორმატით შეხვედრის შემდეგაც გააგრძელეს დიალოგი, რომელმაც ოთხ საათს გასტანა. შეხვედრის დასრულების შემდეგ რობერტ კოჩარიანმა განაცხადა, რომ "მათ დააფიქსირეს თავიანთი პოზიციები და მიუხედავად იმისა, რომ პროცესის მიმდინარეობით მაინც და მაინც ვერ დაიტრაბახებენ, მთავარია მაინც, რომ დიალოგს ისინი მოთმინებით ეკიდებიან". ნაკლებად მოკრძალებული იყო შეფასებებში ილჰამ ალიევი, მისი თქმით, შეხვედრის "დადებითად შეფასება შეიძლება". კონკრეტული განცხადებებისაგან კი ორივე ქვეყნის პრეზიდენტმა თავი შეიკავა. სამხრეთ კავკასიის ორმა დაპირისპირებულმა მხარემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა რუს კოლეგას დახმარებისთვის მზადყოფნის გამო.

სამიტის მეორე დღეს დსთ-ს სახელმწიფოთა ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს. თანამეგობრობის ლიდერების ფორუმი მთლიანად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, უსაფრთხოებისა და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ საკითხების განხილვას დაეთმო. დილას გამართულ შეხვედრაში მხოლოდ სახელმწიფოთა მეთაურები მონაწილეობდნენ, შემდეგ კი დისკუსიები გაფართოებული ფორმატით წარიმართა, რომელშიც დელეგაციების ყველა წევრი ჩაერთო. თანამეგობრობის ლიდერთა დღის წესრიგში პირველ პუნქტად ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულთან, ნარკოაგრესიისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით მთელი რიგი დოკუმენტების ხელმოწერა იყო. სამიტის მეორე დღე საინტერესო იმ მხრივაც გამოდგა, რომ ასტანაში არ ჩასულა მოლდოვას პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი, რომელთან შეხვედრის დიდი იმედიც ჰქონდა უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია უკრაინის პრეზიდენტისთვის, გაეპროტესტებინა დნესტრისპირეთის წინააღმდეგ მოდლოვას მიერ დაწესებული სარკინიგზო ბლოკადა. ლეონიდ კუჩმა ისევე, როგორც ვლადიმირ პუტინი, დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების ფორმატის გაფართოების წინააღმდეგ გამოვიდა. მათი განცხადებით, ეს არანაირად არ წაადგება პრობლემის მოგვარებას. მოლდოვას პრეზიდენტის მსგავსად ასტანაში ვიზიტისგან თავი შეიკავა ასევე თურქმენეთის პრეზიდენტმაც, თუმცა მისი ამგვარი ჟესტი სიახლეს დიდი ხანია, აღარ წარმოადგენს თანამეგობრობისთვის.

ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი გამოვიდა ინიციატივით, დსთ-ს რეფორმირების ფარგლებში შეექმნათ თანამეგობრობის უშიშროების საბჭო საგარეო საქმეთა, თავდაცვის მინისტრებისა და სასაზღვრო და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა შემადგენლობით. ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში შენარჩუნებული იქნება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, რომელიც კოორდინირებას გაუწევს უშიშროების საბჭოს. უშიშროების საბჭოს უხელმძღვანელებენ საგარეო უწყების მეთაურები, რომლებიც როტაციის პრინციპით შეიცვლებიან. ამ ინიციატივის რეალიზება საშუალებას მისცემს დსთ-ს ქვეყნებს, უფრო მობილიზებული წინააღმდეგობა გაუწიონ ახალ გამოწვევებსა თუ საფრთხეებს როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ვლადიმირ პუტინს არც სამიტზე დაუკლია მცდელობა, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გარკვეულწილად გაემართლებინა მის მიერ სულ ახლახან წამოყენებული "სახელისუფლებო ვერტიკალის" გაძლიერების ინციატივა ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, აკი აღნიშნა კიდეც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბინ ლადენმა არაერთხელ შესთავაზა ევროპას დაზავება ერაყიდან ჯარების გაყვანის სანაცვლოდ, დასავლეთი ამას არ დათანხმდა. ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისთვის უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი ექსტრემისტული ორგანიზაციების სიის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. გარდა ამისა, მისივე თქმით, ურიგო არ იქნებოდა, ჩამოეყალიბებინათ ტერორისტთა პერსონალური სია. ყირგიზეთის პრეზიდენტის ასკარ აკაევის განცხადებით კი, ტერორიზმის საფრთხეს მნიშვნელოვანწილად შეამცირებდა პრევენტიული დარტყმები. დაბოლოს, სამიტზე არჩეულ იქნა დსთ-ს ლიდერების საბჭოს ახალი მეთაური. ამ პოსტზე ვლადიმირ პუტინმა უკრაინელი კოლეგა შეცვალა.


## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

## განცხადება

## მეგაკომის მომხმარებელთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2004 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით მობილური კავშირგაბმულობის კომპანიას შპს "მეგაკომს" გაუუქმდა ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების ლიცენზია. კომპანიამ 2004 წლის აგვისტოდან შეწყვიტა ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობა - ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება.

მიუხედავად იმისა, რომ შპს "მეგაკომი" აღარ წარმოადგენს ლიცენზირებულ სატელეფონო ოპერატორს, იგი არის იურიდიული პირი და მისივე წესდების შესაბამისად აქვს გარკვეული ვალდებულებები ყოფილი მომხმარებლების მიმართ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და მომხმარებელთა უფლებების დამცველი გაცნობებთ, რომ შპს "მეგაკომის" ყოფილ მომხმარებლებს, რომელთაც გააჩნიათ პრეტენზიები უფლება აქვთ, მოითხოვონ შპს "მეგაკომის" მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მათ შორის სასამართლო წესითაც. შპს "მეგაკომის" იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ფაბრიციუსის ქ. N22 (ისან-სამგორის რაიონი).

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:**
**ალ. ყაზბეგის გამზ. 42, თბილისი, 0177. ტელ.: 394867; ფაქსი: 396879;**


## ორი სიტყვით

**ვაშინგტონი.** აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ოთხშაბათს ღამით გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ შეშფოთებულია ვლადიმირ პუტინის უკანასკნელი განკარგულებებით, რომლებმაც, შესაძლოა, საგრძნობი დარტყმა მიაყენოს დემოკრატიას. "თუ მთავრობები დემოკრატიის მტრებს ებრძვიან, ისინი თავად უნდა იცავდნენ დემოკრატიის პრინციპებს," - განაცხადა ბუშმა თავის გამოსვლაში. მისი თქმით, ის ცოტა ხნის წინ ესაუბრა პუტინს და გულისტკივილი გამოთქვა ბესლანში 300-ზე მეტი ადამიანის დაღუპვის გამო. თუმცა, იქვე დაამატა, რომ დიდ დემოკრატიულ ქვეყნებში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ბალანსი არსებობს და საჭიროა, "თვით ცენტრალური ხელისუფლების შიგნით - აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებს შორისაც" იქნას ბალანსი შენარჩუნებული. **როიტერი**

■ ■ ■

**ერაყი.** ხუთშაბათს ბაღდადის ცენტრში შეიარაღებულმა პირებმა აშშ-ს ორი და დიდი ბრიტანეთის ერთი მოქალაქე გაიტაცეს. ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გატაცებული უცხოელები სამოქალაქო პირები არიან, რომლებიც ბაღდადის მდიდარ რაიონში ალ-მანსურში ცხოვრობდნენ. თავისი მოქალაქის გატაცების ფაქტს დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური მისია არ ადასტურებს. აქტიური საომარი მოქმედებების შემდეგ ერაყში 100-ზე მეტი უცხოელი იქნა გატაცებული. ჰუმანიტარული ორგანიზაციის ორი იტალიელი თანამშრომლისა და ორი ფრანგი ჟურნალისტის ბედი დღემდე უცნობია. **როიტერი**

■ ■ ■

**ერაყი.** ბაღდადის ცენტრში გუშინ ძლიერი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიღუპა და 14 დაიჭრა. დაზუსტებული მონაცემებით, ერაყის დედაქალაქის ბაბ-შარქის რაიონში, კაფე "ალ-მაზაკის" მახლობლად ნაღმმტყორცნის ჭურვი ჩამოვარდა. დაღუპულები მშვიდობიანი მცხოვრებლები არიან. ბოლო დღეებში ბაღდადს ტერაქტების ტალღამ გადაუარა. სამშაბათს პოლიციის განყოფილებასთან მომხდარი უძლიერესი აფეთქების შედეგად 47 ადამიანი დაიღუპა და 100-ზე მეტი დაშავდა. აფეთქებაზე პასუხიმგებლობა აბუ მუსაბ აზ-ზარქავის დაჯგუფებამ აიღო, რომელიც "ალ-ქაიდას" საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთ ქვედანაყოფს წარმოადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**კარიბის აუზი.** გრიგალმა "ივანი" აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს, ფლორიდისა და ლუიზიანის შტატებს მიაღწია. ამჟამად ქარის სიჩქარე ეპიცენტრში საათში 161 კმ-ს აღწევს. მეტეოროლოგები გუშინ ვარაუდობდნენ, რომ "ივანი" მისისიპისა და ალაბამის შტატებისკენაც გადაინაცვლებდა. როგორც სააგენტო "როიტერი" იუწყება, ქარიშხლის შედეგად ფლორიდაში ორი ადამიანი გრიგალის მიერ მოტანილი ტორნადოს მსხვერპლი გახდა. სანაპირო ზოლში ასობით ათასმა ადამიანმა საცხოვრებელი ადგილი დატოვა. დაბლობში მდებარე ქალაქ ახალ ორლეანსაც დატბორვა ემუქრება. სპეციალისტთა შეფასებით, ქარიშხლით მიყენებულმა ზარალმა შესაძლოა, 10 მილიარდი დოლარი შეადგინოს. სტიქიურმა უბედურებამ გრენადაში, იამაიკაზე და კაიმანის კუნძულებზე 70-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. **24 საათი**

# თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები და ევროკავშირის ახალი კონსტიტუცია

17-18 სექტემბერს საქართველოში ვიზიტად ჩამოდის ევროკომისიის თავმჯდომარე ბატონი რომანო პროდი. საქართველოს გარდა, რომანი პროდი ეწვევა აზერბაიჯანს და სომხეთს. უნდა აღინიშნოს რომ ეს არის ევროკომისიის თავმჯდომარის პირველი ვიზიტი საქართველოში და ზოგადად სამხრეთ კავკასიაში. მთავარი თემა, რომელიც გახდება დისკუსიის საგანი დაგეგმილი შეხვედრების დროს, არის სამხრეთ კავკასიის სახელმწიოების მონაწილეობა ევროკავშირის ახალ სამეზობლო ინიციატივაში და ის აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ განვითარებას ევროკავშირთან. მოელიან რომ, პროდი მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან რეფორმების დაჩქარებას და კონფლიქტების მოგვარების პროცესის დაჩქარებას. თავად პროდის შეფასებით ეს ვიზიტი წარმოაგენს იმის ნათელ დადასტურებას, რომ ევროკავშირს გააჩნია გაზრდილი ინტერესი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ, მას შემდეგ რაც რეგიონის სამი სახელმწიფო ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივაში გაერთიანდა.

უახლოეს თვეებში ევროკომისია მოამზადებს ანგარიშს რეგიონის სამ სახელმწიფოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების მიმდინარეობის შესახებ და ასევე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებზე. ეს ანგარიშები მოგვიანებით საფუძვლად უნდა დაედოს ე.წ. სამოქმედო გეგმების შემუშავებას, რომლებიც ინდივიდიუალური სახელმწიფოს პრიორიტეტების გათვალისწინებით ევროკავშირის გადწყვეტილებით მიიღება. სამოქმედო გეგმების შეთანხმება სამეზობლო ინიციატივის მომდევნო ნაბიჯად ითვლება. ვიზიტის დროს რომანო პროდი შეხვდება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს, პარლამენტების თავმჯდომარეებს, რელიგიურ ლიდერებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

ევროკავშირის ახალი სამეზობლო ინიციატივა, რომელმაც თავისი ასახვა ევროკომისიის 11 მარტის დოკუმენტში (ე.წ. კომუნიკაციაში) ჰპოვა, პირველად აღიარებს, რომ დსთ-ს ქვეყნებთან დადებული ***პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებები*** არ აძლევენ ამ სახელწიფოებს არც საკმარის შეღავათებს ვაჭრობაში და არც ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების განსაზღვრულ, დროში გაწერილ გრაფიკს. ინიციატივაში მოხსენიებულ სახელმწიფოებს ევროკავშირი სთავაზობს უფრო გამარტივებულ ხელისაწვდომობას ევროპულ ბაზარზე და ბევრად უფრო ლიბერალურ ვაჭრობის რეჟიმს. უფრო მეტიც, ინიციატივა ითვალისწინებს პიროვნებების, საქონლის მომსახურების და კაპიტალის მოძრაობის თანდათანობით ლიბერალიზაციას. დოკუმენტის თანახად ევროკავშირი ვალდებულებას იღებს სამეზობლო ინიციატივის მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებისათვის, ევროკავშირში შესვლის წესების გამარტივებაზე, იმ მიზნით, რათა მათ საშუალება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამებში. დოკუმენტის თანახმად, ზოგიერთ შემთხვევაში ევროკავშირმა შესაძლოა გამოიყენოს უვიზო რეჟიმი მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებისათვის. გარდა ზემოთჩამოთვლილი შეღავათებისა ევროკავშირი სამეზობლო ინიციატვის ფარგლებში, თავის ახალ პარტნიორებს სთავაზობს ინტენსიურ თანამშრომლობას ტერორიზმთან და ტრანს-ნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში.

თუმცა, ჩვენთვის ალბათ კიდევ უფრო საინტერესოა დოკუმენტის ის ნაწილი, სადაც საუბარია ევროკავშირის უფრო აქტიურ ჩარევაზე (greater involvement) კონფლიქტების მოგვარების პროცესში. კერძოდ, აქ ხაზგასმულია, რომ ევროკავშირმა უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშოს პალესტინის, დასავლეთ საჰარისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტების დარეგულირებაში.

არანაკლებ საინტერესოა ჩვენთვის დოკუმენტის ის ნაწილი სადაც საუბარია სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ტელეკომუნიკაციების ქსელების ინტეგრაციაზე. ახალი სამეზობლო ინიციატივა ითვალისწინებს მეზობელი სახელმწიფოების სატრასპორტო ქსელების ინტეგრაციას ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში (ე.წ. TENs-ში). აქვე საუბარია ენერგომაგისტრალებისა და ტელეკომუნიკაციების ქსელების ინტეგრაციაზე. რაც ამ სტრატეგიულ სფეროებში ევროკავშირთან თანამშროლობას ახალ საფეხურზე აიყვანს. ინიციატივა ითვალისწინებს ევროპის საინვესტიციო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და ასევე სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან დამატებითი ინვესტიციების ჩადებას.

საქართველოში და ზოგადად სამხრეთ კავკასიაში დიდი ხანია ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული უმნიშვნელოვანესი პროექტები TRACECA (ტრანსპორტის კორიდორი ევროპა - კავკასია - ცენტრალური აზია) INOGATE (ენერგომატარებლების ტრანზიტი კასპიის აუზიდან ევროპაში, სამხრეთ კავკასიის გავლით). ბუნებრივია სამეზობლო ინიციატივას მიღმა დარჩენა, საქართველოს ისევე როგორც მთლიანად სამხრეთ კავკასიას ხსენებული დამატებითი ფინანსური და ტექნიკური დახმარების გარეშე დატოვებს. სამეზობლო ინიციატივისა ფარგლებში გაფართოვდება ევროკავშირის პროგრამები სამეცნიერო კვლევების, განათლების კულტურისა და ექპერტთა გაცვლის სფეროში. საგრძნობლად გაიზრდება თანამშროლობის არსებული დონე ახალგაზრდუ;ლი და საუნივერსიტეტო პროგრამების გაფართოების გზით და ა.შ. ყველაფერი ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. სამეზობლო ინიციატივა თანამშროლობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს."

საქართველო ევროკავშირის ურთიერთობების განვითარების პერსპექტივაზე საუბრისას, ალბათ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ თანამედროვე ევროპის ისეთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენას, როგორიცაა ევროკავშირის კონსტიტუცია. 2004 წლის 18 ივნისის ბრიუსელში გამართულ სამთავრობათაშორისო სამიტზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებმა ხელი მოაწერეს ახალ საკონსტიტუციო შეთანხმებას, რომელმაც უნდა შეცვალოს მანადე არსებული ევროპული შეთანხმებების მთელი წყება (7 სხვადსახვა დროს მიღებული შეთანხმება).



როდესაც 2000 წლის დეკემბერში ნიცაში შეკრებულმა 15 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურმა, მიაღწიეს თანხმობას შეთანხმების რევიზიის თაობაზე, ისინი გრძნობდნენ ინსტიტუციონალური რეფორმების საჭიროებას, რაც აისახა კიდევაც **ნიცას შეთანხმებაში**. ევროპულმა საბჭომ, შესაბამისად, მოახდინა უფრო ფართო და უფრო საფუძვლიანი დებატების ინსტიტუციონალიზაცია კავშირის მომავლის თაობაზე, შეთანხმებების ახალი რევიზიის თვალსაზრისით. **ნიცას შეთანხმებიდან** ერთი წლის შემდეგ ევროპული საბჭო ლაეკენში შეიკრიბა და 2001 წლის 15 დეკემბერს მიიღო დეკლარაცია ევროპის კავშირის მომავლის შესახებ, სადაც მოუწოდებდა კავშირს გამხდარიყო უფრო დემოკრატიული, უფრო გამჭირვალე და უფრო ეფექტური და ევროპის ხალხების მოლოდინის საპასუხოდ გზა გაეკვალა **ევროკავშირის კონსტიტუციისკენ**. ეს მისია, ამ მიზნით სპეციალურად შექმნილ საკონსულტაციო ორგანოს ევროპულ კონვენტს დაეკისრა, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას.

ეს მართლაც მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც სერიოზულ შესწავლას და განხილვას საჭიროებს. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვან ელემენტი: უპირველეს ყოვლისა დოკუმენტი ახდენს საერთო ფასეულობების კონსოლიდაციას, რომლებიც პრინციპში საფუძვლად უნდა დაედონ არა მხოლოდ დღევანდელ ევროკავშირს (რომელშიც 25 წევრია გაერთიანებული), არამედ, მომავალ ერთიან ევროპას. ეს ფასეულობებია: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა. ეს ფასეულობები საერთოა წევრი ქვეყნებისათვის, საზოგადოებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია პლურალიზმი, ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და არადისკრიმინაცია. ძალზე მნიშვნელოვან მომენტად ითვლება ევროპის მოქალაქეობის ცნების შემოღება. კონსტიტუციის ტექსტი მკაფიოდ განსაზღვრავს ევროპის მოქალაქეობით მინიჭებულ უფლებებს: ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება და საცხოვრებელის არჩევის თავისუფლება, უფლება ისარგებლონ დიპლომატიური და საკონსული დაცვით მესამე ქვეყნებში ყოფნის დროს, უფლება აირჩიონ და დააყენონ თავისი კანდიდატურები ევროპარლამენტისა და მუნიციპალურ არჩევნებში და ა.შ. საკონსტიტუციო შეთანხმების ტექსტმა მკაფიოდ განსაზღვრა და გამიჯნა უფლებამოსილებები ერთი მხრივ წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის ორგანოებს შორის და მეორეს მხრივ ტვითონ ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის. დოკუმენტში ჩადებულია ევროკავშირში ახალი წევრის მიღების და ევროკავშირიდან თავისუფალი გასვლის პროცედურები. ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ასევე ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის შემოღება. ეს პოსტი გააერთიანებს დღეს არსებული საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელის და საგარეო საქმეთა ევროკომისიონერის ფუნქციებს.

ევროკავშირის ყველა მნიშვნელოვანი სუბიექტი მიესალმება მიღწეულ კონსესუსს და ამასთან აღნიშნავს, რომ ევროპულმა კონვენტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ ურთულესი კომპრომისის მიღწევის საქმეში. რთული პროცედურა დარჩა გასავლელი მას შემდეგ რაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მეთაურებმა კონსესუსი მონახეს და ხელი მოაწერეს საკონსტიტუციო შეთანხმებას. ახლა წინაა რატიფიკაციის პროცედურა 25-ვე წევრ სახელმწიფოში. ზოგიერთი მათგანი (მაგ. საფრანგეთი) აპირებს საკითხის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმზე გატანას მომავალი წლის პირველ ნახევარში. ექსპერტების ვარაუდით ევროკავშირის კონსტიტუციის ძალაში შესვლას ალბათ ერთი ან ორი წელი დასჭირდება.

*(გვერდი მოამზადა ევროპული ინტეგრაციის ცენტრმა, ევროკომისიის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით)*

# რეკომენდაციები სკოლებში მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით

პირველი გვერდიდან

სამინისტროს პრიორიტეტია პედაგოგის უფლებების დაცვა და მისი სამუშაო პირობების გაუმჯობესება. დაბალი ანაზღაურების გამო პედაგოგები დღემდე ცდილობდნენ, საათობრივი დატვირთვა გაეზარდათ, რამაც სისტემა და საზოგადოება სავალალო შედეგებამდე მიიყვანა. მრავალი პედაგოგის აზრით, დღეში სამი-ოთხი ჩატარებული საათი მასწავლებლის ფიზიკური დატვირთვის მაქსიმუმია.

სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს მასწავლებელთა მასშტაბური შემცირების დაგეგმვის ფაქტს, პირიქით, 2006-2007 წლიდან, თორმეტწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გაიზრდება მოთხოვნილება პედაგოგებზე.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა სამუშაო პირობების შესამსუბუქებლად 34 კვირიდან 38 კვირამდე გაზრდილმა სასწავლო წელმა შეამცირა საათების რაოდენობა კვირის განმავლობაში, მაგრამ შენარჩუნებულია წლიური ჯამური რაოდენობა.

მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება გაანგარიშდება 2003-2004 წლის სასწავლო გეგმის მიხედვით. რაც შეეხება 2004-2005 წლის საგაკვეთილო ცხრილს, იგი ახალი საათობრივი ბადის მიხედვით მოხდება.

გაუქმდა 1996 წლის 276-ე ბრძანება და მასწავლებელს აღარ მოეთხოვება ყოველკვირეული მინიმალური საგაკვეთილო დატვირთვა. ასე რომ, ნებისმიერ მასწავლებელს, რომელსაც ახალი საგაკვეთილო ბადით უმცირდება საათობრივი დატვირთვა, ხელფასი არ შეუმცირდება.

ახალი სასწავლო ბადე არ ითვალისწინებს არც აუცილებელი და არც ფაკულტატური საგნების შემცირებას. თითოეულმა სკოლამ თავად უნდა განსაზღვროს, ფაკულტატურთაგან რომელი საგანია მისთვის უფრო მნიშვნელოვანი და სამინისტროსგან დამოუკიდებლად შეარჩიოს. ეს უკანასკნელი პუნქტი არ უნდა იქცეს საშტატო ერთეულების ხელოვნური შემცირების საფუძვლად.

ახალი საგაკვეთილო ბადე ითვალისწინებს საათების ოდენობის ვარირებას 25 პროცენტის ფარგლებში, სკოლის შეხედულებისამებრ. რაც შეეხება საავტორო სკოლებს, ისინი უფლებამოსილნი არიან, თავად შეადგინონ სასწავლო გეგმები ახალი საგაკვეთილო ბადის კვირეული მაქსიმალური დატვირთვის აუცილებელი დაცვით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს, რომ იმ სკოლების მიმართ, რომლებშიც ჩამოთვლილი პრინციპები დაირღვევა, სამინისტრო მიიღებს უმკაცრეს საკადრო გადაწყვეტილებებს სკოლების ადმინისტრაციებთან დაკავშირებით, ვინაიდან მასწავლებელთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი დისკრიმინაციული ქმედება განხილული იქნება, როგორც საბოტაჟი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების მიმართ.

P.S. და კიდევ, მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება პედაგოგთა ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდა.

*24 საათი*

# განათლება მშვიდობის საწინდარია

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრი ალექსანდრე ლომაია საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ ცხინვალის რეგიონის ქართველ და ოს კურსდამთავრებულებს მიესალმა და უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან ერთად სტუდბილეთები და ჩათვლის წიგნაკები გადასცა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ცხინვალის რეგიონში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე ოსი და ქართველი ახალგაზრდების დაახლოება-ინტეგრაციისა და კონფლიქტის ზონაში მცხოვრები საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის წახალისების მიზნით სპეციალური პროგრამა შეიმუშავა. პროგრამის ფარგლებში ცხინვალის რეგიონიდან 2004-2005 სასწავლო წელს ჩარიცხულ ოს და ქართველ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდია თვეში 50 ლარის ოდენობით, ხოლო სტუდენტებს, რომლებმაც გაიარეს 2004-2005 სასწავლო წლის მისაღები გამოცდები და ქულების არასაკმარისი რაოდენობის გამო არასაბიუჯეტო სექტორზე ჩაირიცხნენ, გამოეყოფათ სწავლის საფასური თანხა სწავლების დასრულებამდე და დამატებით, სტიპენდია - 50 ლარი ყოველთვიურად. ცხინვალის რეგიონის 21 ქართველი და ოსი ახალგაზრდა გახდა თსუ-ს, სტუ-ს, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტისა და თსუ სოხუმის ფილიალის სტუდენტი.

გუშინ მათ სტუდბილეთები შესაბამისი სასწავლებლის რექტორებმა გადასცეს.

როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზინაიდა ბესტაევამ მოუწოდა ცხინვალის რეგიონის ოსი ეროვნების ემიგრირებულ მოსახლეობას: "დაბრუნდით სამშობლოში, აქ მშვიდობაა და სწავლისთვის ყველა პირობაა შექმნილი".

*24 საათი*

# "გაფრთხილება" განათლების სამინისტროს

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი განათლების მინისტრს გამაფრთხილებელ "მესიჯს" უგზავნის და მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი თანამდებობიდან გადადგომის საკითხის დაყენებით იმუქრება. "მოვითხოვთ, რომ კახა ლომაიამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელი პირობები შექმნას და არასრულწლოვანები თამბაქოს მავნე ზემოქმედებისგან დაიცვას. აკრძალოს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თამბაქოთი ვაჭრობა. ამას განათლების მინისტრს, უპირველესად, "თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონი სთხოვს. ჩვენ 15 სკოლა შევამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ მათმა ხელმძღვანელობამ ამ კანონის შესახებ არაფერი იცის. ამაში კი განათლების სამინისტროა დამნაშავე," - აცხადებს თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრი. იგი ლომაიას 19 ოქტომბრამდე აძლევს ვადას.

*24 საათი*

# სადავო პროექტი

თამარ დვალი

ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" აზრით, ქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი დედაქალაქის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების რუკა "ორმაგი წაკითხვის" საშუალებას იძლევა და კორუფციულ ხვრელებს შეიცავს.

**"ჩვენ ვესაუბრეთ სპეციალისტებს და მიგვაჩნია, რომ დედაქალაქის ცენტრალური ნაწილის ზონირების გეგმა უფრო ძირეულად უნდა შევისწავლოთ, ვიმსჯელოთ და შემდეგ დავამტკიცოთ. ახლა კი ეს პროცესი ფორსირებულად მიმდინარეობს. იმისთვის, რომ წლების შემდეგ გამოსასწორებლად არ გვქონდეს საქმე, რუკის შექმნაზე ტენდერი უნდა გამოვაცხადოთ. დღევანდელი სქემა არაკომპეტენტურად მიგვაჩნია. ამ ზონირების თანახმად, აღმაშენებლისა და რუსთაველის პროსპექტები მაღალი კოეფიციენტის ზონად არის აღიარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ აქ 10-12-სართულიანი სახლების აშენება შესაძლებელი იქნება. ასეთი გადაწყვეტილება კი ბევრ შეკითხვას ბადებს,"** - აღნიშნა ფრაქცია "მემარჯვენეების" ლიდერმა გიორგი მოსიძემ.

"მემარჯვენეები" მიუღებლად მიიჩნევენ იმასაც, რომ, ახალი რუკის თანახმად, მენაშენეს ვაკეში სამოთხსართულიანზე მაღალი შენობის აშენების საშუალება არ ეძლევა. ეს იმ დროს, როდესაც რუსთაველზე და აღმაშენებელზე თეორიულად არ გამოირიცხება მაღალსართულიანი სახლების მშენებლობა. "მემარჯვენეები" ვერ ხვდებიან, რა გარანტიაა იმისა, რომ ვაკეში მშენებლობის დაბლოკვის შემდეგ ამ სფეროს ინვესტიციები ქალაქის საგარეუბნო რაიონებში გადაინაცვლებენ. მათი აზრით, რადგან არქიტექტორებისა და მენაშენეების უმრავლესობა ახალი პროექტით უკმაყოფილოა, ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გამოცხადდეს ტენდერი და მხოლოდ კონკურსის საფუძველზე იქნეს მიღებული ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

მერიის სამსახურში "მემარჯვენეების" პრეტენზიებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და ოპოზიციურ პარტიას თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ.

**"ახლა ეს პროექტი განხილვის სტადიაშია და თუ ვინმეს რაიმე წინადადება ან პრეტენზია აქვს, შეუძლია წერილობით მოგვმართოს. ცენტრალური ნაწილის უფლებრივი ზონირების რუკა მენაშენეს მიუთითებს, თუ რა კოეფიციენტით უნდა ააშენოს. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ნებართვის გაცემა კონკრეტულ ჩინოვნიკებზე აღარ იქნება დამოკიდებული, ამას კანონი დაარეგულირებს. კარგია, როდესაც ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. მენაშენე კომპანიებმა უკვე წარმოადგინეს საკუთარი შეხედულებები. ჩვენ თანახმა ვართ, ყველა შენიშვნა გავითვალისწინოთ,"** - განაცხადეს მერიის სამსახურში.

# თავდასხმა ბენზინგასამართ სადგურებზე

ნინო ბერელიძე

სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციამ პირობა შეასრულა და გუშინ ბენზინგასამართი სადგურების შემოწმება დაიწყო. პირველად, ჟურნალისტების თანხლებით, ბენზინგასამართ სადგურ "გრანდის" დაესხა თავს. ეს ობიექტი შპს "იბერიონი 2004"-ის კუთვნილება ყოფილა. ინსპექციამ ამ სადგურს უმაღლესი სასჯელი - ექსპლუატაციის შეჩერება გადაუწყვიტა. როგორც შემოწმებამ აჩვენა, "გრანდი" არანაირ სანიტარიულ ნორმას არ აკმაყოფილებდა. არ ჰქონდა სანიაღვრე არხები და, რაც მთავარია, 35-ე საფეხბურთო სკოლიდან მხოლოდ 10-15 მეტრით იყო დაშორებული. სანიტარიული ნორმით კი, მათ შორის მანძილი, სულ ცოტა, 100 მეტრი უნდა ყოფილიყო. ინსპექცია ამ ბენზინგასამართი სადგურის საქმეს სასამართლოს გადასცემს.



*"გრანდის" გარდა, გუშინ ინსპექციის თანამშრომლებმა კიდევ 14 სადგური შეამოწმეს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

"გრანდის" გარდა გუშინ ინსპექციის თანამშრომლებმა კიდევ 14 სადგური შეამოწმეს. ნაწილი დააჯარიმეს, ნაწილმა კი "გრანდის" ბედი გაიზიარა. სანიტარიული ინსპექცია დღესაც აგრძელებს საქმიანობას და 15 ბენზინგასამართ სადგურს შეამოწმებს. როგორც ინსპექციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი აცხადებს, ოფიციალურად 300-მდე ბენზინგასამართი სადგურია აღრიცხული, მაგრამ რეალურად ბევრად მეტი უნდა იყოს. სანიტარიული სამსახურები შემოწმების პარალელურად სადგურების ზუსტ რაოდენობასაც დაადგენენ.

# მეორე სკანდალი მერიაში

*თბილისის მერიაში ახალი მერის მოსვლის შემდეგ უკვე მეორე სკანდალური ამბავი მოხდა. უშიშროების სამინისტრომ მერიის საფინანსო განყოფილებას სერიოზული დარღვევები აღმოუჩინა. საზოგადოებას არ ახსოვს, რომ ბოლო წლების მანძილზე მერიაში ასეთი რამ მომხდარიყოს. ჯერჯერობით, დამნაშავედ მხოლოდ მერიის ბუღალტერი სახელდება, მაგრამ როგორც ქალაქის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, გამოძიება ბევრ უფრო მაღალი თანამდებობის პირის გვარსაც ამოატივტივებს.*

ნანა ქადაგიშვილი

უშიშროების სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს მიმართულება "შეშლოდა" და გაჭირვებული ადამიანების ნაცვლად მერიის ბუღალტრის ხათუნა გოგოხიას სწავლა-განათლებას შეწირვოდა. გოგოხიამ საკუთარ თავს ფული რამდენჯერმე გადაურიცხა, საბოლოოდ კი ამ გადარიცხვებმა 10 ათასი ლარი შეადგინა. არანაკლებ საინტერესოა ის, რომ გადარიცხვის ფურცლებს მერიის აპარატის ყოფილი უფროსის ოთარ გაბედავას ყალბი ხელმოწერა ამშვენებს. მართალია, კალიგრაფიული ექსპერტიზა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უშიშროებისთვის ისედაც ნათელია, რომ ხელმოწერა ყალბია.

**"ჯერ ერთი, სხვადასხვა დოკუმენტს ერთი და იგივე ადამიანის სრულიად განსხვავებული ხელმოწერა აქვს, თანაც, ეს გადარიცხვები მაისშია გაკეთებული, ოთარ გაბედავა კი 11 მარტიდან მერიის აპარატის უფროსის თანამდებობაზე აღარ მუშაობდა,"** - აცხადებს უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა.

მერიის აპარატის უფროსის თანამდებობა გაბედავას შემდეგ ლევან ურუშაძემ დაიკავა. ჯერჯერობით უცნობია, ურუშაძე და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელ-თანამშრომლები ამ საქმეში რამდენად არიან გარეულნი. თუმცა, როგორც ჭიაბერაშვილი აცხადებს, ყალბი გადარიცხვა იმდენჯერ არის გაკეთებული, ამას მხოლოდ ბუღალტერი ვერ გააკეთებდა.

**"გამოძიების შემდეგ დამნაშავეთა მთელი ჯაჭვი გამოიკვეთება. დაიკითხება მერიის ყველა თანამშრომელი, ვისაც ამ საქმისთვის ხელშეწყობა შეეძლო ან საბიუჯეტო თანხების განაწილებაზე პასუხიმგებელი იყო. ასეთი ფაქტები აუცილებლად უნდა მივიდეს საზოგადოების ყურამდე. მერია კორუფციულ გარიგებაში ჩართულ თანამშრომლებს თანამდებობაზე ვერ გააჩერებს,"** - აცხადებს ქალაქის მერი.

გუშინ, როცა ჭიაბერაშვილმა და უგულავამ ეს ამბავი ჟურნალისტებს ამცნეს, მერიაში საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს ვერც ერთ წარმომადგენელს ვერ ნახავდით - ბუღალტრიან-უფროსიანად, ყველა მიმალულიყო.

# ახალი თავსატეხი

*ხუთი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის სკანდალურად გათავისუფლების შემდეგ უკვე ერთი თვე გავიდა, მათ სავარძლებს კი პატრონი ჯერ არ გამოსჩენია. როგორც მერიაში აცხადებენ, გამოთავისუფლებული ვაკანსიები, სავარაუდოდ, კვირის ბოლომდე შეივსება. მერიის ხელმძღვანელობამ მსგავსი პირობა ერთი კვირის წინათაც მოგვცა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯანმრთელი კადრების მოძებნა არც ისე იოლია. ყოველ შემთხვევაში, მერიაში უფროსის გარეშე დარჩენილი საქალაქო სამსახურების მომავალ ხელმძღვანელთა ვინაობას ოფიციალურად ჯერ კიდევ არ აკონკრეტებენ და მედიის წარმომადგენლებს ისევ ჭორებიდან და ვარაუდებიდან უწევთ ინფორმაციის ამოკრება.*

ნანა ქადაგიშვილი

მოკლედ, მუნიციპალიტეტის კედლებში ერთი-ორი კვირის წინათ გავრცელებული ინფორმაციებიდან ზოგიერთი უზუსტო აღმოჩნდა. კონკრეტულად, ქალაქის მერი აპარატის უფროსის სავარძელს ქალაქის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსს გივი ორდენიძეს სთავაზობდა, მაგრამ ორდენიძემ ამჟამინდელი თანამდებობა არჩია. ასე რომ, ეს სკამი ჯერ კიდევ თავისუფალია და, როგორც შევიტყვეთ, ქალაქის ხელმძღვანელობას ლევან ურუშაძის შემცვლელი კანდიდატურის მოძებნა ძალიან უჭირს. ასევე ჭორის დონეზეც კი უცნობია ქალაქის ადმინისტრაციული და კაპიტალური მშენებლობის სამსახურების მომავალ ხელმძღვანელთა ვინაობა. ჯერჯერობით, უცვლელია მხოლოდ ერთი ვარაუდი. ქალაქის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის უფროსის თანამდებობას ამჟამად უფროსის მოადგილეს ზაზა გოროზიას, ალბათ, ვერავინ შეეცილება. მერიის განათლების სამეურნეო სამსახურის უფროსს ირაკლი თოდუას კი, როგორც ამბობენ, დაწინაურება ელის. ოფიციალურად, არც მისი მომავალი სავარძლის მისამართს აკონკრეტებენ და არც ახლანდელის - მომავალ მფლობელს, მაგრამ მერიის არცთუ სქელი კედლებიდან ამ ინფორმაციამაც გაჟონა. როგორც ამბობენ, ირაკლი თოდუას სახით ვიცე-პრემიერის კარგა ხნის წინათ გათავისუფლებულ თანამდებობას, ბოლოს და ბოლოს, რეალური კანდიდატურა გამოუჩნდა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თანამდებობის გათავისუფლებამ კი (ყოფილი გამგებელი თემურ ჭეიშვილი პარლამენტში იყრის კენჭს) მერიის ხელმძღვანელობასა და მასმედიას ახალი თავსატეხი გაუჩინა. ოფიციალური წყაროები, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც დუმილს არჩევენ. თუმცა, არ დუმან "სანდო" წყაროები. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის სავარძელზე ორი კანდიდატურა მოიაზრება - ქალაქის ყოფილი ვიცე-პრემიერი გიორგი არევაძე და ისან-სამგორის რაიონის ახლანდელი გამგებელი ზურაბ ადამია. ვარაუდი ორგვარია: ამ თანამდებობაზე ან პირდაპირ არევაძეს დანიშნავენ, ან ადამიას ადგილს შეუცვლიან, არევაძე კი ისან-სამგორის რაიონის გამგებლის სავარძელს დაუბრუნდება (ვიცე-პრემიერობამდე მას გამგებლის თანამდებობა ეკავა). სხვათა შორის, სანდო წყაროდან ისიც ვიცით, რომ არევაძეცა და ადამიაც ამ ინფორმაციის რეალურობას კატეგორიულად უარყოფენ. მე არსად წასვლას არ ვაპირებო, უთქვამს ადამიას, არც მეო - დაუმატებია არევაძეს, რომელსაც ახლა არავითარი თანამდებობა აღარ უკავია.


# ადმინისტრაციული ასისტენტი

BP-ს საოპერაციო მიზნებისათვის და BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, IRA, Ltd ეძებს შესაფერის კვალიფიცირებულ პიროვნებას ადმინისტრაციული ასისტენტის თანამდებობაზე. ადმინისტრაციული ასისტენტი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი BP WREP საოპერაციო განყოფილებისათვის, რომელიც იმუშავებს BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

ადმინისტრაციული ასისტენტის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:

- ადმინისტრაციული და სამდივნო თანაშემწეობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის.
- მთარგმნელობითი/სათარჯიმნო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკოორდინაციო საქმიანობის წარმოება.

**როლი და პასუხისმგებლობა:**

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:

- მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის შეხვედრებისა და სხვა საქმიანობის დაგეგმვა, მოწყობა და კოორდინირება.
- თარჯიმნობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა, საოპერაციო განყფილებისა და სხვა აღმასრულებელი თანამშრომლებისათვის საქართველოს მინისტრებსა და სხვა სამთავრობო პირებთან, სსმკ-ს თანამშრომლებთან და სხვ. შეხვედრებისას.
- განყოფილების კორესპონდენციის, მათ შორის სსმკ-სა და სხვა ქართულ ორგანიზაციებთან შეხვედრების ოქმებისა და BP-ს მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური დოკუმენტების თარგმნა.
- მილსადენის ოპერაციების განყოფილების პერსონალის ყოველდღიური ადგილმდებარეობისა და შვებულებების განაწილების სისტემის შემუშავება და წარმოება.
- მილსადენის სუპერინტენდენტისა და ოპერაციების განყოფილებისათვის ადმინისტრაციული თანაშემწეობის გაწევა ისე, რომ ეფექტურად იწარმოებოდეს საოფისე საქმიანობა, მათ შორის სატელეფონო სქრინინგი, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის მომზადება, საარქივო სისტემის წარმოება და ა.შ.
- HSE ჩანაწერებთან, საპროცესო შეფერხებებსა და უსაფრთხოების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზებისა და ჩანაწერთა სისტემების წარმოება, მათ შორის შესაბამისი ყოველკვირეული და ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

- საუნივერსიტეტო განათლება ენებში, სპეციალიზაციით ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- ადმინისტრაციულ და მთარგმნელობით/სათარჯიმნო დარგში მინიმუმ 5 წლის გამოცდილება კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ყველა დონეზე;
- კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word) კარგი ცოდნა;
- წარმოდგენა სამთავრობო და სახელმწიფო საქმეთა მართვის შესახებ სასურველია.

**როგორ შევიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**

თუკი თვლით, რომ თქვენი კვალიფიკაცია და გამოცდილება აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, წარადგინეთ თქვენი CV და შეავსეთ სათანადო განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მოიპოვოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა **ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 2004.**

განხილულ იქნება ყველა მიღებული განაცხადი, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატს მოვიწვევთ გასაუბრებაზე და/ან შევთავაზებთ სამუშაოს.

**ადამიანთა რესურსების განყოფილება**
BP Exploration (კასპიის ზღვა) Ltd., საქართველო
აღმაშენებლის გამზირი, 123ა, თბილისი, საქართველო

# იტალიელი პროკურორის "სუფთა ხელების" გამოცდილება საქართველოშიც ვრცელდება

პირველი გვერდიდან

ჯერარდო კოლომბო მილანში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას 1992-1998 წლებში აწარმოებდა. აღნიშნულ პერიოდში პროკურორმა 200-ზე მეტ პოლიტიკოსს, მათ შორის - ოთხ პრემიერ-მინისტრს (აქედან ორ მოქმედ პრემიერ-მინისტრს), 150 ყოფილ და მოქმედ პარლამენტარს, მინისტრს, აღმასრულებელი ხელისუფლების, სახელმწიფო, კერძო საწარმოების წარმომადგენლებს, მაღალჩინოსან პოლიციელებსა და მოსამართლეებს წაუყენა ბრალი. როგორც თავად იტალიელმა პროკურორმა ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, აღნიშნული საქმე მან ერთი უმნიშვნელო დანაშაულის გამოძიებით გახსნა. მოგვიანებით ამ პროექტს "სუფთა ხელები" ეწოდა, რომელშიც 5 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.

ჯერარდო კოლომბო სხვადასხვა დროს პარლამენტის მრჩევლად, მოსამართლედ და პროკურორად მუშაობდა. მას საკანონმდებლო საკითხებზე რამდენიმე წიგნი აქვს გამოქვეყნებული და იგი დღესაც პრაქტიკულ მუშაობას მილანის პროკურატურაში აგრძელებს.

ერთი სიტყვით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელგანთქმული იტალიელი პროკურორი საქართველოშია და ქართველ კოლეგებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებას უზიარებს. რომელი ქართველი მაღალჩინოსნისთვის აღმოჩნდება კოლომბოს რჩევები საბედისწერო, მომავალი გვიჩვენებს, გუშინ კი თავად იტალიელმა პროკურორმა ქართულ კორუფციაზე წარმოდგენის შესაქმნელად საირმის გორაზე მიმდინარე მშენებლობები მოინახულა.

**"საირმის გორაზე მიმდინარე უკანონო მშენებლობების ხილვით, საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გარკვეულ წარმოდგენას შევიქმნი,"** - განაცხადა კოლომბომ.

მართალია, აღნიშნული მშენებლობები ყბადაღებული თემა იყო, მაგრამ დღემდე არც ერთ მათგანს



*იტალიელი პროკურორი საკუთარი გამოცდილების გასაზიარებლად ჯერ იუსტიციის მინისტრს, მოგვიანებით კი გენერალური პროკურატურის თანამშრომლებს შეხვდა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

უკანონოდ, ან მით უმეტეს - კორუფციის შედეგად აშენებული შენობების სახელი ოფიციალურად არ დარქმევია. რა შთაბეჭდილება დატოვა საირმის გორის "ქართულმა სასახლეებმა" კოლომბოზე, ან რა დასკვნის გაკეთება შეძლო მან ამ ექსკურსიის შემდეგ, გუშინ არ დაუკონკრეტებია.

ერთი კი ფაქტია, გუშინვე იტალიელი პროკურორი საკუთარი გამოცდილების გასაზიარებლად ჯერ იუსტიციის მინისტრს, მოგვიანებით კი გენერალური პროკურატურის თანამშრომლებს შეხვდა.

**"საქართველოში კორუფციის კუთხით არსებული მდგომარეობა ძალიან წააგავს 90-იანი წლების იტალიაში არსებულ ვითარებას. ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში იტალიის მთავრობა და საზოგადოება პროკურატურას სრულ მხარდაჭერას უცხადებდა. თუმცა, როგორც კოლომბომ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მოსახლეობის მხრიდან თანადგომა უფრო აქტიური იყო, როდესაც ისინი კორუფციას ზედა ფენებში ებრძოდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც დამნაშავეთა გამოვლენა ქვედა ფენებში დაიწყო, მოსახლეობის მხარდაჭერამაც იკლო. ასევე საინტერესოა იტალიელი პროკურორის გამოცდილება საკანონმდებლო ბაზის შესახებ. ჩვენ გვინდა, უცხოელი სამართალდამცველის გამოცდილებით დავხვეწოთ კანონმდებლობა, რომელიც ფულის გათეთრებას ეხება, რაც კორუფციასთან ბრძოლას შეუწყობს ხელს,"** - აღნიშნა იტალიელ პროკურორთან ერთსაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა და დასძინა, რომ ჯერარდო კოლომბომ ქართველ კოლეგებს კონკრეტული რჩევა მისცა უკანონო საბანკო გადარიცხვებთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ყოფილი ჩინოვნიკების წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებაში.

თავის მხრივ, იტალიელმა პროკურორმა განაცხადა, რომ იტალიაში კორუფციასთან ბრძოლის დროს მას დაპირისპირება მოუხდა პოლიტიკური პარტიებისა და ეკონომიკური გიგანტების წარმომადგენლებთან, მოსამართლეებთან, მინისტრებთან, ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ კუთხით მისი გამოცდილება ქართულ კოლეგებს გამოადგებათ.

იუსტიციის მინისტრისგან განსხვავებით, ქართველმა ჟურნალისტებმა საქართველოს გენერალური პროკურორის ხილვა ვერც იტალიელი პროკურორის სტუმრობის ხათრით შეძლეს.

ქართველ კოლეგებთან ორსაათიანი საუბრის შემდეგ კოლომბომ ბრიფინგი გენპროკურატურის სამართლებლივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან - ვალერი ცინცაძესთან ერთად ჩაატარა.

**"იტალიასა და საქართველოში კორუფციულ სისტემასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო პარალელი იკვეთება. როგორც იტალიელი პროკურორი დაგვპირდა, იგი დაგვეხმარება აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში,"** - განაცხადა ვალერი ცერცვაძემ.

ჯერარდო კოლომბომ კი განაცხადა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ასამაღლებლად აუცილებელია, სხვადასხვა ქვეყნების პროკურატურის წარმომადგენლებმა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი იქონიონ და ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება ერთმანეთს გაუზიარონ.

კერძოდ, როგორც ორგანიზაციის "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" წარმომადგენელმა მარკ მალენმა აღნიშნა, კოლომბო ქართველ კოლეგებს დაეხმარება იმ თანხების მოძიებაში, რომელიც ქართველ კორუმპირებულებს უცხოეთის ბანკებში აქვთ გადარიცხული.

მოკლედ, ჯერარდო კოლომბოს საქართველოში ვიზიტის პირველი დღე საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. დღეს იგი კვლავ აგრძელებს ქართველ კოლეგებთან შეხვედრას და საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებს შეხვდება. დღის ბოლოს კი იტალიელი პროკურორი ორგანიზაციის "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ოფისში შემაჯამებელ პრესკონფერენციას გამართავს და საქართველოს დაემშვიდობება.

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

## გადაწყვეტილება

### ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებული კომერციული კონკურსის გადადების თაობაზე

`კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

GSM 1800 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში (1710-1880 მგჰც თავისუფალ სიხშირულ რესურსზე) ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მიღების თაობაზე შპს "მაგთიკომის" (N162 4.09.2003) განცხადების საფუძველზე 2003 წლის 10 ოქტომბერს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება №515/10 "ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ". გადაწყვეტილების შესაბამისად, კონკურსის ჩატარების ვადა განისაზღვრა 2004 წლის 13 თებერვლის 16:00 საათით, ხოლო ლიცენზიების მაძიებლების განცხადებების მიღებისათვის - 2004 წლის 9 იანვრის 17:00 საათით. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში 2003 წლის 12 დეკემბრის კომისიის №621 გადაწყვეტილებით შევიდა ცვლილებები: კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდა 2004 წლის 16 აპრილი, 16:00 საათი, ხოლო ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღების ბოლო ვადად 2004 წლის 13 თებერვალი, 17:00 საათი, ხოლო 2004 წლის 8 აპრილს კომისიამ კვლავ მიიღო "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 10 ოქტომბრის №515/10 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" №164 გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდა 2004 წლის 12 ნოემბერი, 12:00 საათი, ხოლო ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა - 2004 წლის 16 სექტემბერი 17:00 საათი.

კომისია აღნიშნავს, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სათანადო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში შემოიტანა მხოლოდ შპს "მაგთიკომმა" (შემოსვლის №11/002-04, 2004 წლის 15 იანვარი).

ამავე დროს, შპს "მაგთიკომმა" გაასაჩივრა კომისიის 2004 წლის 8 აპრილის №164 გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში და მოითხოვა: გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება და მისი ბათილად ცნობა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ 2004 წლის 4 მაისს საქმეზე №3ა/268-04 გამოიტანა განჩინება სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ, რომლის მე-7 პუნქტში განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერებულად ითვლება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2004 წლის 8 აპრილის №164 გადაწყვეტილება.

2004 წლის 8 ივნისს ამავე საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება მოსარჩელის - შპს "მაგთიკომის" სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც შპს "მაგთიკომმა" საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

კომისიას მიაჩნია, რომ ვინაიდან კომისიის 2004 წლის 8 აპრილის №164 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერებულად ითვლება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2004 წლის 8 აპრილის №164 გადაწყვეტილება, საჭიროა კომისიის 2003 წლის 10 ოქტომბრის №515/10 გადაწყვეტილებით ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებული კომერციული კონკურსისა და შესაბამისად ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღების ბოლო ვადის გადადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, `კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, 362-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. გადაიდოს კომისიის 2003 წლის 10 ოქტომბრის №515/10 გადაწყვეტილებით ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებული კომერციული კონკურსი;
2. კომისიამ ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციული კონკურსის ჩატარების თარიღი და ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღების ბოლო ვადა განსაზღვროს "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 10 ოქტომბრის №515/10 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" კომისიის №164 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

*კომისიის თავმჯდომარე დ. ქიტოშვილი*

# პოლიციას კვლავ იარაღის "ჩადებაში" ადანაშაულებენ

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შენობასთან ხალხმრავალი აქცია მიმდინარეობს. საქმე ის გახლავთ, რომ პოლიციამ გუშინ, გამთენიისას, ზნაურის რაიონის სოფელ გარეჯვარში ზურაბ მეზვრიშვილი დააკავა, რომელსაც ჩხრეკისას იარაღი აღმოუჩინა. პოლიციის შენობასთან შეკრებილი მეზვრიშვილის ახლობლები და ნათესავები კი მის დაკავებას აპროტესტებენ და სამართალდამცველებს იარაღის "ჩადებაში" ადანაშაულებენ.

აქციის მონაწილეთა მტკიცებით, დაკავებული უდანაშაულოა და ცეცხლსასროლ იარაღს არასოდეს ინახავდა სახლში.

შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის უფროსი რევაზ კლდიაშვილი კი პოლიციის მიერ იარაღის "ჩადების" ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. მისი განცხადებით, პოლიციას გააჩნდა ოპერატიული ინფორმაცია მეზვრიშვილის საცხოვრებელ სახლში იარაღის არსებობის თაობაზე და სწორედ ამიტომ ჩაატარა ჩხრეკა. აქედან გამომდინარე, პოლიციის მტკიცებით, მეზვრიშვილი სრულიად კანონიერად არის დაკავებული და პასუხს აგებს იარაღის უკანონო შენახვაზე.

*ინტერ-პრესი*

# ჭუბურხინჯის შეხვედრა აფხაზების გარეშე ტარდება

ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა 16 სექტემბერსაც აფხაზური მხარის გარეშე ჩატარდა. მასში მხოლოდ ქართული მხარე და კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე ქართულმა მხარემ 12 სექტემბერს რუსული ვერტმფრენების მიერ კოდორის ხეობაში საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის საკითხი დააყენა. რუსული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ვერტმფრენები, რომლებიც ხეობაში გამოჩნდნენ, მათ არ ეკუთვნის, ხოლო ინფორმაციას, ეკუთვნოდა თუ არა საფრენი საშუალებები რუსეთის სამხედრო ავიაციას, ისინი არ ფლობენ.

ჭუბურხინჯის შეხვედრაზე სამშვიდობოებმა დაადასტურეს, რომ სწორედ 12 სექტემბერს გალის რაიონში მათ საგანგებო შეკრება ჰქონდათ, თუმცა დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული შეკრება, სავარაუდოდ, კოდორის ხეობაში საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევას შეეხებოდა.

შეგახსენებთ, რომ აფხაზური მხარე ჭუბურხინჯის შეხვედრებში მონაწილეობის განახლებას ეგრეთ წოდებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აპირებს.

*მედია-ნიუსი*

# უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე - უკანონო პატიმრობის წინააღმდეგ

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კემულარიამ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პერმანენტული შეხვედრების ციკლი დაიწყო. შეხვედრებზე სამართალდამცველ სისტემაში არსებული პრობლემები დეტალურად იქნება განხილული.

გუშინ უზენაეს სასამართლოში კოტე კემულარია არასამთავრობო სექტორის, გენერალური პროკურატურის, მოსამართლეთა ასოციაციის, იუსტიციის სამინისტროს, ადვოკატთა კოლეგიისა და ომბუდსმენის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის თემა საქართველოში უკანონო პატიმრობის პრობლემა იყო.

როგორც კოტე კემულარიამ განაცხადა, მისთვის ცნობილია შემთხვევები, როცა ესა თუ ის პირი წინასწარ პატიმრობაში საპროცესო ვადების უხეში დარღვევით იმყოფება. მისი თქმით, მომავალში ეს პრობლემა საქართველოში უნდა აღმოიფხვრას.

**"სამართლებრივ სფეროში ბევრი სხვა პრობლემაც არსებობს და ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, ამიტომ მსგავსი შეხვედრები კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად მეტად მნიშვნელოვანია,"** - აღნიშნა მან.

როგორც "ინტერ-პრესს" არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ განუცხადა, საქართველოში თვალში საცემია სასამართლოსა და პროკურატურას შორის გარკვეული ურთიერთშეთანხმება, რაც ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევს. მისივე თქმით, ამ და სხვა საკითხების გადასაწყვეტად სასამართლოს და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა ექნება.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე ამხილეს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ქუთაისის ფილიალის უფროსის მოადგილე ჯ.მ. შს სამინისტროს ცნობით, აღნიშნულმა პიროვნებამ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა არაჯეროვნად შეასრულა - გარდაცვლილი მამრიკაშვილის მიუღებელი საპენსიო დავალიანება - 444 ლარი არასწორად გასცა ამ უკანასკნელთან მუდმივად მცხოვრებ მანანა წითაძეზე, რამაც დაარღვია კონსტანტინე მამრიკაშვილის კანონიერი მემკვიდრეების უფლებები და ინტერესები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში მცხოვრები, ნასამართლევი, 25 წლის დ.თ., რომელიც ჩაჯდა ბათუმი-ერკეთის ხაზზე მოძრავ მიკროავტობუს "ფორდ-ტრანზიტში" და გზაში ბასრი საგნის მუქარით შეეცადა მძღოლისთვის, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეთში მცხოვრებ, 28 წლის ბ.ზ-სთვის ფულის წართმევა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ჩოხატაურის ჯგუფი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს 35 წლის მ.დ., 28 წლის ა.ვ. და 21 წლის რ.პ., რომლებმაც საპატრულო პოლიციის ინსპექტორებს, პოლიციის უფროს ლეიტენანტ გია ტოტოლაშვილს და პოლიციის კაპიტან გოგა გოგიბერაშვილს გაუწიეს წინააღმდეგობა და მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დაბა წყნეთის "გ" ზონაში მდებარე ანსამბლ "ხალისის" დარბაზში დააკავეს 36 წლის ლ.მ., რომელმაც ცეკვის ანსამბლ "ხალისის" მშობელთა ჯგუფს თურქეთის რესპუბლიკაში გასტროლების მოწყობის საბაბით გამოსძალა 2.300 აშშ დოლარი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაზიანის გადასახვევთან ავტომანქანა "მოსკვიჩი", რომელსაც მართავდა გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურში მცხოვრები, 28 წლის ზ.პ. დაეჯახა დაუდგენელ სატვირთო ავტომანქანას, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა "მოსკვიჩის" მძღოლი და მისი მგზავრი, სოფელ კალაურში მცხოვრები, 29 წლის ხ.პ. სატვირთო ავტომანქანის მძღოლი მიიმალა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის გარდაბნის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ჭიათურაში მცხოვრები, 48 წლის ლ.ხ., რომელმაც 2000 წლის 1 იანვრიდან 2003 წლის 26 დეკემბრამდე სს "ჭიათურმანგანუმის" თანამდებობაზე ყოფნისას მიითვისა და გაფლანგა დიდი ოდენობით თანხა, რაც შეადგენს 231.264.82 ლარს. საქმეს იძიებს საოლქო პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა გორის რაიონის სოფელ კარალეთში დააკავეს ამავე სოფელში მცხოვრებნი, 28 წლის კ.ბ. და 19 წლის დ.ბ., რომელთა სახლებიდან ამოიღეს ორი ცალი ხელყუმბარა "ფ-1", ორი ცალი უნომრო პნევმატური თოფი, გადაჭრილი უნომრო სანადირო თოფი, ორლულიანი არარეგისტრირებული თოფი და ჯავშანჟილეტი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის გორის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მახაჩყალა.** დაღესტანში მოქმედებს დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფი, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს თავს ესხმის. დაღესტანის შსს-ს პრესსამსახურის უფროსის აბდულმანაფ მუსაევის განცხადებით, ეს ჯგუფი ამ რესპუბლიკაში ჩეჩნეთიდან შევიდა და მისი მიზანი სამართალდამცავთა განადგურებაა. მისივე თქმით, ამ ბანდას დაღესტანის მოქალაქე ვინმე მაქაშარიფოვი მეთაურობს და მისი ყველა წევრი ჩეჩნეთში ფედერალური ძალების წინააღმდეგ იბრძოდა. დაღესტანის შსს 50 ათასი დოლარით დააჯილდოებს მას, ვინც ამ დაჯგუფებაზე რეალურ ინფორმაციას მიაწვდის. **მედია-ნიუსი**

# ჩვენი რჩევები

## თქვენი უფლებების დასაცავად

*ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას იურიდიული კონსულტაციისთვის ყოველდღიურად არაერთი მოქალაქე მიმართავს, მათ შორის, ბევრი მოხუცი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. მოქალაქეები გვთხოვენ, გამოვიჩინოთ გულისხმიერება და ქმედითად დავეხმაროთ მათ პრობლემების მოგვარებაში. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ეს შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, ვცდილობთ, ამ ადამიანებს სათანადო კონსულტაცია გავუწიოთ და განვუმარტოთ, საფუძვლიანია თუ არა მათი ესა თუ ის მოთხოვნა და რა გზას უნდა მიმართონ ამა თუ იმ სოციალური შეღავათისა თუ დახმარების მისაღებად.*
*წინამდებარე სტატიაში იმ მოქალაქეებს, რომელთაც ვერ შეძლეს ჩვენი დახმარებით სარგებლობა, ვთავაზობთ პასუხებს - ჩვენს რჩევებს იმ კითხვებზე, რომლებითაც ყველაზე ხშირად მოგვმართავენ მოქალაქეები. ვფიქრობთ, იგივე პრობლემები სოციალურად დაუცველ იმ ადამიანებსაც აწუხებთ, ვინც იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართვას ვერ ახერხებენ.*

**კითხვა:**
**ვარ 56 წლის. მაქვს 29 წლის შრომის სტაჟი. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა ასაკის გამო პენსია?**
**პასუხი:**
მოქმედი კანონის შესაბამისად, მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ ქალებს, რომელთაც შეუსრულდათ 60 წელი და აქვთ არანაკლებ 20 წლის შრომის სტაჟი, ხოლო მამაკაცებს 65 წლის ასაკიდან, თუ აქვთ არანაკლებ 25 წლის სტაჟი.
მიუხედავად იმისა, რომ თქვენ გაქვთ კანონით დადგენილი სტაჟი, ჯერ ვერ მიიღებთ პენსიას, რადგან არ გაქვთ საპენსიო ასაკი, რაც აუცილებელი პირობაა პენსიის დასანიშნად.

**კითხვა:**
**ვარ მარტოხელა დედა, ვცხოვრობ თბილისში. მყავს 2 შვილი (5 და 4 წლის), რომელთაც არ ჰყავთ მამა (მამობა არ არის დადგენილი, შესაბამისად, არ არსებობს მამის თაობაზე ჩანაწერი მათ დაბადების მოწმობებში). გთხოვთ, განმიმარტოთ, დამენიშნება თუ არა დახმარება ბავშვებზე?**
**პასუხი:**
ყოველთვიური სოციალური დახმარება ენიშნებათ მხოლოდ დედაქალაქში მცხოვრებ მარტოხელა დედებს, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი - თითოეულ ბავშვზე თვეში 5 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან თქვენ თბილისში მაცხოვრებელი მარტოხელა დედა ბრძანდებით, აღნიშნული ყოველთვიური სოციალური დახმარება გეკუთვნით და მისი დანიშვნის თაობაზე გირჩევთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალურ საკითხთა განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**კითხვა:**
**3 წლის წინ გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც იყო სამხედრო მოსამსახურე, მისგან დამრჩა 5 წლის შვილი. ორივეს დანიშნული გვქონდა სოციალური პენსია. ბავშვს მალე შეუსრულდება 8 წელი. მეუბნებიან, მისი რვა წლის შესრულებისთანავე, შენ, ვინაიდან შრომისუნარიანი ხარ, პენსია მოგეხსნებაო. გთხოვთ, განმიმარტოთ, გაგრძელდება თუ არა ჩემზე პენსიის გაცემა და რა დრომდე?**
**პასუხი:**
2004 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კანონის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის გამო დანიშნული პენსია მეუღლეს, რომელიც უვლის გარდაცვლილის 8 წლამდე ასაკის შვილს და არ მუშაობს, ბავშვის 8 წლის ასაკის შესრულების შემდეგ პენსია აღარ შეუწყდება. პენსიის გაცემა მოხდება ბავშვის 14 წლის ასაკამდე. შესაბამისად, თქვენ პენსია მოგეცემათ მანამ, სანამ თქვენი შვილი არ გახდება 14 წლის.

**კითხვა:**
**ვარ შრომის I ჯგუფის ინვალიდი. ვცხოვრობ ქ. თბილისში. მეკუთვნის თუ არა შეღავათი ბუნებრივი აირით სარგებლობისას?**
**პასუხი:**
შრომის I ჯგუფის ინვალიდებისთვის (გარდა I ჯგუფის უსინათლო ინვალიდებისა) შეღავათი ბუნებრივი აირით სარგებლობისას, სამწუხაროდ, კანონით გათვალისწინებული არ არის. რაც შეეხება I ჯგუფის უსინათლო ინვალიდებს, მათთვის ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება განისაზღვრება 40 კუბ.მეტრით.

**კითხვა:**
**ვარ 81 წლის, მაქვს 60 წლის შრომის სტაჟი, მათ შორის 40 წელი ერთ დაწესებულებაში. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა მოხუცებულობის პენსიაზე დანამატი მუშაობის საერთო ან უწყვეტი შრომის სტაჟისთვის?**
**პასუხი:**
მოქმედი კანონის შესაბამისად, მოხუცებულობის პენსიაზე რაიმე დანამატის დარიცხვა (მათ შორის, უწყვეტი ან საერთო შრომის სტაჟისათვის) კანონით გათვალისწინებული არ არის.

**კითხვა:**
**ვარ ბავშვობიდან ინვალიდი, 20 წლის. ვცხოვრობ პენსიონერ მშობლებთან ერთად. ჩვენთან ერთად ცხოვრობს ჩემი უფროსი ძმაც, რომელსაც უკვე შეუსრულდა 18 წელი. აღნიშნულის გამო ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება. გთხოვთ, განმიმარტოთ, კანონიერია თუ არა ჩვენი ოჯახისთვის სოციალური დახმარების მოხსნა?**
**პასუხი:**
მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური დახმარება უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახს, სამწუხაროდ, უწყდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ოჯახის თუნდაც ერთი ჯანმრთელი წევრი სრულწლოვანი, ე.ი. 18 წლის გახდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ პენსიონერი მშობლების გარდა გყავთ შრომისუნარიანი ძმა, მისი 18 წლის შესრულების შემდეგ სოციალური დახმარების მიღება, კანონის თანახმად, სწორად შეგწყვეტიათ.

**კითხვა:**
**მყავს მცირეწლოვანი შვილი. ჩემი მეუღლე შვილის აღზრდაში არავითარ დახმარებას არ მიწევს და ოჯახში შექმნილი უთანხმოების საფუძველზე, უკვე 3 წელია, ერთად აღარ ვცხოვრობთ. მინდა შევიტანო განცხადება განქორწინებაზე, მაგრამ როგორც მითხრეს, ამისთვის საჭიროა გარკვეული თანხის გადახდა, რის შესაძლებლობაც მე არ მაქვს. გთხოვთ, განმიმარტოთ, განქორწინების მოწმობის ასაღებად რა ოდენობის საზღაური უნდა გადავიხადო?**
**პასუხი:**
ვინაიდან არასრულწლოვანი შვილი გყავთ, განქორწინებისა და ალიმენტის დანიშვნის მოთხოვნით უნდა მიმართოთ სასამართლოს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განქორწინების თაობაზე სარჩელის შეტანისას სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 30 ლარს, თუმცა, თქვენი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეგიძლიათ, სასამართლოს სთხოვოთ ბაჟის გადახდის გადავადება სასამართლო პროცესის დასრულებამდე. უკვე შემდეგ სასამართლო ბაჟის გადახდას დააკისრებს მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც იქნება გადაწყვეტილება გამოტანილი. კანონის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციისთვის სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 50 ლარს და, როგორც წესი, ამ თანხას სასამართლო აკისრებს ან ერთ-ერთ, ან ორივე მეუღლეს ერთად, განსაზღვრავს რა, ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს ამ 50 ლარიდან. სამწუხაროდ, ამ საზღაურისგან გათავისუფლებას კანონი არ ითვალისწინებს.

**კითხვა:**
**ვარ II მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი, გადაცილებული 70 წლის ასაკს. პენსია დანიშნული მაქვს თვეში 35 ლარის ოდენობით. გთხოვთ, განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა პენსია განმესაზღვროს ომის ინვალიდების თანაბრად თვეში 45 ლარის ოდენობით?**
**პასუხი:**
სამწუხაროდ, არ შეიძლება, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პენსია ომის ინვალიდის თანაბარი ოდენობით, ენიშნებათ 70 წელს გადაცილებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, რომლებიც მოქმედ არმიაში იბრძოდნენ და არა მათთან გათანაბრებულ პირებს.

**კითხვა:**
**ვცხოვრობ დიდ დიღომში. მყავს სამი შვილი - 10, 7 და 4 წლის. მიმდინარე წელს საცხოვრებელ ბინაში შევიყვანე ბუნებრივი აირი. მეზობლებმა მითხრეს, რომ ვსარგებლობ შეღავათით ბუნებრივი აირის ღირებულების გადახდის დროს. გთხოვთ, განმიმარტოთ, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია?**
**პასუხი:**
მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მრავალშვილიან ოჯახებს, ე.ი. იმ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 3 და მეტი არასრულწლოვანი (18 წლამდე) შვილი, უფლება აქვთ, უფასოდ მოიხმარონ თვეში 40 კუბ.მეტრი ბუნებრივი აირი.

**კითხვა:**
ვარ 66 წლის, ვცხოვრობ თბილისში. ვსაჭიროებ ამბულატორულ დახმარებას. მყავს 3 წლის შვილიშვილი, რომელსაც, ასევე, აწუხებს სხვადასხვა დაავადება. მისაყვანი გვყავს ექიმთან და გამოსაკვლევი, მაგრამ ამისთვის, როგორც გვითხრეს, შესაბამისი თანხებია საჭირო. გავიგეთ, რომ მოქმედებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, მაგრამ კონკრეტულად არ ვიცით, რას ითვალისწინებს ეს პროგრამები და გვეხება თუ არა ჩვენ. გთხოვთ, განგვიმარტოთ.
**პასუხი:**
ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობის ამბულატორიული და სტაციონარული დახმარება. კერძოდ, ამბულატორიული დახმარების პროგრამა მოიცავს 1-დან 15 წლამდე, 15-დან 65 წლამდე და 65 წელს ზევით ასაკის მოსახლეობის, აგრეთვე სპეციალიზებული სამეანო, ონკოლოგიურ, ფთიზიატრიულ და სპეციალიზებულ დახმარებას, მოსახლეობის იმუნიზაციას, სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (ინვალიდები) ამბულატორიულ დახმარებას და სხვა.

**კითხვა:**
**ვარ სოციალისტური შრომის გმირი. ვცხოვრობ რაიონში, პენსიას ვიღებ თვეში 20 ლარის ოდენობით. გავიგე, რომ ჩემი კატეგორიის პენსიონერებს ემატებათ პენსია. გთხოვთ, გამარკვიოთ, სწორია თუ არა ზემოაღნიშნული ინფორმაცია და თუ პენსია ნამდვილად გვემატება, როდიდან?**
**პასუხი:**
2005 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მცხოვრები სოციალისტური შრომის გმირებისთვის გათვალისწინებულია პენსიის დანიშვნა ომის მონაწილეებისთვის დადგენილი წესითა და ოდენობით, ანუ თქვენ მიიღებთ პენსიას 40 ლარის ოდენობით.

**კითხვა:**
**ჩემი შვილი მსახურობდა შსს სისტემაში. 1998 წელს დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. მე და ჩემს მეუღლეს პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო დაგვენიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. გვეკუთვნის თუ არა შეღავათი ელექტროენერგიის, გაზისა და კომუნალური გადასახადების გადახდის დროს?**
**პასუხი:**
პოლიციის მუშაკის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის შრომისუუნარო წევრებზე, მოქმედი კანონმდებლობით, კომუნალური მომსახურების გადასახადზე შეღავათი გათვალისწინებული არ არის.

**კითხვა:**
**ვარ 68 წლის, აფხაზეთის ომის მონაწილე, II ჯგუფის ინვალიდი. მაქვს 40 წლის შრომის სტაჟი. მეკუთვნის თუ არა დანამატი პენსიაზე, მოხუცებულობის პენსიის სამმაგი პენსიის ოდენობით?**
**პასუხი:**
მოქმედი კანონის თანახმად, ორი სახის პენსიის მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, რომელთაც გააჩნიათ სამხედრო წოდება (მიეკუთვნებიან ოფიცერთა შემადგენლობას), ინვალიდობის პენსია დანიშნული აქვთ ძალოვანი სტრუქტურებიდან და, ამავე დროს, გააჩნიათ სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებიდან პენსიის მისაღებად საჭირო პირობები. თუ თქვენი მდგომარეობა აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, ორი სახის პენსიის დანიშვნის თაობაზე, გირჩევთ, მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**კითხვა:**
**გვეკუთვნის თუ არა შეღავათი კომუნალური მომსახურების გადასახადზე პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ვმონაწილეობდით ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში.**
**პასუხი:**
თუ თქვენ, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეს, გაქვთ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული მოწმობა (პლასტიკური ბარათი) და ცხოვრობთ დედაქალაქში, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მთლიანად თავისუფლდებით საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, ხოლო 50 პროცენტით მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადისგან; რეგიონებში კი შეღავათის გავრცელება დამოკიდებულია იმაზე, ადგილობრივი ბიუჯეტი იძლევა თუ არა დაფინანსების საშუალებას. სხვა შემთხვევაში, ზემოაღნიშნული შეღავათებით ვერ ისარგებლებთ. ვინაიდან, პოლიციის შესახებ საქართველოს კანონით, პოლიციის მუშაკები შეღავათებით სარგებლობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.

**კითხვა:**
**ვარ საპენსიო ასაკს მიღწეული. ოჯახური პირობების გამო არასდროს მიმუშავია. გთხოვთ გამარკვიოთ, დამენიშნება თუ არა სახელმწიფო პენსია?**
**პასუხი:**
მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვინაიდან თქვენ არ გაქვთ შრომის სტაჟი, სახელმწიფო პენსია არ გეკუთვნით, მაგრამ დაგენიშნებათ სოციალური პენსია იგივე ოდენობით 5 წლის დაგვიანებით. სოციალური პენსია ქალებს ენიშნებათ 65 წლის ასაკიდან, ხოლო მამაკაცებს - 70 წლის ასაკიდან.

**კითხვა:**
**ვარ 17 წლის, 6 თვეა, ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში დამლაგებლად, მინდა ფასიანი შვებულებით ვისარგებლო 1 სექტემბრიდან, ვინაიდან აღნიშნული ჩემი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია, მაგრამ დაწესებულების ხელმძღვანელობა ამაზე უარს მეუბნება. გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად კანონიერია მათი გადაწყვეტილება.**
**პასუხი:**
შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება ეძლევათ ზაფხულში ან მათი სურვილის მიხედვით, წლის ყოველ სხვა დროს, მიუხედავად იმისა, მუშაობის დაწყების პირველ წელს ნამუშევარი აქვთ თუ არა 11 თვე, რაც აუცილებელია 18 წელს გადაცილებული მუშებისა და მოსამსახურეებისთვის. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამავე კანონის 67-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, 18 წელზე უფრო ახალგაზრდა პირებს შვებულება ეძლევათ ერთი კალენდარული თვის ხანგრძლივობით.

**კითხვა:**
**ვარ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი. პენსია დანიშნული მაქვს თვეში 35 ლარის ოდენობით. გთხოვთ, განმიმარტოთ, მუშაობის პერიოდში მაქვს თუ არა უფლება, ხელფასთან ერთად მივიღო პენსია და საერთოდ, პენსიონერთა რომელ კატეგორიას აქვს უფლება, მუშაობის პერიოდში სრულად მიიღოს პენსია?**
**პასუხი:**
მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუშაობის პერიოდში ხელფასთან ერთად პენსია სრულად ეძლევათ პენსიონერთა შემდეგ კატეგორიებს:
**- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს;**
**- ჩერნობილის აეს-ის აღდგენითი სამუშაოების შესრულების შედეგად დაინვალიდებულებს;**
**- რეპრესირებულებსა და მათი ოჯახის შრომისუუნარო წევრებს;**
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ, როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირს, უფლება გაქვთ, მუშაობის პერიოდში ხელფასთან ერთად პენსია სრულად მიიღოთ.

**კითხვა:**
**ვმუშაობ ერთ-ერთ დაწესებულებაში, სადაც განსაზღვრული მაქვს ყოველთვიური ხელფასი. ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ მამუშავეს 26 მაისს (ე.ი. უქმე დღეს), მაგრამ ამ დღის ორმაგად ანაზღაურებაზე ან სამაგიერო დასვენების დღის მოცემაზე უარს მეუბნებიან. გთხოვთ, განმიმარტოთ, მართლა არაფერი მეკუთვნის?**
**პასუხი:**
საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად, უქმე დღეს მუშაობა უნდა აგინაზღაურდეთ ორმაგად ან თქვენი სურვილის მიხედვით, მოგეცეთ სხვა დასვენების დღე.

**კითხვა:**
**ვარ 47 წლის, მე-2 ჯგუფის ინვალიდი, ინვალიდობის ჯგუფი 1997 წელს დამიდგინდა. ყოველწლიურად მიხდება კომისიაზე გასვლა. გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად კანონიერია ყოველწლიურად კომისიაზე გასვლა, მეკუთვნის თუ არა ჯგუფი და პენსია მუდმივად?**
**პასუხი:**
ინვალიდობის ჯგუფის დადგენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სადავო საკითხზე უნდა მიმართოთ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო მათი გადაწყვეტილებით უკმაყოფილების შემთხვევაში, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დეპარტამენტს (თბილისი, წერეთლის გამზირი 144).

**კითხვა:**
**გთხოვთ, განმიმარტოთ, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, ეძლევა თუ არა ქალს ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე ნაწილობრივ ანაზღაურებადი შვებულება და თუ ეძლევა, რა ოდენობით?**
**პასუხი:**
მართალია, შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია ბავშვის წლინახევრის შესრულებამდე დედისთვის ნაწილობრივ ფასიანი შვებულების ანაზღაურების საკითხზე, მაგრამ საქართველოში შექმნილი მძიმე ფინანსური კრიზისის გამო, დღემდე არ არის განსაზღვრული გასაცემი თანხის ოდენობა და დაფინანსების წყარო, რის გამოც დახმარების გაცემა, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება.

**კითხვა:**
**ვარ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი. პენსიას ვიღებ 35 ლარის ოდენობით; ამჟამად ვმუშაობ. ხელფასიდან მექვითება საშემოსავლო გადასახადი. გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად კანონიერია ჩემთვის საშემოსავლო გადასახადის დაქვითვა?**
**პასუხი:**
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის შესაბამისად, სამამულო ომში მონაწილეებთან გათანაბრებული პირები საშემოსავლო გადასახადის გადახდის დროს შეღავათით ვერ სარგებლობენ.

**კითხვა:**
**დანიშნული მქონდა ინვალიდობის პენსია. ინვალიდობის ჯგუფის გადამოწმების პერიოდისთვის ვიწექი საავადმყოფოში, რის გამოც ჯგუფის დასადგენად დანიშნულ ვადაში ვერ გამოვცხადდი და პენსიის გაცემა შემიჩერდა. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ გავიდა 1 თვე და 10 დღე. გთხოვთ, განმიმარტოთ, ინვალიდად ხელახლა ცნობის შემთხვევაში, ამინაზღაურდება თუ არა გაცდენილი პერიოდის საპენსიო თანხები?**
**პასუხი:**
ვინაიდან თქვენ ინვალიდობის ჯგუფის გადამოწმების ვადა საპატიო მიზეზით გაქვთ გამოტოვებული, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ ინვალიდად ხელახლა ცნობის შემთხვევაში, პენსია აგინაზღაურდებათ მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც იმყოფებოდით საავადმყოფოში. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ვადის ჩაუთვლელად, კიდევ მოგეცემათ ერთი თვის თანხა.

**კითხვა:**
**გთხოვთ, განმიმარტოთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რა ვადით შეიძლება დაიდოს შრომითი ხელშეკრულება ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის?**
**პასუხი:**
საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად, შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) იდება: განუსაზღვრელი ვადით, განსაზღვრული ვადით, არაუმეტეს 3 წლისა და გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

**კითხვა:**
**გარდამეცვალა მამა, დედა მუშაობს; მე და ჩემი ძმა ვსწავლობთ უმაღლეს სასწავლებელში და ვიღებთ სტიპენდიას. დამენიშნება თუ არა პენსია მამის გარდაცვალების გამო?**
**პასუხი:**
მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორივე მშობლის კმაყოფაზე მყოფ შვილებს უფლება აქვთ, მიიღონ პენსია მამის ან დედის გარდაცვალების გამო იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეორე მშობელი მუშაობს; ასე რომ, თქვენ და თქვენს ძმას, მიუხედავად იმისა, რომ სწავლობთ და იღებთ სტიპენდიას, მამის გარდაცვალების გამო სტუდენტობის პერიოდში პენსია მაინც მოგეცემათ, მაგრამ მხოლოდ 23 წლის შესრულებამდე.

**კითხვა:**
**რა შემთხვევაში შეიძლება მოქალაქეს დაენიშნოს ინვალიდობის პენსია და ვის უნდა მიმართოს ინვალიდობის ჯგუფის დასადგენად?**
**პასუხი:**
ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ შრომისუნარის მუდმივად ან ხანგრძლივად დაკარგვის შემთხვევაში. ინვალიდობის ჯგუფს და მის გამომწვევ მიზეზებს კი განსაზღვრავენ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**კითხვა:**
**რა საბუთებია საჭირო პენსიის დასანიშნად სამხედრო მოსამსახურისთვის?**
**პასუხი:**
სამხედრო მოსამსახურემ პენსიის დასანიშნად განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები: ავადმყოფობის მოწმობის ასლი, დამოწმებული და გაცემული იმ სამხედრო კომისარიატის მიერ, რომელმაც სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნა სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო-საექიმო კომისიის ცნობა; თუ სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშად ან მოსამსახურედ მუშაობდა, განცხადებას უნდა დაერთოს აგრეთვე: დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშად ან მოსამსახურედ მუშაობდა; თუ პირი დაინვალიდდა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ავადმყოფობის მოწმობის ნაცვლად უნდა წარადგინოს სამხედრო კომისარიატის ცნობა სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, სადაც აღნიშნული იქნება სამხედრო სამსახურში გაწვევის და დათხოვნის თარიღები და საფუძველი.

**კითხვა:**
**კოლმეურნეობის გაუქმებამდე ვმუშაობდი კოლმეურნეობაში. იმის გამო, რომ სოფელში სხვა სამუშაო არაფერი იყო; მას შემდეგ არსად არ მიმუშავია. რამდენიმე წელია, ვცხოვრობ თბილისში, მინდა, გავიდე პენსიაზე. ჩამეთვლება თუ არა შრომის სტაჟში კოლმეურნეობაში ნამუშევარი წლები?**
**პასუხი:**
მუშაობა კოლმეურნეობის წევრად, 1965 წლის პირველ იანვრამდე ჩაგეთვლებათ შრომის სტაჟში, მიუხედავად იმისა, გქონდათ თუ არა გამომუშავებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, ხოლო ზემოაღნიშნული დროის შემდეგ კოლმეურნეობაში ნამუშევარი მხოლოდ ის წლები ჩაგეთვლებათ შრომის სტაჟში, როდესაც გამომუშავებული გქონდათ შრომადღეების მინიმუმი.

**კითხვა:**
**აფხაზეთის ომში დამეღუპა შვილი, რომელიც ჩემი მარჩენალი იყო. ავადმყოფობის გამო პენსიის დასანიშნად დროულად ვერ მივმართე. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა დროიდან დამენიშნება პენსია?**
**პასუხი:**
სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს პენსიები ენიშნებათ სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების დღიდან, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა პენსიის დანიშვნიდან მიმართვამდე. ასე რომ, თქვენი შვილის დაღუპვის გამო პენსია დაგენიშნებათ მიმართვის დღიდან ერთი წლის უკან დახევით.

**კითხვა:**
**ვარ პოლიტრეპრესირებულის შვილი. ჩვენი კატეგორიის პენსიონერებს ტელეფონების საააბონენტო გადასახადზე აქვთ 50 პროცენტიანი შეღავათი. მე უარს მეუბნებიან იმის გამო, რომ ვარ ახალი ქსელების აბონენტი. რამდენად სამართლიანია მათი პასუხი?**
**პასუხი:**
ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე 50 პროცენტიანი შეღავათით სარგებლობენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები ან მათი შვილები, რომლებიც არიან მხოლოდ საქართველოს ელექტროკავშირის აბონენტები.

**კითხვა:**
**გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც იყო სამამულო ომის ვეტერანი, არ ჰქონდა სამხედრო წოდება და პენსია ეძლეოდა თვეში 45 ლარის ოდენობით. მაქვს თუ არა უფლება, მივიღო გარდაცვლილი მეუღლის პენსია?**
**პასუხი:**
ომის ვეტერანის პენსია ენიშნებათ უშუალოდ ომის ვეტერანებს. მათი გარდაცვალების შემდეგ მეუღლისთვის იმავე ოდენობით პენსიის დანიშვნა, რაც ვეტერანს ეძლეოდა, კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

**კითხვა:**
**ვმუშაობ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მედდად. მოგეხსენებათ, მუშაობა გვიწევს მეტად რთულ პირობებში. აქედან გამომდინარე, თუ არის რაიმე შეღავათი ამ დარგში მომუშავე პირებზე?**
**პასუხი:**
დედაქალაქში მცხოვრები ფსიქიატრიის დარგში მომუშავე პირები ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე, სარგებლობენ 50 პროცენტიანი შეღავათით საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადის გადახდის დროს; ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება შეუძლიათ 20 კუბ. მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო ოჯახში შეღავათის მქონე ორი პირის არსებობისას - 30კუბ. მეტრის ოდენობით.

IRIS
მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ,
აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის
IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით

სიყვარულის სამი ეროვნება

B3

"დინამო" UEFA-ს თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებსა

B4

როგორ შეიძლებოდა ვერცხლის ოქროდ გადადნობა

B5







მის საქართველო

# ფინალისტები



ნათია დოლიძე



ლანა ტატიშვილი



ხათუნა მგელაძე

ირმა მარიძის ფოტოები

**ნათია დოლიძე:**
**"ადამიანმა ცხოვრებაში ყველაფერი უნდა მოასწრო."**

21 წლის. სიმაღლე 174 სმ. 85-65-90

კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტი.

ძალიან უყვარს ცეკვა და ჩოგბურთი.

მიაჩნია, რომ ყოველი ადამიანი თვითონ წარმართავს საკუთარ ცხოვრებას და თავისუფალია არჩევანში.

**- კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტში რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?**

- საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობებზე. მეხუთე კურსზე გადავედი.

**- აპირებ ბოლომდე გაყვე არჩეულ პროფესიას?**

- რა თქმა უნდა. სამომავლოდ მინდა ჩემი პროფესიით ვიმუშაო. მაგრამ, ამას გარდა, მსურს ქორეოგრაფიც გავხდე.

**- ცეკვავ რომელიმე ანსამბლში?**

- ახლა არა. ბავშვობაში დავდიოდი დიდი ხანი და მინდა ახლა გავაგრძელო.

**- პრინციპში, გსურს რამდენიმე პროფესიას ერთდროულად მოეკიდო. როგორ ფიქრობ, მოახერხებ?**

- მიმაჩნია, რომ სამივე პროფესია ხელოვნებასთან არის დაკავშირებული და ერთმანეთს ხელს არ უშლის. ჯერ მოდელობას და ქორეოგრაფიას გავყვები, მომავალში, როდესაც ვეღარ შევძლებ მოდელად და ქორეოგრაფად მუშაობას, კულტურულ ურთიერთობებზე გადავალ.

**- ანუ, მიგაჩნია, რომ უკვე მოდელი ხარ?**

- ჯერ არა. ამ კონკურსის შედეგებზე ბევრია დამოკიდებული. იმის მიუხედავად, რომ ბავშვობიდან მოდელობა ჩემი ოცნებაა, პირველად ვცადე "მის საქართველოზე" გასვლით.

**- და, თუკი წარმატებას ვერ მიაღწევ ამ კონკურსზე, მოდელობას გადაიფიქრებ?**

- ჯერ არ ვიცი, რას ვიზამ.

**- ჩოგბურთს თამაშობ?**

- მიყვარს, მაგრამ არ ვიცი, ისევე როგორც ცურვა. ისე, გეგმაში მაქვს ჩოგბურთის თამაშიც ვისწავლო და ცურვაც. ჩემი აზრით, ადამიანმა ცხოვრებაში ყველაფერი უნდა მოასწრო. ოღონდ, მთავარია, ყველაფერი საფუძვლიანად გააკეთო, მხოლოდ იმიტომ არა, რომ მოასწრო.

**- რაც უფრო ახლოვდება 24 სექტემბერი, იძაბება სიტუაცია თქვენთან?**

- სხვათა შორის, პირიქით. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვმეგობრდებით კონკურსანტები, უფრო გვიყვარდება ერთმანეთი და ხელს ვუწყობთ ერთმანეთს.

**ლანა ტატიშვილი:**
**"ბავშვობიდან მინდა ეგვიპტის პირამიდების ნახვა."**

18 წლის; სიმაღლე 173 სმ. 89-63-90

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

ცხოვრებაში ყველაზე მეტად აფასებს ერთგულებას.

უყვარს კლასიკური მუსიკა და ცურვა.

ოცნებობს იმოგზაუროს ეგვიპტეში.

**- გეხმარება შენი არჩეული პროფესია კონკურსანტებთან ურთიერთობაში?**

- ჯერ არ დამიწყია სწავლა, წელს ჩავაბარე.

**- ისე, გჭირდება?**

- რა ვიცი, გოგოებთან ისედაც კარგი ურთიერთობა მაქვს.

**- კლასიკური მუსიკიდან გამორჩეულად ვისი ნაწარმოებები გიყვარს?**

- გამორჩეული კომპოზიტორი არ მყავს.

**- მხოლოდ კლასიკურ მუსიკას უსმენ?**

- არა, მაგრამ ყველაზე მეტად მიყვარს.

**- კიდევ როგორი მუსიკა მოგწონს?**

- ჟანრის მიხედვით ვერ გეტყვით, ყველანაირი კარგი მუსიკა მიყვარს.

**- ე.ი. ხარისხს აქცევ ყურადღებას?**

- კი.

**- ფინალის მოახლოების გამო ნერვიულობ?**

- ნერვიულობით არა, უბრალოდ ცოტას ვღელავ.

**- გაქვს მოდელის გამოცდილება?**

- არა, პირველი მცდელობაა ჩემი. სრულიად შემთხვევით მოვედი. უფრო სწორად, ნათესავმა მითხრა, რომ ასეთი კონკურსი იმართებოდა და წამიყვანა შესარჩევ ტურზე. მოხდა ისე, რომ ამირჩიეს.

**- ხომ არ ინანე, რომ ნათესავს დაუჯერე?**

- არა, პირიქით. ძალიან მომეწონა. სხვა სფეროა, ჩემთვის ახალი, საინტერესო. მოდელის პროფესია ყოველთვის მომწონდა.

**- კარგად ცურავ?**

- ცურვა არ ვიცი.

**- აბა, ყურება გიყვარს თუ გინდა ცურავდე?**

- ყურებაც მიყვარს და სწავლაც მინდა.

**- ყველაზე მეტად რას ელი 24 სექტემბერს?**

- იმედი მაქვს, რომ ათეულში მოვხვდები.

**- თუკი ვერ გახვედი, ინანებ, რომ მონაწილეობდი?**

- არა, რატომ? საინტერესოა ისედაც.

**- საინტერესო რა თვალსაზრისით?**

- თუნდაც გამოცდილების მიღების.

**- ეგვიპტეში რატომ გინდა მოგზაურობა?**

- ბავშვობიდან მომწონდა და მინდოდა პირამიდების ნახვა. ასევე მაინტერესებს ეგვიპტის მითოლოგია.

**ხათუნა მგელაძე:**
**კონკურსში მონაწილეობა ჩემთვის სასიამოვნო თავგადასავალი იქნება."**

17 წლის. სიმაღლე 170 სმ. 86-60-89

აბიტურიენტი.

გატაცებაა - სიმღერა და კითხვა.

სურს გახდეს ცნობილი მოდელი და ოცნებობს, რომ მთელ მსოფლიოში დამყარდეს მშვიდობა.

**- გაქვს მუსიკალური განათლება?**

- გიტარის კურსებზე დავდიოდი.

**- რას უკრავ?**

- კლასიკურს.

**- საყვარელი გიტარისტები გყავს?**

- გამორჩეულად არავინ.

**- საქართველოს ფარგლებში გინდა გახდე ცნობილი მოდელი თუ მსოფლიოს მასშტაბით?**

- ალბათ, მსოფლიოს მასშტაბით.

**- როგორ ფიქრობ, ამისათვის ბევრი შრომა საკმარისია თუ კიდევ დაგჭირდება სხვაგვარი ძალისხმევა?**

- ვფიქრობ, შრომა საკმარისი იქნება.

**- შრომისმოყავრე ხარ?**

- საკმაოდ.

**- როგორ მოხვდი კონკურსზე?**

- გავხდი "მის გურია" და მოვხვდი 27 საუკეთესო გოგონას შორის.

**- რთული იყო?**

- ყოველ შემთხვევაში, კონკურენცია საკმაოდ მაღალი იყო.

**- რამდენად კომუნიკაბელური ხარ?**

- არ ვიცი. ალბათ, არა ვარ.

**- არ შეგიშლის ხელს კონკურსზე?**

- ალბათ, შემიშლის.

**- არ ცდილობ, რომ ეს დაბრკოლება დაძლიო?**

- ალბათ, შევძლებ.

**- რა ჟანრის ლიტერატურას კითხულობ და თუ გყავს საყვარელი ავტორი?**

- მეტწილად დეტექტივებს. მიყვარს შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლების კითხვა.

**- იქნება თუ არა ერთ-ერთი სასიამოვნო თავგადასავალი შენთვის "მის საქართველოს" კონკურსში მონაწილეობა?**

- ნამდვილად თავგადასავალი იქნება.

**- ყველაზე მეტად 24 სექტემბრის შოუზე რომელ ნომინაციაში გასვლა გიხარია?**

- ყველა ნომინაცია მომწონს, სულერთია.

**- საყვარელი მოდელი თუ გყავს?**

- ნამდვილად მყავს და ეს არის სინდი კროუფორდი.

**- მსოფლიო მშვიდობაზე ოცნებობ. როგორ ფიქრობ, შესაძლებელია, რომ მთელმა მსოფლიომ მშვიდობიანად იცხოვროს?**

- ალბათ, შესაძლებელი იქნება.

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991






## გამოფენები

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"ელექტრონული დედამიწა - თანამედროვე ბრიტანული ვიდეო-არტი"

**ქარვასლა**
პროექტი "სამშაბათი გასულია"
შვეიცარიელი, ამერიკელი და გერმანელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

გურამ გაბუნიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ასი პორტრეტი"
III სართული, I დარბაზი

**სურათების ეროვნული გალერეა**
"თბილისი თბილისელ მხატვართა შემოქმედებაში"

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ცხოვრება მართლაც მშვენიერია"
დას: 14:00; 17:00 სთ

"სტეპფორდელი ცოლები"
დას: 20:00; 22:30 სთ

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ფოლკლორით გადმოცემული ისტორია

## ახალი თეატრი რუსთაველზე

ვერა ნეფარიძე

*თბილისში ახალი თეატრი იხსნება. ხალხური სიმღერისა და ცეკვის შინაარსთან მიახლოებული სანახაობა; ქორეოგრაფიული და მუსიკალური ხერხებით გადმოცემული ხალხის ხასიათი, მითოლოგია, წარსული, - ასეთია ფოლკლორული თეატრის "ნაბადი" მიმართულება, რომელსაც თბილისელი მაყურებელი პირველად ხვალ, ახლად გახსნილ თეატრში გაიცნობს.*


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

იქ, სადაც თბილისელებს კინოთეატრი "სპარტაკი" ახსოვთ, ამიერიდან ფოლკლორული თეატრი "ნაბადი" იარსებებს. უფრო სწორად, თეატრი უკვე არსებობს, კარგა ხანია მიმდინარეობს რეპეტიციები, 18 სექტემბრის მოახლოებასთან ერთად კი - უფრო და უფრო ინტენსიურად. შაბათის პრემიერას თეატრში განსაკუთრებული ინტერესით ელიან და სრულებით ბუნებრივია. "ნაბადი" ერთადერთი ფოლკლორული თეატრია საქართველოში, მაყურებლის რეაქციაზე, აღქმაზე, ალბათ, თეატრის მომავალია დაკავშირებული.

ფოლკლორული თეატრის გახსნის იდეა "ნაბადის" სამხატვრო ხელმძღვანელს ნინო ტურაბელიძეს ("სუხიშვილების" მოქმედი სოლისტი) შარშან თებერვლის დასაწყისში გაუჩნდა. მისი კონცეფცია უმალ გაიზიარეს სხვადასხვა ცეკვის ანსამბლების წევრებმა, მუსიკოსებმა და იმ ადამიანებმა, ვისთან ერთადაც და ვისი დახმარებითაც ხვალ ფოლკლორული თეატრი იხსნება. "ნაბადს" სპონსორიც ჰყავს, რომლის ვინაობასაც დასი პრემიერაზე გაამხელს. სტრუქტურა კი დღეისათვის ასე გამოიყურება: თეტარის დირექტორი ზაზა მამალაძეა; რეჟისორი - გიორგი სიხარულიძე; კოსტიუმების მხატვარი - ანი ბაბილაშვილი, სცენის მხატვარი კი - გია აბესალაშვილი. დასის უმრავლესობა თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენი მაყურებლისთვის ნაცნობი სახეებია (მოცეკვავეებს ვგულისხმობ).

სპექტაკლი "ნაბადი", რითაც ფოლკლორის თეატრი იხსნება, შარშან ოქტომბერშივე იყო მზად. თუმცა, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელმა გვითხრა, მთელი ეს პერიოდი, თითქმის ერთი წელიწადი, ტექნიკური პრობლემების მოგვარებას დასჭირდა. საბოლოოდ, გამოვიდა საათი და 45-წუთიანი სანახაობა. ამ ხნის განმავლობაში მუსიკა (როგორც ვოკალური, ასევე ინსტრუმენტული) გაუჩერებლად ჟღერს. "გვსურდა ცეკვისა და სიმღერის ენაზე მოგვეთხრო ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მცხოვრები ქართველური ტომების შესახებ; გადმოგვეცა ხალხის ხასიათი. ვეცადეთ, მაყურებლისთვის ქორეოგრაფიისა და მუსიკის შინაარსთან მიახლოებული სანახაობა შეგვეთავაზებინა, - ამბობს ნინო ტურაბელიძე, - ჩვენი თეატრი გათვლილია როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მაყურებელზე". წარმოდგენა დაბადებით იწყება. აქვე უნდა ითქვას, რომ თეატრის სახელწოდება "ნაბადი" ერთდროულად სამოსთან და დაბადებასთან არის დაკავშირებული. ერთმანეთს ცვლის მითოლოგია - არგონავტებისა თუ ამირანის შესახებ; სიმღერა და ცეკვა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. სანახაობაში გათვალისწინებულია მაყურებლის ჩართვაც, თუმცა როგორი ფორმით, - ამას დასი მაყურებლისთვის მოულოდნელობად ტოვებს.

თეატრის რეპერტუარში ჯერჯერობით ერთი წარმოდგენაა. "გვაქვს უამრავი მასალა, რომელსაც თანდათან დავამუშავებთ", - გვპირდებიან თეატრში. სპექტაკლების გარდა, ფოლკლორული თეატრის მესვეურები სხვა სახის სიახლეებსაც გეგმავენ. ნინო ტურაბელიძის სურვილია, უახლოეს მომავალში თეატრში ეროვნული კოსტიუმების მოდელების სახლიც გახსნას. სიახლეები პრემიერაზეც ელის მაყურებელს. "ძალიან საინტერესო კოსტიუმები შემოგვთავაზა ანი ბაბილაშვილმა, რომელიც დებიუტანტია. თუ არ ვცდები, პირველები ვართ, ვინც თექით დავამზადეთ ნაბდები, ასე რომ, ნოვატორები ვართ. თუ ვცდები, პატიებას ვითხოვ", - ამბობს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

დაბოლოს: გარკვეული შეკითხვები გაჩნდება ფასთან დაკავშირებით. თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ბილეთის ღირებულება 68 ლარი იქნება. "ეს იმიტომ, რომ ხელოვნება დაფასდეს", - ამბობენ ფოლკლორის თეატრში. ასეთი ფასი, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ თეატრი მაქსიმუმ 30 მაყურებელს დაიტევს. მათთვის კი, ვისაც ამ თანხის გადახდა არ შეუძლია, თვეში ერთხელ დასი საქველმოქმედო სპექტაკლებს გამართავს.

# „კოპალაში" საგამოფენო სეზონი გაიხსნა


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თეონა ჭაფარიძე

"სეზონი მხიარული ფერებით გავხსენით" - აგვიხსნა გალერისტმა ნათელა ნიკონოვამ და, მართლაც, გალერეა "კოპალამ" ახალ საგამოფენო სეზონზე სტარტი ფერწერის დემონსტრირებით აიღო. გალერეაში ცოლ-ქმრის - ნინო ფხალაძისა და სანდრო დალაქიშვილის ნამუშევრები გამოიფინა. ერთი სიტყვით, ეს ტილოები ასე შეიძლება დავახასიათოთ: ცოცხალი ფერები, კიჩის, კლასიკისა და იმპრესიონიზმის ნაზავი. ეს ფორმულირება ორივე ავტორზე თანაბრად შეგვიძლია გავავრცელოთ, რადგან თვალის ერთი გადავლებით მათი ხელწერა (კარგი გაგებით) თითქმის იდენტურია. ეს იდენტურობა გამოფენის მთლიანობის შეგრძნებას უფრო იძლევა, ვიდრე ერთმანეთის გავლენაზე საუბრის საშუალებას.

ხელწერის იდენტურობა, პირველ რიგში, ფერში, კომპოზიციასა და ყველაზე მეტად ნამუშევრების ემოციურ დატვირთვაში შეიმჩნევა. კიდევაც რომ არ იცნობდეთ მათ შემოქმედებით ბიოგრაფიებს, თავად ტილოები გვიკარნახებენ, რომ ცოლ-ქმარს ერთად შემოუვლიათ პარიზული კაფეები. მათი "პარიზული სტილი" და იმპრესიონისტული გავლენა თბილისურ კომპოზიციებგშიც კი იგრძნობა.

80-იან წლებში სანდრო დალაქიშვილმა გალერისტების ყურადღება მიიპყრო როგორც გრაფიკოსმა. მისი ფერწერული ნამუშევრები ამ ბოლო წლებს ეკუთვნის. მის ბიოგრაფიაში რამდენიმე საინტერესო შტრიხს ვხვდებით: "ხატვა 2 წლის ასაკიდან დაიწყო და რამდენიმე წელიწადში მას უკვე დახატული ჰქონდა ბატალური სცენები. ბავშვობიდანვე მისი საყვარელი მხატვრები ყოფილან ბოსხი და ბრეიგელი. ანატომია დამოუკიდებლად შეუსწავლია."

90-იანი წლებიდან ცოლ-ქმარი უკვე ფრანგულ გალერეებთან თანამშრომლობს. ფრანგი კოლექციონერები მათი მნამუშევრებით ინტერესდებიან. ნელ-ნელა მათ ცხოვრებასა და ტილოებში ფრანგული ხელოვნება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

გალერეა "კოპალაში" გამოფენილი ნამუშევრები კიდევ ორ მნიშვნელოვან ნიუანსზე მიგვანიშნებენ: ოსტატობის მაღალ კლასსა და მხატვრობის ისტორიის ღრმა ცოდნაზე.

გამოფენაზე უამრავი დამთვალიერებელი მოვიდა, როგორც ეს თბილისურ გამოფენის გახსნაზე ხდება ხოლმე. დარწმუნებული ვარ, მათ ნამუშევრებს დამთვალიერებელი მომდევნო დღეებშიც არ მოაკლდება, მით უმეტეს, რომ "კოპალა" კარგად იცნობს თბილისელთა გემოვნებას და მათ ხშირად მათსავე საყვარელ სალონურ ხელოვნებას სთავაზობს.

# სიახლეები გორის თეატრში

გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი სეზონს სამი პრემიერითა და რესტავრირებული შენობით გახსნის.

იოსებ სტალინის მიერ 65 წლის წინათ აშენებულ თეატრის შენობას სარემონტო სამუშაოები პირველად ჩაუტარდა. რეკორდულ დროში - ერთი თვის განმავლობაში მიმდინარე რესტავრაცია შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდიდან დაფინანსდა.

შენობის გათბობის სისტემითა და ელექტროენერგიის ავტონომიური კვების წყაროთი უზრუნველყოფა თეატრს ზამთრის სეზონზე მუშაობის შესაძლებლობას მისცემს.

გორის თეატრი სეზონს დღეს ხსნის. **ინტერ-პრესი**

# შარშან გერმანიას 140 მეწაღე შემატა

მაია კობახიძე
გერმანიიდან

*ბერნდ ვისოცკის ჰყავს ცხენი "გრიზუ" და "რა თქმა უნდა", ეწევა "მალბოროს". ცხოვრობს 270 წლის წინათ აშენებულ მშვენიერ ვილაში. მის კარ-მიდამოს 5 ათასი კვადრატული მეტრი უკავია. თავისუფალ დროს ცხენებს უთმობს და ჯირითობს, თუმცა ამბობს, რომ ძალიან ცოტა თავისუფალი დრო აქვს, რადგან კვირაში 70 საათი უწევს მუშაობა. ბერნდ ვისოცკი პროფესიით მეწაღეა.*




გერმანიაში ყველანაირ ფეხსაცმელს ატარებენ, მაგრამ უპირატესობას მაინც სპორტულ, მოხერხებულ ფეხსაცმელს ანიჭებენ. გერმანელ ქალებს უჭირთ იმის გაგება, თუ რატომ უნდა მუშაობდნენ მთელი დღის განმავლობაში მაღალ და წვრილ ქუსლებზე. რაც შეეხება არჩევანს, ძალიან მრავალფეროვანია. ხშირია სერიოზული ჩამოფასებები, ასე რომ გერმანელებს არ ენანებათ იაფად ნაყიდი ფეხსაცმლის სხვისთვის (მაგ. "წითელი ჯვრისთვის") გადადება ან სულაც გადაგდება და ახლის ყიდვა (35 ევროდ და ზოგჯერ ნაკლებადაც).

არ გაბედო მეწაღესთან მისვლა, მაგას ახალი იყიდო ჯობსო, გაგაფრთხილებენ იქ მცხოვრები ყოფილი საბჭოთაკავშირლები ახლად ჩასულ ყოფილ თანამემამულეს. თავად გერმანელებიც აღნიშნავენ, რომ იშვიათად მიდიან მეწაღესთან. გერმანიაში, ყველაფერი, რაც ხელსაქმეს უკავშირდება, ძვირად ფასობს. მიუხედავად ამისა, ბერნდ ვისოცკის ატელიეს კარზე ზარი განუწყვეტლივ რეკავს და სამუშაო ოთახში შესულ მეპატრონეს მორიგი კლიენტის მოსვლას ამცნობს.

ბერნდ ვისოცკის ოჯახი გერმანიაში აღმოსავლეთ პრუსიიდან (ამჟამინდელი კალინინგრადი) 1946 წელს გადმოსახლდა. ბერნდმა თავდაპირველად სხვა განათლება მიიღო, მაგრამ მერე არჩია, მამის კვალს გაჰყოლოდა და მეწაღე გამხდარიყო. მის სამუშაო ოთახში, კომპიუტერთან, რამდენიმე ფოტოა გაკრული: 1926 წლის საფოსტო ბარათი, სადაც აღბეჭდილია მისი ვილა, ვერტმფრენიდან გადაღებული კარ-მიდამო და ვისოცკების პირველი ატელიე ბონში. დღეს იგი ემსახურება იმ კლიენტებს, რომლებიც მამამისის ატელიეში 1956 წლიდან დადიოდნენ. თუმცა, ის, რომ მამამისი მეწაღე იყო, სულაც არ ნიშნავს, რომ ბერნდ ვისოცკის პირდაპირ შეეძლო მეწაღის მაგიდას მისჯდომოდა. მამამისთან შეგირდობის შემდეგ მან 5-თვიანი კურსები გაიარა "მაისტერ შულეში" და მკაცრი გამოცდისთვის სამ დღეში ორი წყვილი ფეხსაცმელიც შეკერა. პროფესიულ საქმიანობას კი 1978 წლიდან შეუდგა. გავიდა დრო და მოგვიანებით, მას შეგირდების აყვანის უფლებაც მიენიჭა. უკვე 7 შეგირდი გამოზარდა, თუმცა მეწაღის ხელობას საბოლოოდ სამიღა შემორჩა.

**"სულ უფრო და უფრო ცოტა სწავლობს ამ ხელობას. ახალგაზრდებს სუფთა სამუშაო და კომპიუტერთან ჯდომა ურჩევნიათ. მალე ამ საქმეს გამგრძელებელი აღარ ეყოლება,"** - შენიშნავს დანანებით ბერნდი, თუმცა თავად კონკურენციის და კლიენტების შემცირების არ ეშინია, - **"სანამ ადამიანები დადიან, კლიენტები ყოველთვის გვეყოლება,"** - ამბობს იგი.

ბერნდი იმასაც დამაჯერებლად აცხადებს, რომ მეწაღეები მეძვირეები არ არიან. მისი აზრით, სწორედ, იაფი ფეხსაცმელები იწვევს სხვადასხვა ალერგიასა და დაავადებას. ამიტომ გვირჩევს ფეხსაცმელების ყიდვას მხოლოდ კარგ მაღაზიაში, რაც, რა თქმა უნდა, იაფი არ იქნება. ხოლო ძვირად ნაყიდ კარგ ფეხსაცმელს, რომელმაც "თავი შეაყვარა" პატრონს, გადასაგდებად ვერ გაიმეტებენ და მის შესაკეთებლად მეწაღეს მიაკითხავენ (ინფორმაციისთვის, ფეხსაცმლის ქუსლებისთვის ძირის გამოცვლა 4-8 ევრო ღირს).

ბერნდ ვისოცკი ხანდახან ახალ ფეხსაცმელსაც კერავს. მართალია, ამ სახის შეკვეთები თანდათან შეუმცირდა, მაგრამ წელიწადში 12-15 წყვილს მაინც კერავს. ერთი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, დაახლოებით, 800 ევრო ჯდება. ფასს განსაზღვრავს დახარჯული სამუშაო საათები. 800 ევრო იმდენად დიდი და დაუჯერებელი თანხა იყო, რომ რამდენჯერმე გავამეორებინეთ. მერე გავიკითხეთ კიდეც. ბევრისთვის მართლაც არარეალური თანხა იყო, მაგრამ სხვა აზრიც გამოითქვა. ერთი ისეთი ადამიანიც შეგვხვდა, რომელმაც საკარნავალო ტანსაცმელში 1200 ევრო გადაიხადა და აქედან 300 ევრო მარტო ჩექმები დაუჯდა.

რა თქმა უნდა, მარტო ფეხსაცმელების იმედად არ არის ბერნდ ვისოცკი. მისი ატელიეს ვიტრინა გამვლელ-გამომვლელს ფეხისა და ფეხსაცმლის მოვლისთვის საჭირო მრავალფეროვან მასალას სთავაზობს. ამის გარდა, იქ კერავენ და აახლებენ ხელჩანთებს, ჩემოდნებს, ქამრებს, ტყავის სხვადასხვა ნივთებს, ჩარხავენ გასაღებებს. ერთ-ერთი ძირითადი საქმე კი, უნაგირების დამზადება და შეკეთებაა. ასე რომ, ბერნდ ვისოცკის თავისი გატაცება - ცხენების სიყვარული და ჯირითი ძალიანაც უწყობს ხელს ახალი კლიენტების მოპოვებაში.

2003 წლის მონაცემებით გერმანიაში ფეხსაცმლის 4002ატელიეა, სადაც მეწაღეები მუშაობენ. შარშან მეწაღის ხელობას 140 შეგირდი დაეუფლა.

# სიყვარულის სამი ეროვნება

### ინგლისელი, ფრანგი, ჩინელი

ერთხელ მოპოვებული წარმატების შემდეგ "ვერა დრეიკს" გზა გაეხსნა - ვენეციის კინოფესტივალზე "ოქროს ლომის" აღებიდან მალევე მაიკ ლის ახალი ფილმი ლონდონის კინოკვირეულს ხსნის.

ფესტივალი 20 ოქტომბერს იწყება და მისი ორგანიზატორებისთვის ლის სურათით ათვლის დაწყება დიდი პატივია. ღონისძიების მხატვრული რეჟისორი სანდრა ჰებრონი აცხადებს, რომ გადაწყვეტილება იოლად მიიღეს, "ვერა დრეიკი" გამხსნელ ფილმად ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აირჩიეს. "პირადად მე მთელი წელია, ასეთი კარგი ფილმი არც მინახავს", - დასძენს ის.

თავის მხრივ, საქებარ სიტყვებს არც რეჟისორი იშურებს. "დიდი პრივილეგია", "არატრადიციული არჩევანი ორგანიზატორების მხრიდან" - "ფესტივალი ხომ, როგორც წესი, ჰოლივუდური ნაწარმით იხსნებოდა ხოლმე", "დიდი სტიმული" - ასეთია მისი განსაზღვრებები.

მოკლედ, მაიკ ლი კმაყოფილია. თუმცა, იმის გარდა, რომ ევროპამ მისი 50-იანი წლების აბორტმახერი პერსონაჟი ინტერესით მიიღო, ლის კიდევ ერთი დეტალი ახარებს - ლონდონი ხომ მას უამრავი ახალი ფილმის ნახვის შანსს აძლევს. "ვაპირებ, ამ დღეების განმავლობაში საერთოდ არაფერი არ ვაკეთო, ვიჯდე დარბაზში და წარმოდგენილი 180 ფილმიდან შეძლებისდაგვარად ბევრი ვნახო. ეს ხომ ერთადერთი შანსია ლონდონელებისთვის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილ სურათებს გაეცნონ", - აცხადებს ყველაზე დიდი კინოფილი.



სიყვარული ფრანგულად. ფრანსუა ოზონი ახალი ფილმით "5-ჯერ 2" ვენეციიდან ლონდონში ჩავიდა.

ლონდონურ კინოთეატრებში კომფორტულად მოკალათება და ფილმების ყურება ბევრს მოუნდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ფესტივალის ნუსხას გადახედავს: ჯონათან დემი თავისი ახალი ფილმით; "ტრეინსპოტინგის" რეჟისორის დენი ბოილის მორიგი ქმნილება; ფრანსუა ოზონის ყველაზე ოჯახური და რომანტიკული სიყვარულის ისტორია "5-ჯერ 2"; იან მაქევანის რომანის მიხედვით გადაღებული "მარადიული სიყვარული" (რეჟისორი როჯერ მიშელი) და კიდევ ერთი სიყვარული, ამჯერად ჩინელი რეჟისორის ვონგ კარ-ვაისგან - "2046". ასევე ნაჩვენები იქნება ფრენკ კაპრას ორი ფილმის "ბატონი სმიტი მიდის ვაშინგტონში" და "წყლის ხაზზე" აღდგენილი ვერსიები და სხვადასხვა განყოფილებებში გაფანტული ახალი ნამუშევრები მთელი ევროპიდან.

რაც შეეხება ვარსკვლავებს, ლონდონი არც მათ დაიკლებს. რიზ უითერსპუნი "ამაოების ბაზარსა" და თავის სამომავლო პროექტებზე ისაუბრებს, კევინ ბეკონი კი თავის პედოფილ პერსონაჟზე დრამიდან "მეტყევე".

ერთი კვირის თავზე კი ფესტივალი კომედიით დაიხურება I Heart Huckabees, რომელშიც ევროპულ-ამერიკული კინოს მთელი თანავარსკვლავედი თამაშობს დასტინ ჰოფმანის, ჯუდ ლოუს, ნაომი უოტსის, იზაბელ იუპერისა და ლილი ტომლინის მეთაურობით.

ასე რომ, ლონდონი იწყებს არალეგალური აბორტებითა და დიდი შინაგანი დრამით (ვგულისხმობთ მაიკ ლის "ვერა დრეიკს"), აგრძელებს მრავალეთნიკური სიყვარულით (ვონგ კარ-ვაის, ოზონის და როჯერ მიშელის ფილმები) და ასრულებს ზემოთ ნახსენები ამერიკული ეგზისტენციალური კომედიით, რომელიც, კრიტიკოსების თქმით, მართლაც სახალისო ფილმი უნდა იყოს.

**ლორენ ბაკალი კვლავაც კინოშია. გუშინ ის 80 წლის გახდა.**

# ცივი მომხიბვლელობის სიმბოლო

ლორენ ბაკალის საუკეთესო წლები ჰოლივუდის გარდასულ ხანას უკავშირდება, მაგრამ მსახიობი ახალგაზრდული ასაკით შეპყრობილ კინო-ინდუსტრიას თავს მაინც არ აჩაგვრინებს. ის დღესაც კინოშია. ბოლო ორ ფილმში მან ნიკოლ კიდმანთან ერთად ითამაშა და ორივემ დიდი ხმაური გამოიწვია, ვგულისხმობთ ლარს ფონ ტრიერის "დოგვილს" და ჯონათან გლეიზერის "დაბადებას", რომელიც ვენეციის წლევანდელ კინოფესტივალზე იყო წარდგენილი. ბაკალის კიდევ ორი ფილმი გზაშია, მათგან ერთ-ერთი, "მანდერლეი" ისევ ლარს ფონ ტრიერს ეკუთვნის.

ლორენ ბაკალი იგივე ჯოან პერსკი ნიუ იორკში 1924 წელს დაიბადა. სანამ მოდელი გახდებოდა, ის ჟურნალისტიკას ეუფლებოდა. შემდეგ "უორნერ ბრაზერსთან" გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ სტუდიის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობები აერია და იქიდან წამოვიდა. თუმცა, ამ დროისთვის, თავისი ხრინწიანი ხმისა და ვნებიანი გარეგნობის წყალობით უკვე ჰქონდა ნათამაშები მთავარი როლები კლასიკურ კინო-სურათებში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მან 1944 წლის ფილმში To Have and Have Not შეასრულა, რომელშიც მას პარტნიორობას ჰამფრი ბოგარტი უწევდა. ამ სურათმა ლორენს წარმატებასთან ერთად უდიდესი სიყვარულიც მოუტანა. ჰამფრი ბოგარტი და ლორენ ბაკალი განუშორებელი წყვილი გახდა. მათ ერთად ოთხ ფილმში ითამაშეს, მათ შორის კლასიკაში - The Big Sleep (1946) და Key Largo (1948). 1957 წელს ბოგარტი სიმსივნით გარდაიცვალა, ბაკალი კი მსახიობ ჯეისონ რობარდსზე დაქორწინდა, მაგრამ მას მალევე გაეყარა.

მოგვიანებით ბაკალი მთლიანად თეატრზე გადაერთო და "ტონის" ჯილდოც მოიპოვა სპექტაკლში "აპლოდისმენტები" შესრულებული როლისთვის. ეკრანს ის 1996 წელს დაუბრუნდა და ფილმში "სარკეს ორი მხარე აქვს" ბარბარა სტრეიზანდის დედის როლისთვის "ოსკარის" ნომინაციაც მოიპოვა.

გრძელი და არტისტული გზის გავლის შემდეგ ლორენ ბაკალი კვლავაც მშვენიერია. ის არ ცნობს კოსმეტიკურ ოპერაციებს და ამტკიცებს, რომ ახალგაზრდობას და ხიბლს მას თავისი საქმისადმი ერთგულება და სიყვარული უნარჩუნებს.



**ფაქტები**

ჟურნალ "იმფაიარის" ჩამონათვალში - "კინოისტორიის ასი ყველაზე სექსუალური ვარსკვლავი" ლორენ ბაკალი მეექვსე ადგილზეა.

ჰამფრი ბოგარტთან ქორწინებიდან მას ჰყავს ორი შვილი ლესლი და სტივენი, რობარდსისგან კი - ვაჟი, სემი.

ლორენ ბაკალი და ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი შიმონ პერესი ბიძაშვილები არიან. ორივეს ნამდვილი გვარი პერსკია.

# ზარმაცი, მაგრამ გენიოსი თვალი

ჰარვარდელმა მეცნიერმა მარგარეტ ლივინგსტონმა ეს პირველად ლუვრის გალერეაში ვიზიტისას, ორი წლის წინ შენიშნა: აშკარა იყო, რომ რემბრანდტს ავტოპორტრეტებში მზერა გაურბოდა.

ლივინგსტონი ჰარვარდში დაბრუნდა და კოლეგასთან ერთად რემბრანდტის სხვა ავტოპორტრეტებსაც გადახედა, მაგრამ შედეგი იგივე იყო - მხატვარს მარცხენა თვალი აშკარად განზე გაურბოდა, რასაც ექიმები ზარმაც თვალს ეძახიან. თავისი დაკვირვებების შედეგი მეცნიერმა სამედიცინო ჟურნალში "ნიუ ინგლენდ ჯორნალ ოფ მედისინში" გამოაქვეყნა, რომელიც გასაყიდად გუშინ გამოვიდა.

ლივინგსტონი მხედველობისა და ხელოვნების შესახებ წიგნის ავტორიც გახლავთ. მისი თქმით, ზარმაცი თვალი ჰქონდათ ისეთ ცნობილ მხატვრებსაც, როგორებიც პაბლო პიკასო, უინსლოუ ჰომერი და ფრენკ სტელა არიან. "ამის თქმა იოლია, რადგან მათი ფოტოები არსებობს, ჰოლანდიელი მხატვრის მხედველობაზე კი რაიმეს ხელაღებით მტკიცება ცოტა რთულია, რადგან შესამოწმებლად მხოლოდ მისი მე-17 საუკუნეში შექმნილი ავტოპორტრეტები გაგვაჩნია", - აცხადებს მეცნიერი.

თუმცა, ლივინგსტონს ოპონენტები უკვე გამოუჩნდნენ. ერთ-ერთი მათგანი დოქტორი კარლოს ესპინელია, რომელიც რემბრანდტის ავტოპორტრეტების ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწავლობდა. მისი განმარტებით, ეს განზე გაქცეული მზერა შეიძლება იმის მიზეზი იყოს, რომ მხატვარი ცალი თვალით სარკეში იხედებოდა, ცალი თვალით კი ტილოს უყურებდა.

# სიმღერით დავძლიოთ სიღარიბე

საერთაშორისო ორგანიზაცია "ოქსფამი" ყოველწლიურად აწყობს ხოლმე გასართობ ღონისძიებებს შოუბიზნესის ვარსკვლავების მონაწილეობით და ამ გზით ცდილობს, მხარი დაუჭიროს მსოფლიო სავაჭრო კანონმდებლობის რეფორმას, რათა შემცირდეს სიღარიბე.

წელს ამ გლობალური იდეალების განსავრცობად ლონდონურ კონცერტზე ფრიად ჭრელი საზოგადოება შეიკრიბა. შედგა ერთი უცნაური დუეტიც - "ქოლდფლეის" ლიდერმა კრის მარტინმა REM-ელ მაიკლ სტაიპთან ერთად იმღერა Man on the Moon. ეს საღამოს მთავარი სიურპრიზი იყო, რაც გამოსვლის შემდეგ სტაიპმა ასე ახსნა: "ოქსფამის" ამ პროექტში "ქოლდფლეის" წყალობით მოვხვდი, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კრის მარტინს. მე ამ ჯგუფის დიდი ფანი ვარ".

კონცერტში, ასევე, მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ვარსკვლავი ჯამელია, ბრიტანელი კომიკოსი რიკი გერვაისი, ჯგუფი "თრილზი" და მომღერლად გადაქცეული მსახიობი მინი დრაივერი. ვისაც ეს ინგლისელი შავგვრემანი მსახიობი გახსოვთ, მოგახსენებთ, რომ მისი სადებიუტო ალბომი ოქტომბერში გამოდის. დრაივერი ამბობს: "გადასარევია, როცა მარტო კი არ ყბედობ, საქმესაც აკეთებ და სიღარიბის დაძლევის საქმეში შენი წვლილი შეგაქვს". "ოქსფამის" კონცერტი შარშანაც ძალიან წარმომადგენლობითი იყო - "ქოლდფლეის" კრის მარტინთან ერთად მაშინ ლონდონის სცენაზე ნოელ გალაჰერიც გამოდიოდა "ოაზისიდან".

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

# დამნაშავენი დამნაშავეთა სამყაროში



დამნაშავის, ისევე როგორც დანაშაულის სხვადასხვაგვარი ფორმა თუ სახე არსებობს. მე დღეს არ დავიწყებ იმ ჭეშმარიტ დანაშაულებსა თუ დამნაშავეებზე საუბარს, რომელიც თუნდაც, ვთქვათ, ათ მცნებაში წერია. ადამიანს ნუ მოკლავ, ნუ მოიპარავ, ნუ იმრუშებ (იბოზებ) და ა.შ. საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა სფეროში, ამ სამყაროშიც "ჩვენი" ქართული, თვითმყოფადი გაგებები გვაქვს ბოროტმოქმედთა თუ დამნაშავეთა რაობაზე. ამ შემთხვევაში, ჩემთვის საინტერესოა საზოგადოების დამოკიდებულება ქურდების, მკვლელების, ყაჩაღების თუ სხვათა მიმართ, და ეს დამოკიდებულებაც ისევე მრავალფეროვანია, როგორც თავად ისინი.

ეს ყველამ იცის, რომ "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტი საბჭოთა წარმონაქმნია და მისი კონკრეტული მშობელი მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი დამნაშავე სტალინი გახლავთ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ისინი ჯერ კიდევ არსებობენ და საკმაოდ სრულყოფილი ცხოვრებითაც ცხოვრობენ. და საყურადღებო სწორედ ის არის, რომ სტალინმა არა მხოლოდ ისინი შექმნა თუ დაბადა, არამედ მათ ავტორიტეტზეც იზრუნა და საკმაოდ დამაჯერებელი პრომოუშენიც გაუკეთა საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში. ჯიბის ქურდების, მანიაკი თუ პათოლოგი მკვლელების, ე.წ. რეციდივისტების და სხვათა მიმართ საზოგადოება, რომელიც პატიოსნებასა თუ "ინტელიგენტობაზე" აცხადებს პრეტენზიას, ერთნაირად შეუწყალებელია, მაგრამ შემწყნარებელი და ლოიალურია დამნაშავეთა რამდენიმე კატეგორიის მიმართ. კერძოდ, ამ ჯგუფის ერთ-ერთ ფრთას კანონიერი ქურდები წარმოადგენდნენ. ჩემდა სამწუხაროდ (საბედნიეროდ არა ჩემს ოჯახში, მაგრამ ოდნავ გარეთ), ხშირად მსმენია ლეგენდებად ქცეული, აღტაცებული ტონით მონათხრობი "საქმენი საგმირონია" კანონიერი ქურდების შესახებ. მათი დახასიათება: ასეთი ოჯახიდან იყო, ასეთი მეუღლე ჰყავდა, ასეთი და ისეთი გარეგნობის იყო და ა.შ. ისტორიები ძირითადად სენტიმენტნარევი გმირობების შესახებ. მაგალითად, როგორ ამოხოცა მთელი ოჯახი და კარიდან გამოსულს შეეფეთა მეზობლის ობოლი ბავშვი და მასზე მეურვეობა იკისრა. ან კიდევ, ერთი ხელის მოსმით დაკლა რამდენიმე ადამიანი და შემდეგ სახლისკენ მიმავალ გზაზე ორ პატარა ბიჭს, რომლებიც კინკლაობდნენ, არ დაიზარა, დაუჯდა, ჰუმანური პრინციპების თეზისები სულ პუნქტპუნქტ ჩამოუყალიბა და პატარა, სიმპათიური ბიჭუნები შეარიგა. მოკლედ, ამგვარი და კიდევ უფრო საინტერესო ისტორიები მრავლადაა. იმის ფაქტებიც არსებობს, გამოჩენილი პირები და ძირითადად ხელოვნების სამყაროს წარმომადგენლები, როგორ მფარველობდნენ ამ დამნაშავეებს, როგორ ზრუნავდნენ მათ ჰარმონიულ არსებობაზე და როგორ არიდებდნენ ისეთ განსაცდელს, როგორიც ციხე იყო.

ასევე საინტერესოა ის, რომ დღემდე ეს ე.წ. კანონიერი ქურდები ძირითადად მორწმუნეები არიან და ეკლესია მათ სხვადასხვაგვარად მფარველობს. დამოკიდებულება თუ ურთიერთსიმპათიები ორმხრივია, "გაიტანს" რამდენიმე ბინას, გზად ვინმე შემოაკვდება, შემდეგ ეკლესიაში მივა, მღვდელს აღსარებას ეტყვის, მონაგარიდან ნაწილს ეკლესიას შესწირავს და, პრაქტიკულად, ცოდვები მოხსნილია. ნანობს ადამიანი და აბა, ხომ უნდა შევიწყალოთ. მაგრამ, ეკლესიისა და ქურდული სამყაროს ეს დამოკიდებულება უფრო ლოგიკურია (არა მართებული, მაგრამ ლოგიკური). აქ გაცვლა-გამოცვლის პრინციპებია - ქურდები შეწყალებას ყიდულობენ. უფრო გაუგებარი (ჩემთვის) საზოგადოების დამოკიდებულებაა. ფარული თუ აშკარა ლტოლვა, მოწიწება, აღფრთოვანება და პატივისცემა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთა მიმართ, რომელთა სახე რამდენიმე ადამიანმა შეცვალა. ყველაზე ახლო წარსულში, ჩემს მეხსიერებაში აწ გარდაცვლილი ჯაბა იოსელიანის სახე იკვეთება, "პროფესორი ქურდი", რომელმაც ცხოვრების რაღაც ეტაპზე უარი თქვა საკუთარ ქურდულ სტატუსზე და დამსახურებული პროფესორი მეომარი გახდა. არ მინდა, საუბარი გარდაცვლილ ადამიანზე გავაგრძელო, მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ ჯაბა იოსელიანის ავტორიტეტი საშიში იყო და სამწუხაროდ, დღემდე უფრო საშიშია, ვიდრე თავად ჯაბა იოსელიანი გახლდათ. დაინერგა ახალი სახე დამნაშავეებისა - ინტელექტუალი კრიმინალები, რომელნიც ორი ცხოვრებით ცხოვრობენ, შესაბამისად - ინტელექტუალური და კრიმინალური. ასეთები დღეს მრავლადაა და საზოგადოების დამოკიდებულებაც ისევ მსგავსია. და უფრო აშკარა, ვიდრე ფარული: აღტაცება, ლტოლვა, პატივისცემა და მოწიწება. ისინი დღეს უფრო პატივცემულნი არიან, ვიდრე ადრე იყვნენ, მათ დღეს ოფიციალური სტატუსი აქვთ. შესაძლებელია დღეს მათ მხოლოდ სახელი შეიცვალეს და კანონიერი ქურდების მაგივრად, კანონიერ დამნაშავეებად იქცნენ. წარსულში კრიმინალური სამყაროს აქტიური წარმომადგენლები, დღეს ინტელექტუალები, პარალელურად ოფიციალური და არაოფიციალური ბიზნესის მფლობელები, საზოგადოების სრულყოფილი წევრები არიან.

ამ შემთხვევაში ეკლესიას და საზოგადოებას სრულიად ერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს ამ ადამიანთა მიმართ - ორივე ერთნაირად შემწყნარებელია, შემწყნარებელია ორივე ერთნაირი ანგარებით, ეკლესიაც და საზოგადოებაც გარკვეულ გარანტიებს იღებს ამ ადამიანებისაგან, ყველა თავისებურს, მაგრამ გაცვლა-გამოცვლის პრინციპი თუ თამაშის წესები ყველგან მუშაობს. ალბათ, ისევე როგორც ჩემს ბავშვობაში, დღესაც ჰყვებიან, ამაღლებული ტონით ისტორიებს მათი წარსულის, აწმყოს და "სამომავლო გეგმების" შესახებ. და მათ მაგალითზე, ალბათ, დღესაც იზრდებიან ბავშვები, რაც მათი, ანუ დამნაშავეების მომავალი არსებობის სრული გარანტიაა. საზოგადოება ქმნის დამნაშავეებს და შემდეგ მათ სრულფასოვან არსებობაზე ზრუნავს. ყველა ჩვენთაგანში, იმედი მაქვს, გამონაკლისებით, პატარა ან დიდი სტალინი ცოცხლობს, რომელიც საკუთარი მიზნებისათვის კანონიერ, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენთვის მისაღებ კრიმინალებს თუ დამნაშავეებს ქმნის.

დღეს მათ სახე და სახელი იცვალეს. დღევანდელი ხელისუფლება გარკვეულწილად ულმობელია შევარდნაძის კრიმინალების მიმართ, მაგრამ სამწუხაროა, რომ საკუთარ "კრიშებს" იქმნის. გუშინდელი დამნაშავეები, დღეს წარმატებული ბიზნესმენები თუ უბრალოდ საზოგადოების სრულყოფილი წევრები არიან. ეს ტენდენცია ისევ მომწიფდა და საზოგადოება ისევ ჩუმად არის. ხელისუფლება კი გუშინ დაპატიმრებულის, დღეს მედიის სხვადასხვა საშულებით, წარმატებული საქმეების შესახებ მოგვითხრობს. ეს კი, პირდაპირ ძველის, კომუნისტური, თუ შემდეგ, შევარდნაძის ეპოქის "პოსტკომუნისტური" ტენდენციების გაგრძელებაა, რაც ისევ იგივეს გულისხმობს: საზოგადოება ახალ, კანონიერ, მიღებულ დამნაშავეებს, კრიმინალებს ქმნის. დამნაშავეებს ისევ ჩვენ ვბადებთ და ამიტომ ორივე მხარე - საზოგადოება და კრიმინალები ერთნაირი დამნაშავეები არიან, რის შედეგადაც ჯერ კიდევ იარსებებენ დამნაშავეები დამნაშავეთა სამყაროში.

ფეხბურთი

## რა ელის "რომას"



საფეხბურთო კლუბმა "რომამ" ოფიციალური ბოდიში მოუხადა შვედ მსაჯს ანდერს ფრისკს. მოგეხსენებათ, გუშინწინ იტალიური "რომა" და კიევის "დინამო" ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. პირველი ტაიმის შემდეგ, როდესაც ფრისკი გასახდელისკენ მიდიოდა, მას ტრიბუნებიდან ნასროლი მონეტა მოხვდა თავში. მსაჯს თავი გაუტყდა და მატჩი გადაიდო. პირველი ტაიმის შემდეგ კიეველები 1:0-ს იგებდნენ. "მინდა, ოფიციალურად ბოდიში მოვუხადო ბატონ ფრისკს. ეს მინიმუმია იმისი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია", -განაცხადა "რომას" სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ. ქალაქ რომის პოლიციამ ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ის ირწმუნება, რომ დამნაშავეს აუცილებლად გამოავლენს. ამასთან, უეფა-მ განაცხადა, რომ სამშაბათს, 21 სექტემბერს, ევროპული ფეხბურთის კავშირის საკონტროლო-დისციპლინარული კომისიის სხდომაზე დაისმება საკითხი: როგორ მოვექცეთ "რომას". "ჩვენ ანდერს ფრისკს გავუწიეთ პირველადი დახმარება, ღამის ორის ნახევარზე კი მივიყვანეთ სასტუმროში. მატჩზე ოთხასი პოლიციელი იყო მობილიზებული. კიდევ ოთხასი, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული დამხმარე პერსონალი, მთელი ტაიმის განმავლობაში სტადიონზე მოძრაობდა, მაგრამ ყველაფერი ერთი არამზადას გამო გაფუჭდა. ჩვენ აუცილებლად დავეხმარებით პოლიციას დამნაშავის დაჭერაში", - დაუმატა ფრანკო ბალდინიმ.

## სამი კვირა ზიდანის გარეშე

მადრიდის "რეალის" ფრანგი ვარსკვლავი ზინედინ ზიდანი მომავალი სამი კვირის განმავლობაში ვერც ესპანეთის ჩემპიონატში და ვერც ჩემპიონთა ლიგაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. საქმე ის არის, რომ გუშინწინდელი მატჩის დროს, როდესაც "რეალი" ლევერკუზენის "ბაიერს" სტუმრობდა, ზიდანმა მხრის ტრავმა მიიღო. იგი დაშავდა როკე ჟუნიორთან საჰაერო ბრძოლის დროს. მიწაზე დაცემისთანავე მასთან მიირბინეს მადრიდული კლუბის ექიმებმა და ფეხბურთელს თამაშის შეწყვეტა უბრძანეს, მაგრამ ზიდანმა ექიმებს არ დაუჯერა, ძალა მოიკრიბა და პირველი ტაიმის ბოლომდე ითამაშა. შესვენების შემდეგ ის მოედანზე აღარ გამოჩენილა - ტკივილის გამო ველარ შეძლო მატჩის გაგრძელება. ექიმებმა თქვეს, რომ ზიდანს მხარი აქვს ამოვარდნილი. მადრიდის "რეალის" მთავარმა ექიმმა ალფონსო დელ კორალმა აღნიშნა, რომ მკურნალობა, სულ ცოტა, სამ კვირას გასტანს. ასე რომ, ფრანგი დირიჟორი ვერ დაეხმარება თავის გუნდს 28 სექტემბრის მატჩში "რომას" წინააღმდეგ.

## გადაწყვეტილი ჯერ არაფერია

### "დინამო" UEFA-ს თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებსა

აკა ტონია
მიხეილ აბაიშვილი

კრაკოვის "ვისლას" წინააღმდეგ მატჩში "დინამო" თანაქალაქელი "ვიტ ჯორჯიას" ბედს რომ არ გაიზიარებდა და გამანადგურებელი ანგარიშით არ დამარცხდებოდა, ადვილად პროგნოზირებადი იყო, თუმცა, იმას, რაც გუშინდელი მატჩის პირველ ტაიმში ხდებოდა, ალბათ, ყველაზე ოპტიმისტი ქართველიც კი ვერ წარმოიდგენდა. შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო და ასეც გაგრძელდა. დინამოელები ერთმანეთის მიყოლებით ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს "ვისლას" კართან. პოლონელები მეტისმეტად პასიურობდნენ და ზოიძის კართან მიახლოებას ვერაფრით ახერხებდნენ. ასეთი სურათის შემყურეებს, კი გვსიამოვნებდა, მაგრამ გულისფანცქალით ველოდით, რომ სულ მალე "ვისლა" იერიშზე გადავიდოდა. ნურას უკაცრავად! "დინამოს" უპირატესობა მატჩის მე-17 წუთზე გოლად იქცა. "ვისლას" მცველების მიერ მოგერიებული ბურთი მათ საჯარიმოს სიახლოვეს მყოფ კანკავას მიუვიდა და მანაც უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ბურთი მაიდანის კარში. პოლონელი მეკარე უძლური იყო.

"ვისლა" ვერც გაშვებულმა გოლმა გამოაფხიზლა. "დინამო" შეტევებს განაგრძობდა და გატანილ გოლს 25-ე წუთზე კიდევ ერთი დაუმატა. თბილისელთა მარჯვენა ნახევარმცველი კახა ალადაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიჭრა და ლამაზადაც შეუგდო.

ეს უკვე ხუმრობას აღარ ჰგავდა, არც იმას, რომ "ვისლას" პასიურობა მოწინააღმდეგის რაღაც ჩანაფიქრი იყო. თურმე, "დინამო", მართლაც, სჯობდა მრისხანე "ვისლას"! თურმე, ამათი მოგებაც შეიძლება!

კრაკოველთა დამრიგებელს ჰენრიკ კასპერჩაკს სულაც აღარ ჰქონდა ის კმაყოფილი სახე, რომლითაც თბილისში, "ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ 8:2 გამარჯვების შემდეგ დაგვამახსოვრდა. კასპერჩაკი შოკში იყო, ისევე როგორც "ვისლას" სტადიონზე შეკრებილი თითოეული კრაკოველი.

პირველი ტაიმი ისე დასრულდა, რომ "დინამო" 2:0-ს იგებდა. ჩვენც უკვე ოცნებას მივეცით, გვეგონა, UEFA-ს თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლამდე ერთი ნაბიჯიღა დაგვრჩა.

მაგრამ მეორე ტაიმი სულ სხვა სცენარით წარიმართა. შესვენების შემდეგ ჩვენ უკვე ვიცანით ის "ვისლა", რომელმაც საბრალო "ვიტ ჯორჯიას" ღირსება შეურცხვინა. "დინამოს" კარის მიმართულებით დაიწყო თავბრუდამხვევი შტურმი, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. "ვისლა" გამუდმებით უტევდა და ამაში მას დინამოელებიც უწყობდნენ ხელს. ყოველ მოგერიებულ შეტევას უზუსტო პასი და კრაკოველთა მორიგი შეტევა მოსდევდა. შედეგად, 15-წუთიან მონაკვეთში "დინამომ" ოთხი გოლი გაუშვა და "ვისლა" ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდა. ეო, მართლა, თბილისელთა მეკარემ, ზოიძეს, პირველ ტაიმში კუნთი დაეჭიმა და შესვენების შემდეგ მოედანზე ველარ გამოვიდა. ოთხივე გოლი მისმა შემცვლელმა მამალაძემ გაუშვა, თუმცა, ამას მთლად მეკარეს ნუ დავაბრალებთ. "დინამოს" ზუსტად ის დაემართა, რაც პრაღაში, "სლავიასთან" მატჩში. პირველი ტაიმის შემდეგ იქაც ვიგებდით, მაგრამ შესვენების შემდეგ სამი გოლი მივიღეთ საკუთარ კარში.

საბედნიეროდ, ოთხი ბურთის გაშვების შემდეგ "დინამომ" შეძლო თამაშის გამოსწორება და "ვისლას" კართან სახიფათო მომენტებიც შექმნა. გოლის გატანის შანსი მეორე ტაიმის მიწურულსაც გვქონდა. შევძელით კიდეც, მეტოქის დახმარებით. კვირკველიას მიერ დარტყმული საჯარიმო "ვისლას" მცველმა აისხლიტა და საკუთარ კარში შეაგდო - 3:4.

გუშინდელი მატჩის პირველ ტაიმს რომ გაიხსენებ, გული დაგწყდება კაცს - 2:0-ს ვიგებდით და მაინც წავაგეთ. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ორიოდე დღის წინათ ერთი ბურთის სხვაობით დამარცხებას მომავალი მატჩისთვის დადებით შედეგად ჩავთვლიდით. ჰოდა, წავაგეთ ერთი ბურთით, მეტოქის მოედანზე სამი გოლი გვაქვს გატანილი და 30 სექტემბერს, განმეორებით საშინაო მატჩში, ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება გვყოფნის: 1:0, 2:1 და თუგინდ 3:2... ასეა თუ ისე, UEFA-ს თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლის იმედი "დინამოს" ნამდვილად არ დაუკარგავს.

UEFA-ს თასის პირველი ეტაპი. პირველი მატჩი

### ვისლა (კრაკოვი) - დინამო (თბილისი) 4:3

**ვისლა:** *მაიდანი, შიმკოვიაკი, ბაჟინსკი, მიხაილოვიჩი, გლოვაცკი, გორავსკი (სტოლარჩიკი 79`), ჟურავსკი, კუკიელკა (კანტორო 46`), ჟინჩუკი (კუჟბა 46`), ფრანკოვსკი, კლოსი;*
**დინამო:** *ზოიძე (მამალაძე 46`), ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, სალუქვაძე, შაშიაშვილი, ალადაშვილი (კაკალაძე 69`), ნემსაძე, კვირკველია, მელქაძე (გრიგალაშვილი 58`), გონჩაროვი, კანკავა.*
**გოლები:** *0:1 კანკავა (17`), 0:2 ალადაშვილი (25`), 1:2 გრაბოვსკი (59`), 2:2 ჟურავსკი (61`), 3:2 ფრანკოვსკი (63`), 4:3 ფრანკოვსკი (75`), 4:3 კვირკველია (82`).*
**მსაჯი:** *დარკო ჩეფერინი (სლოვენია).*
**გაფრთხილება:** *მაიდანი, ჭიჭვეიშვილი, გონჩაროვი, მამალაძე.*



*"ვისლას" კარში პირველი გოლი კახა კანკავამ გაიტანა.*

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე:

**გია გეგუჩაძე ("დინამოს" მწვრთნელი):** *მოწინააღმდეგეს გამარჯვებას ვულოცავ. დარწმუნებული ვარ, განმეორებითი მატჩი დაძაბული და საინტერესო იქნება. დღევანდელი წაგების მიზეზი გუნდის გამოუცდელობა იყო. განსაკუთრებით "დინამოს" ლიდერების მიმართ მაქვს პრეტენზიები. მათ მთელი დანარჩენი გუნდი უნდა აეყოლიებინათ, რომ ასეთი უპირატესობა ხელიდან არ გაეშვათ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი თბილისში გადაწყდება.*

***- დღევანდელი მატჩი იმავე სცენარით წარიმართა, რა სცენარითაც პრაღის "სლავიასთან" გასვლითი შეხვედრა - "დინამომ" მეორე ტაიმის დასაწყისში სამი გოლი გაუშვა...***

*- მართალი ბრძანდებით, პრაღაშიც მსგავსი რამ დაგვემართა. როდესაც რაიმე მეორდება, ეს შემთხვევითობა კი არა, კანონზომიერებაა. როგორც ჩანს, დროის ამ მონაკვეთში ჩვენი ფეხბურთელები კონცენტრაციას კარგავენ. შესაძლოა, ეს ფსიქოლოგიური ფაქტორით იყოს გამოწვეული. ამის ახსნა დღეს გამიჭირდება, თუმცა, ამ საკითხზე ვიფიქრებთ და ვიმუშავებთ, რომ მსგავსი რამ აღარ გამეორდეს.*

**ჰენრიკ კასპერჩაკი ("ვისლას" მწვრთნელი):** *მატჩის წინა დღეებში ჩვენი პრესა ბევრს წერდა იმის შესახებ, რომ "ვიტ ჯორჯიასა" და "დინამოს" შორის დიდი განსხვავებაა, რომ "დინამო" ბევრად უფრო მაღალი კლასის გუნდია. დღევანდელმა შეხვედრამ ეს მოსაზრება მთლიანად დაადასტურა. პირველ ტაიმში დინამოელებმა ყველა ასპექტში პირწმინდად დაჯაბნეს ჩემი გუნდი. მდგომარეობის გამოსასწორებლად ბევრი დრო არ გვქონდა, ამიტომ მეორე ტაიმის დასაწყისშივე შევცვალე ფეხბურთელები. ჩემი გუნდი კარგად და აგრესიულად ათამაშდა. ცოტაც გაგვიმართლა და მოვიგეთ. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, შედეგით კმაყოფილი ვარ. მართალია, ეს ანგარიში არაფრის გარანტიას არ გვაძლევს, მაგრამ თბილისში მაინც გამარჯვებულები გავემგზავრებით. აქედან გამომდინარე, წყვილის ფავორიტებიც ვართ. თუ ვინ გავა შემდეგ ეტაპზე, სწორედ მომავალ მატჩში გაირკვევა.*

TV-სპორტი

### პარასკევი. 17 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - სთრითბოლი - Entertainers Basketball Classic
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1994. "NEW JERSEY NETS" - "NEW YORK KNICKS". მე-3 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 უეფას თასი. პირველი წრე. "მეტალურგი" - "ლაციო". პირველი მატჩი
14:15 ჩემპიონთა ლიგა. "ლივერპული" - "მონაკო"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
16:55 ჩემპიონთა ლიგა. მატჩების მიმოხილვა
18:55 "ფიფას ასწლეული". პირველი ნაწილი
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 "FUTBOL MUNDIAL"
20:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:45 ჩემპიონთა ლიგა. პსჟ - "ჩელსი"
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:45 01:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "CONNECTICUT SUN" - "NEW YORK LIBERTY". პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:05, 16:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:10, 21:10 "ოლიმპის შვილები"
10:15, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:35 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
11:05 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი ჩილეში
13:35 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
14:05 ტაილანდური კრივი
15:00 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. რუსეთის ჩემპიონატი. მესამე ნაწილი
16:10 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები
19:15 როდეო. "Bull Riders"
20:00 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:30 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. ფინალი
00:15 ახალი ამბები
00:25 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:55 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
08:15 მოტორბოლები. იაპონიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
09:00 მოტორბოლები. იაპონიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
10:15 მოტორბოლები. იაპონიის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
11:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი დიდ ბრიტანეთში
11:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
13:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
14:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
11:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:15 ველოსპორტი. ესპანეთის ტური
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 მულტისპორტი
20:00 ფეხბურთი. საუკეთესო 24 კლუბი
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
21:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
22:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
23:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი. შეჯიბრება უნგრეთში
00:30 ფეხბურთი. საუკეთესო 24 კლუბი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი დიდ ბრიტანეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
03:15 ახალი ამბები

## ბიელსა დანებდა

### არგენტინის ნაკრები უმწვრთნელოდაა

*არგენტინის ნაკრები მოულოდნელად მწვრთნელის გარეშე დარჩა. მარსელო ბიელსამ, რომელიც "სელესტას" ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, გადადგომა გადაწყვიტა. 10 ოქტომბერს არგენტინელებს მომავალი საერთაშორისო მატჩი ელით, ახალი მწვრთნელი სასწრაფოდ უნდა დაინიშნოს.*



*ბიელსა თანამდებობიდან გადადგა.*

"მე აღარ მაქვს ის ენერგია და აღმაფრენა, რომელსაც ეს სამუშაო საჭიროებს", - განაცხადა მარსელო ბიელსამ ბუენოს აირესში გამართულ პრესკონფერენციაზე. არგენტინელი გულშემატკივრები და მედია მათი ნაკრების აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის უეცარი გადაწყვეტილებით მეტად გაკვირვებული დარჩნენ. "ბიელსა ისეთივე ამოუცნობია, როგორიც ყოველთვის იყო", - წერს გაზეთი Clarin.

სხვა მწვრთნელებისგან განსხვავებით, ბიელსა დაკავებული თანამდებობიდან არ გადადგა მაშინ, როდესაც მისი ასეთი ნაბიჯი არავის გააკვირვებდა. არგენტინის ნაკრებმა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე მერვედფინალშიც კი ვერ გააღწია. მიუხედავად ამისა, ბიელსას არც კი უფიქრია გადადგომა. სულ ცოტა ხნის წინათ კი მისმა გუნდმა ოქროს მედლები მოიპოვა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე და ბიელსამაც სწორედ ახლა გადაწყვიტა, ნაკრების მწვრთნელის პოსტი დაეტოვებინა. არადა, არგენტინელთათვის ავადსახსენებელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როდესაც ბიელსას გადადგომას მთელი არგენტინა მოითხოვდა, მწვრთნელი სრულიად ახალი გუნდის შენებას შეუდგა. ბიელსამ მოახერხა ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება, სადაც ახალგაზრდა კარლოს ტევესი, მაურო როზალესი, ხავიერ მასკერანო და ანდრეს დე ალესანდრო ჰარმონიულად შეერწყნენ ვეტერანი ხავიერ ძანეტის და კრისტიან გონსალესის თაობას. "ბიელსა თავისი კარიერის მწვერვალზე იყო", - მიიჩნევს არგენტინული პრესა.

El Loco-დ *(ჭკუიდან შეშლილი)* წოდებული ბიელსას გადადგომა არამც და არამც არ არის არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონასთან განხეთქილების ბრალი. ყოველ შემთხვევაში, თავად ბიელსა ამტკიცებს, რომ გრონდონასთან არავითარი უსიამოვნება არ ჰქონია: "მხარდაჭერა არასოდეს მაკლდა". თუმცა, მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებაში არგენტინელმა გულშემატკივარმა ნამდვილად შეასრულა თავისი როლი. ყველამ კარგად იცის, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პერიოდში, როდესაც ქომაგები თვეების განმავლობაში განუწყვეტლივ უსტვენდნენ ბიელსას, მეტისმეტად მძიმე გადასატანი იყო მწვრთნელისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ ბიელსამ ადრე დაშვებული შეცდომები ნაწილობრივ გამოასწორა. თავის პოსტს ის მაშინ ტოვებს, როდესაც არგენტინის ნაკრებს პრაქტიკულად უკვე განაღდებული აქვს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საგზური. ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ჯგუფში არგენტინა ცხრილის მეორე საფეხურზეა და ლიდერს, ბრაზილიას, მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. მოგეხსენებათ, პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდი ავტომატურად ხდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილე. საკვალიფიკაციო ჯგუფში არგენტინელთა შემდეგი მატჩი 10 ოქტომბერს გაიმართება, როდესაც "სელესტა" ურუგვაის ნაკრებს უმასპინძლებს.

პროფესიონალი ფეხბურთელის საკმაოდ უფერული კარიერის დასრულების შემდეგ, ბიელსამ ადრეულ, 33 წლის ასაკში მიჰყო ხელი მწვრთნელობას. "ნიუელს ოლდ ბოისის" და "ველეს სრსფილდის" მწვრთნელის პოსტებზე მუშაობისას მან ორჯერ მოიპოვა არგენტინის ჩემპიონის ტიტული. სხვადასხვა წლებში მექსიკაში და ესპანეთშიც მუშაობდა.

1998 წელს ბიელსამ, რომლის ძმაც, სხვათა შორის, არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრია, დანიელ პასარელა შეცვალა ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე. ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოღვაწეობისას სპორტულ წარმატებებზე უფრო მან თავისი, ყველა სხვა მწვრთნელისგან განსხვავებული მანერებით დაგვამახსოვრა თავი. მატჩების დროს ის უმეტესად ჩამუხლული ადევნებდა თვალს თავისი შეგირდების თამაშს. მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციებზე კი განუმეორებელი ფილოსოფიური ფრაზებით აოცებდა ჟურნალისტებს. ნაკრების მწვრთნელის ამპლუაში მისი უკანასკნელი პრესკონფერენცია კი არატრადიციულად ხანმოკლე და ლაკონიური იყო. "2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი დამარცხება ჩემი ყველაზე მწარე მოგონებაა. მაგრამ ერთი რამ ყველამ უნდა იცოდეს: მე მუდამ ვცდილობდი არგენტინელი გულშემატკივრის გახარებას", - განაცხადა ბიელსამ. ამჟამად 49 წლის მწვრთნელმა არგენტინის ნაკრებს 71 მატჩში უხელმძღვანელა, აქედან 45 მოიგო, 16 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 10 შეხვედრაში დამარცხდა.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას ისღა დარჩენია, ბიელსას შემცვლელი მოძებნოს. კანდიდატები უკვე დასახელდა: არგენტინის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი კარლოს ბიანკი და ევროპაში კარგად ცნობილი ექტორ კუპერი. ფედერაციის პრეზიდენტი გრონდონა ამბობს, რომ მისი ფავორიტი ბიანკია.

ჭიდაობა

# როგორ შეიძლებოდა ვერცხლის ოქროდ გადადნობა

## რამაზ ნოზაძე: "ფინალი ხუთი ქულით უნდა მომეგო"

ზვიად გიორგაძე

ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაზე უმედლოდ დარჩენა ქართველი მოჭიდავისთვის წარუმატებლობაა. მაგრამ თვით ოლიმპიური ბრინჯაო და ვერცხლიც - მიუხედავად იმისა, რომ კვარცხლბეკზე შედგომის უფლებას იძლევა, ვერ ჩაითვლება დიდ გამარჯვებად - ამ მედლებიდან ოლიმპიურ ოქრომდე საკმაოდ შორსაა. ამიტომაც არის განსაკუთრებით გულდასაწყვეტი ფინალურ ორთაბრძოლაში დამარცხება...

ათენის ოლიმპიადის შემდეგ რამაზ ნოზაძის ფინალში მარცხის თაობაზე სპეციალისტთა და ჭიდაობის მოყვარულთა (საქართველოში ხომ ესენიც ლამის სპეციალისტები არიან) აზრი ორად გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ეგვიპტელთან რამაზს არანაირი შანსი არ ჰქონდა და შედეგიც, ცხადია, ნორმალური იყო; სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდნენ სხვები. ალბათ, ყველაზე საინტერესო თვითონ სპორტსმენის მოსაზრებაა...



*რამაზ ნოზაძე: "ფინალში დამარცხება განსაკუთრებით გულდასაწყვეტია".*

**- უწინარეს ყოვლისა, ოლიმპიურ ვერცხლს გილოცავ. რა იყო შენი მთავარი კოზირი ამ ოლიმპიადაზე, რის ხარჯზე აპირებდი ოქროს მედლის მოპოვებას?**

- ყველა ორთაბრძოლის წინ მწვრთნელები განსხვავებულ სტრატეგიასა და ტაქტიკას მირჩევდნენ. ყველაზე უფრო მაინც ჩოქბჯენში ბრძოლა იყო ჩემთვის მომგებიანი. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნდათ და, სხვათა შორის, მეც ასე ვფიქრობდი.

**- ფინალამდე ამ შენს კოზირს შესანიშნავად იყენებდი, მაგრამ ფინალში ტაქტიკა შეცვალე თუ, უბრალოდ, ამ კონკრეტულ მოჭიდავესთან არ აგეწყო საქმე?**

- რა თქმა უნდა, მწვრთნელებმა ჭიდაობის წინ ყველაფერი დამილაგეს. ძირითადად, ხელებზე უნდა მეჭიდავა. ასეც დავიწყე თავიდან, მერე ჩოქბჯენშიც გადავიყვანე და ქულაც დავიმსახურე. აი, ასე რომ გამეგრძელებინა, - სხვათა შორის, კარგად მესმოდა, როგორ მეძახდნენ მწვრთნელები, უბრალოდ დაატრიალე, არ აქაჩოო, - რომ დამეჯერებინა, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. ავჩქარდი. ვიფიქრე, სწრაფად მოვიგებ-მეთქი. სუფთა მოგების მაგივრად დავიხურე და იქით დავკარგე სამი ქულა. მაღალი იყო ოხერი და ძალიან ელასტიურიც...

**- ახლა ამ მოსაზრებების სხვადასხვაობასთან დაკავშირებით. შენსა და შენი მეტოქის შანსებს ვგულისხმობ. თვითონ, შენ თვითონ რას იტყვი?**

- ალბათ, თქვენ თვითონაც დაინახეთ, რომ კარგად დავიწყე. ეგრე რომ გამეგრძელებინა, მოვიგებდი და, თანაც, სულ ცოტა, ხუთი ქულის სხვაობით. მე მაგასთან ადრეც მოგებული მაქვს. ეგეთი მოჭიდავეა, თავიდან თუ აგიღებს ქულებს, თორემ მერე და მერე სულ გამოეთიშება ხოლმე ჭიდაობას და რაღაც სისულელეებს აკეთებს. აკი გითხარით, აჩქარებამ დამღუპა. ჰაერში აწეული რომ მეჭირა, უბრალოდ, წინ უნდა ჩამეჩეხა და ორი ქულა ამეღო. სამი ქულა უკვე დიდი უპირატესობა იქნებოდა. მე კი რა, უკეთესი პოზიციიდან სამი ქულა დავკარგე.

**- მხოლოდ ამ მომენტმა გადაწყვიტა ყველაფერი?**

- ცოტა მსაჯიც დაეხმარა, ჩოქბჯენში ძალიან დიდხანს ვიდექი, იქამდე, სანამ ილეთი არ გამიკეთა. ამის შემდეგ აკადემიურ ჭიდაობას აზრი აღარ ჰქონდა. მწვრთნელები მიყვიროდნენ, გაყევი გდებაზეო. ესე იგი, საშუალება უნდა მიმეცა, ილეთი დაეწყო და კონტრილეთზე დამეჭირა. ეს, რა თქმა უნდა, სარისკო საქმეა, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ იყო.

■ ■ ■

ვერცხლიდან ოქრომდე კარგა დიდი მანძილია, თუმცა, იქ, სადაც მთელი მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები იყრიან თავს, თანაც, როცა ეს მედალი ოლიმპიურია, შენ კი სულ რაღაც სამმილიონიანი ერის წარმომადგენელი ხარ, გულდასაწყვეტი კი არის, მაგრამ ვერცხლიც დიდი გამარჯვებაა.

წყალბურთი

# საქართველომ ბრიტანეთთან ამოყვინთა

გიგა გურასაშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებმა მალტაზე მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა, ერთადერთ ნუგეშად მე-9-10 ადგილებისთვის ბრძოლაღა დარჩა. A ჯგუფში მოასპარეზე ჩვენმა ნაკრებმა პირველ მატჩში ფრანგებთან ფრედ - 7:7 ითამაშა, მეორეში სლოვაკებთან 7:8 დამარცხდა და ჯგუფიდან გასვლის შესაძლებლობაც შესაძლებლობად დარჩა. ჯგუფის ბოლო მატჩს სერბია და მონტენეგროსთან ფორმალური ხასიათი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ იუგოსლავიური სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებთან მოგებაზე ფიქრი იმთავითვე გამორიცხული იყო. სერბებმა, რომლებიც ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძვიან, საქართველოს ნაკრებს 18:7 მოუგეს. თუ სამივე ანგარიშის მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოსთვის 7 ბურთი გადაულახავ ბარიერად იქცა. ნავსი მხოლოდ გუშინ გატყდა, როდესაც G ჯგუფში გადანაცვლებულმა ჩვენმა ნაკრებმა მე-9-10 ადგილებისთვის ბრძოლაში ბრიტანელებს 9:3 (4:1, 1:1, 2:1, 2:0 ოთხი პერიოდის ჯამში) სძლია. ბრიტანელებს ურიგო გუნდი არ ჰყავთ, მაგრამ იმისთვის, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის სოსო მაისურაძის თავდაპირველი ჩანაფიქრი (ათეულში მოხვედრა) რეალობად იქცეს, ჩვენებმა დღეს უნდა სძლიონ ჰოლანდიელებს, რომლებსაც ინგლისელებზე ძლიერი გუნდი ჰყავთ. გარდა ამისა, იმაზეც ვართ დამოკიდებული, თუ რას იზამენ ფრანგები, რომლებიც ასევე მე-9-10 ადგილებისთვის იბრძვიან. ჩვენსავით G ჯგუფში გადანაცვლებულ ფრანგებს ორი ქულა გადაყვათ, ჩვენ კი - ერთი. როდესაც მიღებული და გაშვებული ბურთების დათვლის დრო დადგება, ყურადღება მიექცევა იმას, თუ ვის უკეთესი მაჩვენებელი აქვს. როგორც უკვე ვთქვით, ამ მხრივ ფრანგებს ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ - ერთი ქულით წინ არიან. გუშინ ფრანგებმა ოთხბურთიანი სხვაობით წააგეს ჩვენს დღევანდელ მეტოქესთან - ჰოლანდიელებთან.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ბურთები გაიტანეს გურამ კოტარიამ (1), ზურაბ რურუამ (2), გუნდის კაპიტანმა თამაზ მანძულაშვილმა (2), ტატო ნიკოლეიშვილმა (1), ბექა ქენქაძემ (1), ილია ბუტიკაშვილმა (1) და გიორგი ხვედელიანმა (1).

ფორმულა 1

# ვილნევი დაბრუნდა. "ფერარი" სად მიდის?

გიგა გურასაშვილი

*26 სექტემბერს 1997 წლის ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორი კანადელი ჟაკ ვილნევი "ჩინეთის დიდ პრიზზე" "რენოს" კოკპიტში მოკალათდება და ძველებურად დაატრიალებს საჭეს. ახლა ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, თუ რა შედეგებს შეიძლება ველოდოთ კანადელისგან, მაგრამ ფაქტია, რომ სამეფო რბოლებიდან წასული და ახლა უკვე დაბრუნების მოსურნე კანადელის საცქერლად უამრავი ცნობისმოყვარე შეეფინება საასპარეზო არენას. თუმცა, თუ ჭორებს ვენდობით, შანხაიში "რენოს" საჭეს ჯანკარლო ფიზიკელა მიუჯდება და არა ვილნევი.*



*ვილნევმა "რენოს" კოკპიტში მოკალათებაც მოასწრო და ტესტირებაც.*

დიდ პრიზებზე წლეულსვე დიდი საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი - ჟაკ ვილნევის დაბრუნება; "რენოში" იარნო ტრულისთვის საპრიზო პილოტის სტატუსის ჩამორთმევა და კიდევ ვინ იცის რა... ისე, არც ისაა გამორიცხული, ტრული უკვე წლეულსვე მიუჯდეს იმ მანქანის საჭეს, რომლითაც 2005 წლიდან იასპარეზებს. საერთოდ, "რენოსთან" დაკავშირებული საკადრო ცვლილებები იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ ფრანგული საჯინიბო BAR-ს კონსტრუქტორთა ჩათვლაში მეორეობას ეცილება. თანაც, მათსა და ბარელებს შორის სხვაობა მხოლოდ სამი ქულაა. რაც შეეხება ტრულისადმი ერთგვარ უნდობლობას, იგი იმითაა გამოწვეული, რომ მან მიმდინარე სეზონში მხოლოდ 46 ქულა მოაგროვა - ეს მაჩვენებელი არადამაკმაყოფილებელია "რენოსთვის". მიუხედავად იმისა, რომ ტრულიმ ბევრად მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე მისმა თანაგუნდელმა და პირველმა ნომერმა ფერნანდო ალონსომ. საქმე ისაა, რომ "რენოში" და, საერთოდაც, სამეფო რბოლების მოყვარულთ ესპანელის აგრესიული, რისკიანი რბოლის მანერა უფრო ხიბლავთ, ვიდრე ტრულის პრაგმატული და გააზრებული "სუფთა ქულებზე" ასპარეზობა. ამასთან, ფრანგებს წლეულსვე სხვა გეგმები აქვთ. გადაწყვეტილი ამბავია: ვილნევმა ტრულის ადგილი დაიკავა. არადა, "რენოთი" გაძლიერებულ "უილიამსში" გაჩემპიონების შემდეგ კანადელს რაიმე ხელშესახები წარმატებისთვის აღარც მიუღწევია, თუმცა, დღემდე მაღალი დონის მრბოლის სტატუსით სარგებლობს. ფრანგულ საჯინიბოსა და კანადელს შორის ურთიერთთანამშრომლობა მხოლოდ სამი ეტაპითაა განსაზღვრული.

რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ზაუბერის" მეთაურმა პეტერ ზაუბერმა ვილნევს 13 მილიონი ევრო შესთავაზა მომავალი სეზონისთვის. კანადელმა კი, - მოსაფიქრებლად მადროთოვეთო. ფიქრებში გართულმა კანადელმა "რენოს" ქარხანაში ამოყო თავი. მერე როგორც განვითარდა მოვლენები, უკვე იცით. მიუხედავად ამისა, შვეიცარიაში ბაზირებულ კომპანიას სადარდებელი მაინც არ აქვს, რადგან, "როიტერის" თანახმად, ზაუბერელებსა და ვილნევს შორის ორწლიანი ხელშეკრულება გაფორმებულია.

"ჩემი მიზანია პეტერთან და მის გუნდთან ერთად მუშაობა, რათა მომავალ ორ სეზონში ჩემპიონატში დავწინაურდეთ...

თებერვალ-მარტიდან მოყოლებული, ბევრს ვვარჯიშობდი, მაგრამ რაღაც უნდა მომხდარიყო, რადგან არაფრისთვის ვარჯიში ძალიან ძნელია. მინდოდა, აპოლიტიკურ გუნდში მოვხვედრილიყავი. ასე რომ, ამ მხრივ გამიმართლა და თავს ბედნიერად ვგრძნობ...

მნიშვნელობა არა აქვს, რბოლებს მოვიგებთ თუ არა. ამისთვის იღბალიც საჭიროა, მაგრამ თუ დღითიდღე რაღაცას გააუმჯობესებ და მუშაობაც ბედნიერებას მოგანიჭებს, ესეც დიდი სიამოვნება იქნება", - მოგვიანებით იტყვის ვილნევი.

მაგრამ ვიდრე ეს გახდებოდა ცნობილი, ერთ-ერთი წყარო იმასაც იუწყებოდა, რომ პეტერ ზაუბერს, იმისთვის, რომ ხელში ჩაეგდო კანადელი, მზად იყო, "რენოსთვის" დამატებით ჯანკარლო ფიზიკელაც დაეთმო. დაუზუსტებელი წყაროს ინფორმაცია იმიტომაც იყო საეჭვო, რომ ფიზიკელა მომავალი წლიდან ისედაც "რენოს" საკუთრება ხდება.

შეგახსენებთ, რომ სამეფო რბოლებიდან წასვლამდე, ანუ 2003 წლის სექტემბრამდე, ვილნევი BAR-ის ღირსებას იცავდა. ახლა უკვე თავად ვილნევი ახმოვანებს მასა და "ზაუბერს" შორის დადებულ ორწლიან ხელშეკრულებას, რომლის ამოქმედებამდეც "რენოში" უნდა შეხურდეს.

ვილნევი ფრანგულმა საჯინიბომ სწორედ იმისთვის დაიქირავა, რომ მისი ოსტატობის წყალობით დარჩენილ ეტაპებზე - ჩინეთის, იაპონიისა და ბრაზილიის "დიდ პრიზებზე" ბარელებს მეორეობა ჩამოართვას.

სხვათა შორის, ვილნევს BAR-თან არცთუ ტკბილი მოგონებები აკავშირებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დარჩენილ სამ ეტაპზე მათ ოქროს ბიჭუნას, ჯენსონ ბატონს გზა გადაუჭრას, რათა ყოფილ თანაგუნდელებზე ერთგვარად შური იძიოს.

"ამ მხრივ კარგი შესაძლებლობა მომეცა, - ვილნევი ამ შემთხვევაში ბარელებთან ანგარიშსწორების შესაძლებლობას გულისხმობს. - ახლა "რენოს" ძირითადი მიზანია, BAR კონსტრუქტორთა ჩათვლაში მესამე ადგილზე ჩამოვაქვეითოთ".

ამასობაში ფორმულა 1-ის სამყაროში, შესაძლოა, სკანდალიც მოხდეს. სკანდალი, რომელსაც იტალიური საჯინიბოს პირმშოსთან "ფერარისთან" მივყავართ. ამბობენ, რომ ფორმულა 1-ის ბოსთან, ბერნი ეკლსტოუნთან ფინანსური უთანხმოების გამო, სავსებით შესაძლებელია, მსოფლიო ჩემპიონატი სამეფო რბოლების ყველაზე უზრუნველყოფილი და მდიდარი საჯინიბოს "ფერარის" გარეშე დარჩეს.

"ფერარის" პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეძემოლომ ეკლსტოუნს ფინანსური პოლიტიკა დაუწუნა. უფრო სწორად, როგორც სკუდერიელთა ბოსი აცხადებს: იმ შემთხვევაში, თუ საჯინიბოები ახლო მომავალში ფორმულა 1-დან შემოსული მოგების საკმაო წილს არ მიიღებენ, ჩემპიონატიდან გუნდს გავიყვანო. როგორი ამბავია, სამეფო რბოლები "ფერარის" გარეშე? თუ ეს სიმართლეს შეეფერება, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ელის ფორმულა 1-ს. მნიშვნელოვნად დაეცემა ინტერესი სამეფო რბოლებისადმი, მით უმეტეს, რომ უკვე შექმნილია ისეთი კომპანია, როგორიცაა "დიდი პრიზების მსოფლიოს ჩემპიონატი". კომპანიაში კი, ფაქტობრივად, ყველა მოწინავე მანქანათმშენებლები არიან გაერთიანებული, ისეთები, რომლებსაც საკუთარი საჯინიბოები ჰყავთ სამეფო რბოლებში. მეტიც, 2008 წლიდან მათ სურთ საკუთარი ალტერნატიული მსოფლიო ჩემპიონატების მოწყობა. თუ ეს ასე მოხდა, ფაქტია, რომ ინგლისელ იმპრესარიოს "რენოსთან", "ფორდთან", BMW-სთან და რიგ კომპანიებთან გამოთხოვება მოუწევს.

მონტეძემოლოს უკმაყოფილების მიზეზი ტელეტრანსლაციებიდან შემოსული მოგების 47 პროცენტია, რომელსაც ფორმულა 1-ის გუნდებს უნაწილებენ. მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ "დიდ პრიზებზე" გაყიდული ბილეთებიდან (ბილეთის საშუალო ღირებულება 200 დოლარია, დამსწრეთა რაოდენობა კი, სულ ცოტა, 100 ათასი კაცი) თუ სარეკლამო კონტრაქტებიდან საჯინიბოები არც ერთ ცენტს არ იღებენ.

ჩოგბურთი

# ფედერერი პირველია

2004 წლის რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა პირველობა გაინაღდა. მას წლეულს პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება. დაწყებული 1973 წლიდან, როცა პროფესიულ ჩოგბურთში რეიტინგი დაწესდა, ფედერერი პირველია, რომელსაც ეს პატივი ერგო და სექტემბერში გაინაღდა პირველობა. შვეიცარიელი უკვე ყველასთვის მიუწვდომელია.

აგვისტოს დასაწყისში ფედერერმა ერთი ბარიერი გადალახა. მან კვალიფიკაცია გაიარა Tennis Masters Cup-ის ჩემპიონატზე, სადაც ATP-ის რეიტინგის საბოლოო შედეგების მიხედვით მსოფლიოს რვა უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობს. აქამდე ასე ადრე ვერავინ ახერხებდა ამ ტურნირის საგზურის ვადამდე გაფორმებას. ამას გარდა, შვეიცარიელი ბიორნ ბორგის დროიდან პირველია, რომელსაც ერთდროულად დაემორჩილა ბალახის, გრუნტისა და ჰარდისსაფარიანი კორტები.

როჟე ფედერერს ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მაშინ მან ახალგაზრდულ ასაკში უიმბლდონის ტურნირი მოიგო და ფინალში ჩვენი თანამემამულე ირაკლი ლაბაძე დაამარცხა. თუმცა, ფედერერს მუდამ რაღაც არ ჰყოფნიდა მსოფლიო ელიტაში დასამკვიდრებლად. რამდენიმე წლის წინათ



*ფედერერს წელს ველარავინ დაეწევა.*

ფედერერმა ტურნირიდან გამოთიშა თვით ლეგენდარული პიტ სამპრასი, რომელიც "დიდი სლემის" ტურნირების 14-გზის ლაურეატია და განსაკუთრებით ძლიერი იყო ბალახისსაფარიან კორტებზე.

სეზონის უმთავრეს მიღწევად შვეიცარიელი ჩოგბურთელი უიმბლდონის ტურნირზე გამარჯვებას მიიჩნევს. არადა, ის ნებისმიერ საფარზე თავდაჯერებულად გამოიყურება. ამის მიუხედავად, უიმბლდონის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე ფედერერმა სიხარულის ცრემლი ვერ შეიკავა.

"ბავშვობაში ვხუმრობდი, ოდესმე, როცა გავიზრდები, ამას მივაღწევ-მეთქი. და აი, ოცნება ამისრულდა", - განაცხადა მაშინ როჟე ფედერერმა. უიმბლდონზე გამარჯვებისთვის ფედერერმა თანამემამულეთაგან ყველაზე მსხვილი პრიზი - ძროხა მიიღო და ჯერჯერობით არც იცის, რა მოუხერხოს ცხოველს. თავად ჩოგბურთელი ქალაქში ცხოვრობს და, ბუნებრივია, მას არ შეუძლია, ძროხას დიდი დრო დაუთმოს. არადა, საქონელს მოწველა, კვება, დასუფთავება და გასეირნება სჭირდება.

თვითონ ფედერერიც ამბობს, რომ ჯერჯერობით ვერ გადაწყვიტა 800-კილოგრამიანი ძროხის მომავალი. "ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო სიურპრიზია, მაგრამ მე არ ვიცი, რა ვუყო ცხოველს. იქნებ უკეთესი იყოს, ის მთაში გავამწესო? იქ უკეთ იგრძნობს თავს, ვიდრე ბაზელის ქუჩებში", - დაასკვნა ფედერერმა.

ჩოგბურთელი იმაშიც დარწმუნდა, რომ უმჯობესია, ცხოველს სახელი შეუცვალოს. საბუთების მიხედვით ძროხას ჯულიეტა ჰქვია, მაგრამ სახელი უიმბლდონად უნდა გადაკეთდეს. "თუმცა, ვიდრე ამ ნაბიჯს გადავდგამ, თავად ძროხას უნდა მოვეთათბირო", - დააზუსტა შვეიცარიელმა.

გშტაადში ტურნირის ორგანიზატორებმა (სწორედ ამ ქალაქში მიიღო ფედერერმა ეს ორიგინალური საჩუქარი) განაცხადეს, რომ მზად არიან, ჯულიეტა ქალაქში დატოვონ, სამაგიეროდ კი პირობას დებენ, რომ მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში საუკეთესო შვეიცარიული ყველით მოამარაგებენ.

ამ პრიზით შვეიცარიელებს უნდოდათ, თანამემამულისთვის მადლობა გადაეხადათ იმისთვის, რომ მან შვეიცარიული სპორტის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა. თვითონ ფედერერისთვის ეს სასიამოვნო სიურპრიზი იყო. მას განსაკუთრებით ესიამოვნა ოვაცია, რომელიც Roy Emerson Arena-ზე შეკრებილმა ექვსი ათასმა გულშემატკივარმა მოუწყო.

"მე უაღრესად გამახარა ამ ყველაფერმა და სასიამოვნოდ გამაოცა კიდეც. უბრალოდ, წარმოუდგენელია, რომ აქ, ჩემს სამშობლოში, ადამიანები ასე მხურვალედ მესალმებიან", - განაცხადა მან.

ჩოგბურთის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თუ უახლოეს მომავალში რაიმე ფორსმაჟორული მოვლენები არ განვითარდება, როჟე ფედერერი საჩოგბურთო სამყაროს კიდევ სამი-ოთხი წლის განმავლობაში უთავკაცებს.

# აფროსანი კოსმოსური ხომალდები - მითი და რეალობა

წარმოიდგინეთ კოსმოსური ხომალდი, რომელიც, გასცდება თუ არა ჩვენი პლანეტის ატმოსფეროს და კოსმოსის უჰაერო სივრცეში გავა, გაშლის აფრებს და სიჩქარით, რომლამდეც თანამედროვე აპარატებს ბევრი უკლიათ, შორეული პლანეტებისკენ, ან გალაქტიკებისკენ აიღებს გეზს.

მაგრამ, აფრას ხომ ქარი სჭირდება, რომლის ძალაც ხომალდის გადაადგილებას უზრუნველყოფს? მერედა, ქარის მეტი კოსმოსში რა არის? ქარი კი არა, მზის წლევანდელმა აქტიურობამ ისეთი ქარიშხალი გამოიწვია, მარსზე მყოფი აპარატები "სპირიტი" და "ოპორტუნიტი" კინაღამ მწყობრიდანაც გამოიყვანა. თუმცა ასეთი ქარიშხლები პერიოდულია და იმპულსურ ხასიათს ატარებენ. კოსმოსურ აფროსნებს კი მუდმივი ქარი სჭირდებათ.

სჭირდებათ და, თუ ამერიკელ, იაპონელ და რუს მეცნიერებს დავუჯერებთ, ასეთ ქარებად აფროსან კოსმოსურ ხომალდებს ვარსკვლავებიდან (მზიდან) წამოსული ნათება, ფოტონების ჭავლი გამოადგებათ. იდეა საკმაოდ ძველია, მაგრამ რიგი მიზეზების გამო (შესაბამისი ტექნოლოგიების არქონა, ექსპერიმენტების ჩასატარებლად საჭირო აურაცხელი თანხები და სხვა), მისი საქმეში გამოცდა აქამდე არ ხერხდებოდა.

დღეს კი, როცა აშკარაა, რომ თანამედროვე სარაკეტო ძრავებმა და საწვავმა ამოწურეს თავიანთი პოტენციალი, მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები დაუბრუნდნენ ამ, ერთი შეხედვით, უტოპიურ იდეას, რომელიც აფროსანი კოსმოსური აპარატის შექმნას გვთავაზობს. უფრო მეტიც, ამერიკელმა და რუსმა მეცნიერებმა ორი წლის წინ სცადეს ერთობლივი პროექტის განხორციელება - კოსმოსში გაუშვეს საცდელი აფროსანი, რომელმაც დანიშნულების ადგილს (კოსმოსს) კი მიაღწია, მაგრამ ვერ მოსცილდა მზიდ რაკეტას და მასთან ერთად ჩამოვარდა დედამიწაზე.

თუმცა, ამას პროექტზე მუშაობა არ შეუჩერებია. ამ ორი წლის განმავლობაში, რუსეთის მხრიდან, ბაბაკინის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და ამერიკის მხრიდან, კერძო კომპანია "პლანეტარული საზოგადოება", ინტენსიურად მუშაობდნენ ახალი აფროსნის შესაქმნელად. რუსებმა დაამზადეს აპარატი სახელად "კოსმოს-1", მის გაშვებას და მართვას კი ამერიკული კომპანია კისრულობს.

აპარატის გაშვება წლეულს, ჯერაც დაუდგენელ დროს მოხდება რუსული ატომური წყალქვეშა ნავიდან, რომელიც იმ მომენტში ბარენცის ზღვაში იქნება. რაკეტა "ვოლნა" კოსმოსში, 800-კილომეტრიან ორბიტაზე გაიყვანს 100 კილოგრამიან აპარატს, რომელიც ორბიტაზე გასვლისთანავე გაშლის 15-მეტრიან კოსმოსურ აფრას. ეს აფრა დამზადებულია შუქამრიდი პოლიმერული აფსკისგან, რომლის სისქე სულ რაღაც 7.5 მიკრონია (0.0075 მილიმეტრი) და იდეალური სარკისებრი ზედაპირი აქვს.

თეორიულად, აფრის სარკისებრი ზედაპირიდან არეკლილი შუქის ნაწილაკებმა (ფოტონებმა) ამ აფრის ზედაპირზე უნდა შექმნან ის წნევის ძალა, რომელიც კოსმოსური ხომალდის გადაადგილებას გამოიწვევს. მეცნიერთა გათვლებით, ეს წნევის ძალა იმდენად მცირეა, რომ გაშლილი აფრით აპარატი წამში სულ რაღაც მილიმეტრით გადაადგილდება. თუმცა, გავა ასი დღე და ამ უმნიშვნელო მაჩვენებლიდან სიჩქარე 160 ათას კმ/სთ-ს (დაახლოებით 44.4 მ/წმ-ს) მიაღწევს. და ესეც არაა ზღვარი, რადგან რაც დრო გადის, სიჩქარეც სულ იზრდება და იზრდება, აფრას ხომ თითქმის არ ხვდება წინააღმდეგობა კოსმოსის გაუხშოებულ სივრცეში...



ამგვარად, (ისევდაისევ თეორიულად) აფროსანი კოსმოსური ხომალდები მალე სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ ჩვეულებრივი, ქიმიურ საწვავზე მომუშავე ძრავებით აღჭურვილ რაკეტებს. მაგალითად, თანამედროვე რაკეტას თუ პლანეტა პლუტონის ორბიტამდე მისაღწევად დაახლოებით 9 წელიწადი სჭირდება, აფროსანი იმავე მანძილს თითქმის ორჯერ ნაკლებ დროში გაიფრენს. მაღალი სიჩქარისა და სივრცეში უფრო სწრაფი გადაადგილების გარდა, აფროსან ხომალდს არ სჭირდება თან საწვავის უზარმაზარი ოდენობით ტარება, ამიტომ, მას გაცილებით მეტი ტვირთის, მეტ მანძილზე გადატანის საშუალებაც ექნება.

აფროსანი კოსმოსური ხომალდების იდეას არარეალურს უწოდებს კორნელის უნივერსიტეტს ფიზიკოსი ტომას გოლდი, ვინც ამტკიცებს, რომ ფოტონების აფრაზე დაცემით წარმოქმნილი წნევის ძალის საფრენად გამოყენება ეწინააღმდეგება თერმოდინამიკის კანონებს.

გოლდი ამტკიცებს, რომ იდეალური სარკისებრი ზედაპირიდან არეკვლისას ფოტონებმა არ უნდა დაკარგონ ენერგია. დასკვნების გაკეთებისას მეცნიერი კარნოს წესს ეყრდნობა, რომელიც გვკარნახობს, რომ იმ შემთხვევებში, როცა ფოტონების არეკვლას თან არ სდევს ტემპერატურის მნიშვნელოვანი ცვლილება, პრაქტიკულად შეუძლებელია ენერგიის დაგროვება და აქედან გამომდინარე, მისი გამოყენება. ასე რომ, აფრამაც ვერ უნდა მიიღოს კოსმოსური ხომალდის მოძრაობისთვის საჭირო მამოძრავებელი ძალა.

იმავდროულად, "პლანეტარული საზოგადოების" პროექტის ხელმძღვანელი ლუის ფრიდმანი აცხადებს, რომ მსგავსი დასკვნები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხომალდის აფრაზე არავითარი ძალა არ იმოქმედებს. იმ მოსაზრებას, რომ მზიურ ქარებს მამოძრავებელი ძალის შექმნა შეუძლიათ, ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ კომეტების კუდები ყოველთვის მზის მოპირდაპირე მხარისკენაა მიმართული. ამის პასუხად, გოლდი ამბობს, რომ კომეტის კუდი სულაც არაა სრულყოფილი სარკე და შესაბამისად, ფოტონების გარკვეულ რაოდენობას შთანთქავს და ამგვარად ღებულობს მზისგან ენერგიის გარკეულ დოზას.

მზის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობას არ გამორიცხავს კემბრიჯის უნივერსიტეტის თერმოდინამიკის ექსპერტი ჯეფრი ლუინსი, ვინც ამბობს, რომ თეორიულად, აფროსანი ხომალდების შექმნა რეალობისგან შორს არაა, თუმცა მზის იმ ენერგიის სრულად გამოყენება, რომელიც აფრის ზედაპირზე ფოტონების საშუალებით მოხვდება, მაინც შეუძლებელი იქნება. ამგვარად, შეზღუდული უნდა იყოს ხომალდის მამოძრავებელი ძალაც.

დაბოლოს, სანამ რუსები და ამერიკელები ექსპერიმენტს ამზადებენ, იაპონელებმა უკვე გაუშვეს ერთი საცდელი რაკეტა, რომელმაც ერთბაშად ორი აფროსანი აპარატი დატოვა კოსმოსში. ერთი აპარატი, ოთხფრთიანი, დედამიწის ზედაპირიდან 150 კილომეტრის სიმაღლეზე იმოძრავებს, მეორე, ექვსფრთიანი კი - 170 კმ სიმაღლეზე.

იაპონელების საცდელი ფრენის დანიშნულებაა, შემოწმდეს, თუ რამდენად გამოსადეგია კოსმოსური ხომალდისთვის აფრად პოლიამიდური რეზინის გამოყენება. რამდენად იდეალურია მისი ზედაპირი ფოტონების არეკვლისთვის და რამდენად მტკიცეა იმისათვის, რომ გაუძლოს ზეწოლას, რომელმაც ხომალდს ფრენისთვის აუცილებელი მომენტი უნდა მიანიჭოს.

## ქაღალდის ფურცლის სისქის ეკრანი

იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია "ეპსონის" ინჟინრებმა შექმნეს მსოფლიოში ყველაზე დიდი გაბარიტების მქონე და იმავდროულად, ყველაზე თხელი ტელეეკრანი. მისი 40-დუიმიანი მონიტორის სისქე სულ რაღაც 2.1 მილიმეტრია და, როგორც მწარმოებელი ირწმუნება, არც ესაა ზღვარი - ინჟინრები იმდოვნებენ, რომ მალე შეძლებენ 0.2 მილიმეტრის სისქის ეკრანის დამზადებას.

მესამე თაობის ტელეეკრანების წარმოებისთვის გამოიყენება ორგანული ელექტროლუმინესცენტური მასალები, რომლებიც საშუალებას იძლევა, შეიქმნას მაღალი გარჩევადობის მქონე მონიტორები, ქაღალდის ფურცლის სისქე რომ ექნებათ. მიჩნეულია, რომ ამგვარი ეკრანებით აღჭურვილი ტელევიზორები მალე შეცვლიან თხევადკრისტალურ და პლაზმურეკრანიან აპარატებს.

"ეპსონში" შექმნილი ახალი ეკრანის სიმსუბუქესა და მინიმალურ სისქეს თანამედროვე ტექნოლოგია უზრუნველყოფს - თხელი, გამჭვირვალე ეკრანის ზედაპირზე გაბნეული ორგანული ელემენტები, ელექტროდენის ზემოქმედებით იწყებენ შუქის გამოსხივებას ისე, რომ საჭირო აღარ არის დამატებითი (უკნიდან) გამოსხივების წყარო. სწორედ ეს გამოსხივება უზრუნველყოფს ეკრანის ზედაპირზე გამოსახულების გამოტანას.

ამგვარი ეკრანები გაცილებით ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარენ. გარდა ამისა, ეკრანზე მიღებული გამოსახულება, ხედვის ნებისმიერი კუთხიდან ერთნაირი კონტრასტით აღიქმება. თანაც, ამგვარ ეკრანებზე შესაძლებელია სწრაფად მოძრავი სხეულების სრულფასოვნად აღქმა.

"ეპსონი" ამგვარი ეკრანებით აღჭურვილი მონიტორების წარმოების დაწყებას სამი წლის შემდეგ გეგმავს.

## ინგლისური რობოტი მწერებით იკვებება

ბრიტანელმა მეცნიერებმა შექმნეს რობოტი, რომელიც მოქმედებისთვის საჭირო ენერგიის გამოსამუშავებლად მწერებით იკვებება. მწერების დაჭერის შემდეგ რობოტი ანაწილებს მათ ერთგვარ ფიჭურ ელემენტებში, სადაც მათგან ელექტროენერგიის მისაღებად საჭირო შაქარი გამოიყოფა.

რობოტის სახელწოდებაა "ეკობოტ II". იგი ერთ-ერთი იმ ჭკვიან მანქანათაგანია, რომლებსაც დამზადების შემდეგ, დამოუკიდებლად შეუძლიათ მოქმედება. ასეთი რობოტების მოქმედების პრინციპია "გაუშვი და დაივიწყე", რაც იმას ნიშნავს, რომ ამოქმედების შემდეგ, ასეთ რობოტებს სრულიად ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის უნარი ექნებათ.

ამ ტიპის რობოტები მისწრებაა ისეთი სამუშაოების ჩასატარებლად, რომლებიც ადამიანისთვის სახიფათოა (მაგალითად, გარემოს რადიოაქტიური და ბიო-ქიმიური დაბინძურების დროს, სამხედრო ოპერაციები). მათი მართვა შორიდანაა შესაძლებელი და ენერგიის შესავსებად პაუზებს არ საჭიროებენ.

## მომავალი უპილოტო თვითმფრინავებისაა

აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნულმა ადმინისტრაციამ (NASA) წამოიწყო ახალი, 360 მილიონ დოლარად ღირებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც, 2008 წლიდან აშშ-ის საჰაერო სივრცეში სამოქალაქო ფრენისთვის დაშვებულ იქნებიან უპილოტო თვითმფრინავები (UAV-Unmaned Aerial Vehicles - უპილოტო საჰაერო მანქანები), ანუ, როგორც სააგენტოში ეძახიან, დრონები.

ადრე სააგენტო და სამხედრო უწყებები ამგვარი თვითმფრინავების აშშ-ის საჰაერო სივრეში გამოჩენის დაწყებას 2007 წლიდან გეგმავდნენ. პროექტს ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავს აშშ-ის ავიაციის ფედერალური სამმართველოს (FAA) სახით, რომელიც დარწმუნებული არაა, რომ ამგვარი უპილოტო აპარატების საჰაერო სივრცეში დაშვება უსაფრთხო იქნება.

არადა, ამ პროექტის განხორციელებაში NASA-ს პარტნიორობას უწევენ ისეთი ძლიერი აეროკოსმოსური კომპანიები, როგორებიცაა "ბოინგი", "ლოკჰიდ მარტინი" და "ნორტროპ გრუმენი". მათ მიერ შექმნილი რამდენიმე უპილოტო თვითმფრინავი უკვე გადის გამოცდების ბოლო სტადიას, ზოგი აპარატი კი წარმატებით გამოიყენებოდა ავღანეთსა და ერაყში წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში.

პროექტში მონაწილე კორპორაციები 2002 წლიდან ცდილობენ დრონების უსაფრთხოებაში FAA-ს დარწმუნებას, თუმცა დღემდე ამას შედეგი არ მოჰყოლია. ფედერალების არგუმენტებს აძლიერებს დრონების კატასტროფების რიგი ფაქტები.

# მობილური ბაზები მთვარისა და მარსის ასათვისებლად



მობილური ბაზა ჰაბოტი


მობიტატი

30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ასტრონავტებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა დადგეს ფეხი ჩვენი პლანეტის ერთადერთ თანამგზავრ მთვარის ზედაპირზე. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის 30 წლისთავს დაემთხვა მეტად წარმატებული, "ტყუპი" არაპილოტირებადი ექსპედიცია მარსზე, რომელმაც მეცნიერებს ბევრ კითხვაზე გასცა პასუხი და რომლის ვადა, წინასწარ დაგეგმილი 90 დღის ნაცვლად 250 დღე გრძელდება.

ამ მიღწევათა ფონზე, ამერიკელებმა დაიწყეს გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება, რომელთა მიზანსაც მთვარისა და მარსის უფრო სრულყოფილი გამოკვლევა წარმოადგენს. თანაც, ეს გამოკვლევები არა დედამიწიდან მართვადმა რობოტებმა უნდა განახორციელონ, არამედ უშუალოდ ადამიანებმა...

პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ მოამზადა კიდეც პროექტი, რომელიც 2008 წლიდან მთვარეზე რობოტების სისტემატურ "მივლინებას" ისახავს მიზნად, 2015 წლიდან კი ჩვენს თანამგზავრს კვლავ ეწვევიან ადამიანები. კიდევ ხუთი წელი და იქ სამეცნიერო დანიშნულების კოლონიის შექმნაც დაიწყება.

